

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ინგა რომანის ასული ბებია

სამიწათმოქმედო ლექსიკა

მეგრულში

სპეციალობა 10.02.08 - ქართველური ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელენე ბაბუნაშვილი

სარჩევი

შესავალი

I თავი – წიადაგების, საყანე ადგილების აღმნიშვნელი და მიწის საყანედ მომზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა

II თავი – ყანისა და ბოსტნის აღმნიშვნელი ლექსიკა.
სამიწათმოქმედო სამუშაოების აღმნიშვნელი ლექსიკა.

III თავი – სამიწათმოქმედო დენდრონიმები და ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა.

1. სამიწათმოქმედო დენდრონიმები.
2. მცენარის ნაწილებისა და ზრდა-განვითარების აღმნიშვნელი ლექსიკა.

IV თავი – სამიწათმოქმედო იარაღებისა და მოსავლის დასაბინავებელი ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა

V თავი – მარცვლეულისა და მიწის საზომ-საწყაოების აღმნიშვნელი ლექსიკა

VI თავი – წელიწადის დროებისა და ამინდის აღმნიშვნელი ლექსიკა

VII თავი – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ლექსიკა

1. მიწის შემოღობვა-შემოკავებასთან დაკავშირებული ლექსიკა
2. მიწის ნაყოფიერების, მოსავლიანობის, სიუხვის აღმნიშვნელი ლექსიკა
3. ნათესების მავნებელი ფრინველების, ცხოველებისა და მღრღნელების აღმნიშვნელი ლექსიკა
4. სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა
5. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ლექსიკური ერთეული
6. სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულ ტოპონომიაში.

VIII თავი – მეგრული ნასესხობანი აფხაზურ სამიწათმოქმედო ლექსიკაში

დასკვნითი დებულებები

განაალიზებულ ფორმათა საძიებელი

დანართი (სურათები ნახაზები)

ლიტერატურა

შესავალი

საქართველო და, კერძოდ, კოლხეთი უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის კერაა. აქ, როგორც ბოტანიკოსები მიუთითებენ, დღემდეა დაცული ხორბლის უძველესი სახეები მახა და ზანდური. არქეოლოგების მიერ უძველეს კულტურულ ფენებში ნაპოვნი ხორბლისა და ფეტვის მარცვლები, სამიწათმოქმედო იარაღები თუ ხელსაფქვაკები ნათლად მეტყველებენ მიწათმოქმედების განვითარების საქმეში ქართველური ტომების განსაკუთრებულ წვლილზე. ქართველურ ტომებს არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი სახვნელი იარაღის გამოგონება-დაწინაურების საქმეში (ჩიტაია, 1937, გვ. 284).

ბუნებრივია, ქართველური ენების ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი წინაპრები დიდი მიწათმოქმედნი იყვნენ „და ამოიცნო შესატყვის ტერმინთა ისტორია, ნიშნავს, აღმოაჩინო მსოფლიოს კულტურული ისტორიის მეტად საინტერესო ფურცელი“ (მარი, 1916, გვ. 23).

მიწათმოქმედება ქართველური მოდგმის ყველა ტომისათვის უძველესი დროიდანვე საქმიანობის უმთავრეს სფეროს წარმოადგენდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა Γειοργιευ ზოგი მეცნიერის აზრით ხომ სწორედ მიწათმოქმედს ნიშნავს. (ძვ. ბერძნ. γεωργος მიწის მუშა, მიწათმოქმედი, γεωργια მიწათმოქმედება; γεωργικός – მიწათმოქმედი).

მეგრელთა დიდ სამიწათმოქმედო კულტურასა და ცოდნაზე უხვადაა დაცული ცნობები როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ეთნოგრაფიულ აღწერილობებსა და ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ ყველაზე თვალნათლივ ეს ჩანს მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკიდან, რომელიც სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მეგრული ლექსიკის ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ალ. ცაგარელი, იოსებ ყიფშიძე, პეტრე ჭარაია, ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა, ტოგო გუდავა, კორნელი დანელია, გიორგი კლიმოვი, ზურაბ სარჯველაძე და სხვანი. მიუხედავად ამისა, მეგრული დარგობრივი ლექსიკა, თუ არ ჩავთვლით მეცხენეობის ლექსიკას, რომელიც დაწვრილებით შესწავლილია მანანა ბუკიას მიერ და მეთევზეობის ლექსიკა, რომელიც შეისწავლა მაკა სალიამ, დღემდის მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

ნაშრომი წარმოადგენს ცდას მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკის შესწავლისა ლექსიკოლოგიურ-სემანტიკურ, ეტიმოლოგიურ და ისტორიულ-შედარებით ასპექტში.

ნაშრომში აღნუსხული და შეძლებისდაგვარად გაანალიზებულია როგორც ლექსიკონებსა და საისტორიო წყაროებში დაცული, ასევე ეთნოგრაფიულ გამოკვლევებსა და ფოლკლორულ ძეგლებში შემონახული მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკა. მნიშვნელოვანი რაოდენობით სამიწათმოქმედო ლექსიკა ჩვენ მიერ ჩაწერილი იქნა საველე მუშაობისას როგორც ბარის სამეგრელოში (ერგეტა, დარჩელი, ორულუ, კახათი), ასევე ლაკადა სამეგრელოში (სქური, მუხური, ჩქვალერი, კურზუ).

მეგრული ლექსიკონებიდან ვისარგებლეთ იოსებ ყიფშიძის (1914 წ.), პეტრე ჭარაიას (1997 წ.), გივი ელიავას (1997 წ.), დანიელ ფიფიას (1999 წ.), ბეჟან კილანავას (1998 წ.), ოთარ ქაჯაიას

(2001-2002) ლექსიკონებით. აგრეთვე აკაკი ჭანტურიას ჩაწერილი სალექსიკონო მასალებით (1996 წ.).

მართალია, დიდი რაოდენობით არა, მაგრამ მეგრული ლექსიკის რამდენიმე ასეული ნიმუში დაცულია სამეგრელოში ნამყოფ უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა თხზულებებში, მათ შორის ყველაზე მეტი 1770 წელს საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეცნიერის, იოჰან გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობაში. გარდა ამისა, მეგრული ლექსიკის ნიმუშები შემონახულია არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ევლია ჩელების და სხვათა თხზულებებში, რომლებიც თავმოყრილია აბ. ტულუშის გამოკვლევაში „მეგრული ლექსიკა XVII-XVIII საუკუნეებისა და XIX საუკუნის უცხოურ წყაროებში“.

ფასდაუდებელი შრომა გაუწევიათ მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკის ჩაწერის საქმეში ეთნოგრაფებს: ჯულიეტა რუხაძეს, მიხეილ გეგეშიძეს, გიორგი ჯალაბიძეს, სერგი მაკალათიას, თედო სახოკიას და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი ჩიტაიას გამოკვლევები, რომლებშიც მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკის არა ერთი ნიმუშია განმარტებული და გაანალიზებული.

სერგი ჯიქიას კალამს ეკუთვნის გუთან- სიტყვის ქართველურობის მამტიციცებელი სანიმუშო წერილი.

განსაკუთრებით დიდია მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკის შესწავლის საქმეში დიდი ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, ასახული მის ნაშრომებში: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, „ქართულ საფას-საზომთცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკამეტროლოგია“, რომლებშიც ათობით მეგრული სამიწათმოქმედო ტერმინია განმარტებული.

ბუნებრივია, მეგრული სამიწათმოქმედო ლექსიკის არა ერთი ნიმუშია შესწავლილი სხვა ქართველურ ენებისეულ ლექსიკასთან მიმართებაში ქართველი თუ უცხოელი ლინგვისტების არნოდ ჩიქობავას, თამაზ გამყრელიძის, გ. როგავას, ქეთევან ლომთათიძის, ოტია კახაძის, ბესარიონ ჯორბენაძის, თეიმურაზ გვანცელაძის, ალ. ღლონტის, სერგი ჟღენტის, ეკატერინე ოსაძის, გივი მაჭავარიანის, გიორგი კლიმოვის, პაატა ცხადაიას, რევაზ შეროზიას, მერაბ ჩუხუას, ხუხუტ ბლაჟბას და სხვათა მიერ.

ამ მასალების შეჯერებამ დაგვანახა, რომ სამიწათმოქმედო ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ მოხვდა დღემდის არსებულ ვერც ერთ ლექსიკონში, რაც მათი სპეციფიკურობით და ენაში რეალიზაციის შეზღუდული ხასიათით უნდა აიხსნას. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა დღემდე გამოქვეყნებული ლექსიკონი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახლახან გამოცემულ ო. ქაჯაიას სამტომეულს) დიდი ხნის წინაა შედგენილი და არც მათში შესული ლექსიკურ ერთეულთა რიცხვია დიდი.

ვინ იცის, რამდენი სიტყვა მიეცა უკვე დავიწყებას, მაგრამ ათასობით ლექსიკური ერთეული ჯერ კიდევ ცოცხალია და დაუყონებლივ ჩაწერას, მეცნიერული სიზუსტით განმარტებას მოითხოვს მისი კონტექსტური მნიშვნელობის საილუსტრაციო მასალის თანხლებით.

იმ ლექსიკური ერთეულების გადარჩენა, რომელთაც უახლოეს მომავალში გაქრობა ელით, საშური და გადაუდებელი საქმეა.

გარდა მეგრულში შემონახული სამიწათმოქმედო ლექსიკის შესწავლისა, ჩვენი მიზანია ამ

დარგში არსებული მეგრულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების გამოკვლევაც.

ენათა ურთიერთგავლენა, რომელიც ენათა ურთიერთობის აუცილებელი შედეგია, ენის სხვადასხვა სემანტიკურ სხვადასხვა ინტენსივობისაა (ფოჩხუა, 1974, გვ. 343) და ბუნებრივია, ეს ურთიერთგავლენა, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს ლექსიკაში, რომელიც ყველაზე ადვილად შედარებადი სფეროა ენისა.

ცნობილია, თუ რამდენად დიდია აფხაზურისა და მეგრულის ურთიერთგავლენა. თუ მეგრულში აფხაზურიდან ნასესხები მესაქონლეობის ლექსიკაა ბლომად დაცული, აფხაზურ სამიწათმოქმედო ლექსიკაში უკვე მეგრულიდან ნასესხები ლექსიკაა დიდი რაოდენობით.

მეგრულ სამიწათმოქმედო ლექსიკაში გამოიყოფა საერთო ქართველური ენობრივი ერთობის დროინდელი და ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროინდელი მასალები, აგრეთვე ქართულიდან ნასესხები ლექსიკა. გარდა ამისა, მეგრულში დასტურდება სხვა ენებიდან (ბერძნულიდან, ლათინურიდან, თურქულიდან, სპარსულიდან) მესამე ენის (უმთავრესად ქართულის) მეშვეობით ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

ლექსიკონებსა და სხვადასხვა სახის წყაროებში მოძიებული, სამეგრელოს მთასა და ბარში ჩვენ, მიერ ჩაწერილი სამიწათმოქმედო ლექსიკური მასალა 726 ერთეულს აღწევს.

თავი I

ნიადაგების, საყანე ადგილების აღმნიშვნელი და მიწის საყანედ მომზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა

1. ნიადაგები

სამიწათმოქმედო ტერმინ ნიადაგის შესატყვისი მეგრულში არა გვაქვს. ამგვარივე ჟღერადობის, მაგრამ სხვა (საბას განმარტებით „მარადის“) მნიშვნელობის მქონე ლექსემას, რომელიც სპარსულ ნასესხობად მიიჩნევა (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 349) მასთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარი სემანტიკური გადაწევა წარმოუდგენელია.

მიწას მეგრულად **დიხა** ჰქვია და მისი ფარდი ქართულში გვაქვს **თიხა**-ს სახით. საყანე მიწას მეგრელები **ოყვანე არდგილს**, **ოყვანე ნოჭკერს** (საყანე ნაკვეთს) ეძახიან. მიწის ძალიან მცირე ნაკვეთს კი ხატოვნად – **ართ ფორ დიხა**-ს (ხელის ერთ დადება მიწას).

ქართ. **ყანა**, მეგრ. **ჟონა** // **ჟვანა** თავდაპირველად მიწას ნიშნავდა. ამაზე მიუთითებს სიტყვა თავყანისცემა, რომელიც მეტათეზირების შედეგად მიღებული თავყანისცემაა და სიტყვასიტყვით თავით მიწაზე ცემას ნიშნავს (შდრ. ძვ. რუსული челоניתие).

მიჩნეულია, რომ ხმელეთის, მიწის მნიშვნელობით ყანა/ჟონა ბერძნულს აქვს ნასესხები ქართველური ენებიდან γάσᾱ-სახით (გამყრელიძე, ივანოვი, 1994, II, გვ. 905).

ყანას მეგრულში გააჩნია კანონზომიერი შესატყვისი **ჟონა** და მისგან მომდინარე **ჟვანა**. ჟონა ფორმა ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი სოფ. სახარბედიოში (ი. ბებია, დღიური, გვ. 34). ჟონა დღემდე შემონახული ჭანურის ხოფურ კილოში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეგრულის სენაკური კილოს **ო** ზუგდიდურ-სამურზაყანულში ხშირად ვა კომპლექსს გვამღევს (ქორა-ქვარა,

გოლა-გვალა...), ცხადი გახდება **ცვანა** ფორმის წარმოშობის მიზეზი.

ნიადაგის აღმნიშვნელი ლექსიკის ნაირგვარობა მიწის მოსავლიანობის ხარისხით, ადგილმდებარეობით ანუ სიძნელე-სიადვილითაა განსაზღვრული.

მდებარეობის მიხედვით მიწა ნაირგვარია: **რზენი** ვაკეს, ბარს, დაბლობს ნიშნავს (ყიფშიძე, 1914, გვ. 509). ეს სიტყვა ზოგან **ზენი** ფორმითაც იხმარება (ჭარაია, 1997, გვ. 67). ჯ. რუხაძის მონაცემებით წყლისპირა ვაკე ადგილის სახელად მეგრულში გვაქვს შემდეგი სიტყვები: **მერებ // მელეხ, ოლეხ // რზენი // ტებ // ჭალ // დობერა** და **ოხოჯური** (რუხაძე, 1976, გვ. 13). გარდა ამისა, მიწა არის ბურსუკმოსავლიანი, დაბალი **დიხა // დაბაი დიხა** – დაბალი, წყლიანი მიწა; **ლაზი** – ძნელად მოსახნავი მიწა, **ლაქვათი** – ქვიშისებური (**ქვიშაცალი, ცენსენ ფერი**); **მელჭვილი // მეიჭვირი** – მოუსავლიანი წითელი მიწა; **ონწარე** – ჭაობიანი ადგილი, **ონწყვაშე** – ფერდობის მიწა, რომელიც ჩამოშლადი, რღვევადია; **ოყოფარე** – კარგმოსავლიანი (**ცოფა** – მოსავალი), **უყოფირე** – მოუსავლიანი. **უჩა დიხა** – შავი მიწა; **ტკილი** (მიწის გასანაყოფიერებლად ხმარობდნენ), **ძელი დიხა** – თეთრი მიწა, რომელსაც თავის დასაბანადაც ხმარობდნენ; **ჩეყვა** – წყლიანი დაბლობი, რომელიც დიდ მოსავალს იძლევა გვალვის დროს. მაგრამ აქ ჩამოთვლილი ტერმინები სემანტიკურად საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საყურადღებო ტერმინია **ო-ნ-წარ-ე**, რომელშიც შემონახულია **წყარ** სიტყვის ადრეული, ყ განვითარებული სახე – **წარ**.

დობერა ძველთაძველი ლექსიკური ერთეულია, ის სუბსტრატული დანალექის სახით, ვაკის მნიშვნელობით გურულშიცაა დამოწმებული **დობირო** ფორმით ი. შილაკაძის მიერ (რუხაძე, 1976, გვ. 13). პ. ჭარაიას განმარტებით, **დობერა** არის „ვაკე, მაგრამ ცოტა მომაღლო ადგილი“ და ის ამ სიტყვას უკავშირებს სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ დაბალ ადგილად განმარტებულ სიტყვას „დუბე“ (ჭარაია, 1997, გვ. 59).

გ. ჩიტაია **დობერა**-ს განმარტავს, როგორც მთისწინა ზოლის ნიადაგს (ჩიტაია, 1952, გვ. 99-100). დანიელ ფიფიას განმარტებითაც, **დობერა** „ბარი“-ა (ფიფია, 1999, გვ. 17). ივ. ჯავახიშვილს მეგრ. **დობერა**-სა და გურ. **დობირა**-ს პირველი მარცვალი დო- მეგრულ-ჭანური დანიშნულების ფორმანტი ეგონა (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 143), მაგრამ ამ სიტყვაში სავსებით მართებულად გამოყოფენ ყანის აღმნიშვნელი ძველ ქართულ (დაბა) და სვანურ (დაბ) სიტყვის მეგრულ კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს **დობ**- (გამყრელიძე, მაჭავარიანი, გვ. 334). დობ- სიტყვის ეს უძველესი მნიშვნელობა ნაწილობრივ ასახულია **დობერა**-ს ბ. კილანავასეულ განმარტებაში. **დობერა**-ს, მისი სიტყვით, მაღალბალახიან ყანას ეტყვიან (კილანავა, 1998, გვ. 7). დობერა ადრე ნიადაგის სახეობისა კი არა, ზოგადად ყანის აღმნიშვნელი რომ იყო, კარგად ჩანს ოიკონიმიდან **დიდდობერა**, ხოლო დობერა ვაკეს, ბარს რომ არ ნიშნავდა ოიკონიმიდან **დობერაზენი**, რადგან ამ უკანასკნელში დაცულია ვაკის აღმნიშვნელი სიტყვა რზენ / ზენი. ნიშანდობლივია ისიც, რომ გ. ჯალაბაძის განმარტებით, მეგრულში **დობერა** ნიშნავდა მაღლობს (ჯალაბაძე, 1979, გვ. 19).

არც თუ ნაყოფიერ, თეთრ, მსუბუქ მიწას **არგატი დიხა** ჰქვია (ბებია, გვ. 14). ამ სიტყვასთან მიმართებაში საყურადღებოა გურულში დადასტურებული ტერმინი **ალქატი ღომი**, რაც თხელ ღომს ნიშნავს (ღლონტი, 1984, გვ. 31).

ფხვიერ ნიადაგს მეგრელები ეძახიან **შვება დიხა**-ს (რუხაძე, 1976, გვ. 12), ასევე უწოდებენ **საპონჯგუა**-ს, „საპნისმაგვარს“, **ხვემარდილ**-ს „ხვავმადლიანს“ (ი. ბებია, დღიური გვ. 19).

ცუდმოსავლიანი მიწის აღმნიშვნელი ტერმინი **უყი დიხა** სიტყვა-სიტყვით ითარგმნება,

როგორც უნაყოფო მიწა (**უცი** არქონის, უარყოფის მაწარმოებელდართული **ყოფა** მასდარიდან მომდინარე სიტყვაა, შდრ. **იცი** – იქნება). უნაყოფო მიწას მეგრელები ხატოვნად **ჩიჩიე დიხა**-ს (ლაჩარ მიწას), **უგურე დიხა**-საც (უგულო მიწა) უწოდებენ. იხსენიებენ აგრეთვე, როგორც **ლექინ დიხა**. ეს უკანასკნელი უნდა ითარგმნოს, როგორც მჩატე მიწა, რადგან **ლექინი**, როგორც ბ. ველინის მასალებიდან ჩანს, აღნიშნავდა მჩატეს (შარაძე, 1981, გვ. 88). ამგვარი მწირი, უნაყოფო მიწის აღმნიშვნელია **ბურსუკი დიხა** (ქაჯაია, I, გვ. 268).

ქვიანი ადგილი **ქვალონი** / **ქუალონი**-ა (ჩიქობავა, გვ. 308) და მას **კადარი**-ც ჰქვია, ხოლოში-ც, **კეჭეხი**-ც, **კაწარი**-ც, **დვანა**-ც, **კაჟონა**-ც, **კვერცხა**-ც, **კენჭონა**-ც (რუხაძე, 1976, გვ. 13).

ასეთივე სემანტიკისაა **გაჯარი**-ც, რომელიც ფონეტიკური სახესხვაობა ჩანს **კადარი**-სა (ერთის მხრივ განისა და კარის, მეორეს მხრივ კი დონისა და ჯანის მონაცვლეობა უცხო არაა მეგრულისათვის).

ამ ტერმინებიდან რამდენიმეს მნიშვნელობის დაზუსტება მათი ეტიმოლოგიზირების გზითაა შესაძლებელი.

კაჟონა კაჟნარს ნიშნავს მეგრულად, ხოლო **კენჭონა** – კენჭნარს. ქვიანი ადგილის აღსანიშნავად მეგრულში დასტურდება კიდევ ერთი სიტყვა – **ხაბო** (ი. ბებია, გვ. 12) ეს სიტყვა მ. კვირტიას მიერ 1936 წელს 96 წლის სიკოლია შენგელიასაგან ჩაწერილი განმარტებით, ქვა-ლორღს ნიშნავს (მ. კვირტია, 2001, გვ. 185).

ხაბო XIX საუკუნის მიწურულის დოკუმენტებშიც დასტურდება. მაგ.: ერთგან მოხსენიებულია – „სისო, ივა და კობტა ბასელაიების დატოვებული ადგილი ხაბო სანახია“ (ზუგდ. მუზ. დოკ. 3413).

გვალვის გამო გახუნებულ, გაუხეშებულ მიწას **გოლოფირი** ჰქვია. **გოლოფირი** მიმღეობაა გოლოფანს ზმნისა და ნიშნავს ნაგვალვევს.

მიწის ქვედა, წყალგაუმტარ ფენას **მელჭვილი** / **მელჭვირი** ჰქვია, ქვიშიან ადგილს – ქვიშიონა. ამგვარივე ადგილის აღსანიშნავი სიტყვები ჰგონია ჯ. რუხაძეს აგრეთვე **ლაგოზი** / **იაგოზი**, **ენწერი** / **ეწერი** და **ხინჭყონა**-ც (ჯ. რუხაძე, 1976, გვ. 13), **ენწერი** / **ეწერი** მეგრულში მდინარისპირა მიწას ეთქმის, **ხიჭკონა** კი ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს **ხინჯონა**-სი, რაც წინდარს ნიშნავს (**ხინჯა** / **ხენჯა** პ. ჭარაიას განმარტებული აქვს როგორც ხენჯი, რკინეულობის წიდა (იხ. პ. ჭარაია, 1997, გვ. 180). რაც შეეხება ამ სიტყვის ფონეტიკურ სახესხვაობას – **ხინჭკონა**, მასში **ქ** ჰარმონიული კომპლექსის წარმოშობის მიზეზით გვიან განვითარებული ჩანს.

უაღრესად საინტერესო სიტყვაა **მერე**, რომელიც იოსებ ყიფშიძემ მეგრულში დაადასტურა ტბის მნიშვნელობით (ყიფშიძე, 1914, გვ. 483) ეს სიტყვაა დაცული სულხან-საბას „სიტყვის კონაშიც“. განმარტავს რა სიტყვას **მეიდან** (მოედანი) ის წერს: „მეიდან, მეიდან სხვათა ენას, ქართულად მერე, მინდორი, ფორი ჰქვია“ (სულხან-საბა „სიტყვის კონა“).

ტოპონიმიაზე დაკვირვების მეშვეობით ივანე ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ **მერე** არა მარტო მეგრულსა და გურულში, არამედ ქართულის სხვა კილოებშიც იყო დაცული.

მერე-ს უკავშირებენ მეგრულ სიტყვას **მერეხი** / **მელეხი**, რომელიც ნიშნავს თავსხმას, ნიაღვარს, მაგრამ ასეთი სიშორის სემანტიკური გადაწევა თითქოს საეჭვოდ გვეჩვენება. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ ველზე ჩაწერილი იქნა სიტყვა **მერე**, ზუსტად იმგვარივე მნიშვნელობით, როგორც მას გურულ კილოში გააჩნია სოფელ ერგეტაში იგი

განმმარტეს, როგორც მდინარისპირა მინდორი, მდინარისპირა ველი – ჭალეს მერეს ხოლო უძახუნა „ჭალას მერესაც ეძახიანო“ – გვითხრა 86 წლის მოხუცმა ოლღა ცირამუამ).

ნიშანდობლივია, რომ წყლისპირა ვაკის აღსანიშნავად მეგრულში ჯ. რუხაძეს ჩაუწერია სიტყვა **მერეხ / მელეხ**-იც (ჯ. რუხაძე, 1976, გვ. 13). მაგრამ **მერეხი / მელეხი** ი. ყიფშიძის განმარტებით (ყიფშიძე, 1914, გვ. 279), და ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვითაც წვიმას აღნიშნავს (ი. ბებია, გვ. 17).

მოსილულ, მოშლამულ, მოსწორებულ ადგილს ჰქვია **ბონდორი** (ელიავა, 1997).

დაუხნავ-დაუთესავ ადგილს **დუტუ**-ს ეძახიან (ბებია, დღიური, გვ. 34). ო. ქაჯაია კი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც ღრუ, ცარიელ ადგილს (ქაჯაია, I, გვ. 515).

მდინარისპირა ნოყიერ, მოლევკილ ადგილს ერთ-ერთი წყაროთი **ნოღა** ჰქვია (მ. გეგეშიძე, 1987, გვ. 46), მეორეთი კი – **ნოღე** (რუხაძე, 1977, გვ. 13). პირველი ქართული ჩანს, მეორე კი მეგრული კანონზომიერი შესატყვისი. წყლისპირა ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე **ოღეზე, ტეზე / ტეზი** და **ჭალე** (რუხაძე, 1976, გვ. 13).

ტეზი ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით ჩაღრმავებული მიწაა. რესპოდენტის სიტყვით, ტეზი ინორთელ დიხა რე „ტეზი ჩაღრმავებული მიწა“ (ი. ბებია, დღიური, გვ. 8). ასეთი ადგილის აღსანიშნავად მეგრულში ენოლაფირი არდგილი (ჩავარდნილი ადგილი) იხმარება.

ჭაობიანი ადგილია **ჩირე, ჭყონჭყო**, წყარამ არდგილი. ასეთი ადგილი მხოლოდ ბრინჯის (**ორზა**-ს) სათესად გამოიყენებოდა. საყანედ კარგია – ოყვანეთ ჯგერო რე მზიანი ადგილი – **ოჩხანე / ოზჟათე / ოზჟალე**. არ ვარგა: **ორო ადგილი** (ჩრდილი ადგილი), **რუმე არდგილი** (ბნელი ადგილი), **როზუ** (ხრამი). ამგვარ ადგილს **შველი / ოშველე**-ც ჰქვია (რუხაძე, 1976, გვ. 14).

ბუჩქი მეგრულადაა **ბართვი / ბარდვი / ბარდუ** – ბართვი დო ჯაში ჯინჯი ის ოშქურინუანს „ბუჩქი და ხის ძირი მას აშინებს“ (ბერიძე, 1920, გვ. 127), ბარდვი, ჯალეფი დო ჯიკი ჭყიშის ოშქურინუანს „ბარდი, ხეები და ჯირკი მწყემსს აშინებს“ (სამუშია, 1990, გვ. 82).

ბარდნარს **ბალანტარი** და **ბარდონი** ჰქვია, ეკალნარს კი – **კაკლარონი** – კაკლარი დო ბალანტარი, ჯითაჯინს ქათაკვათი „ეკალ-ბარდნარი ძირის ძირში მოჭერი“ (ბებია, დღიური, გვ. 44).

ნათელი ვაკე ადგილი არის **გოთე** (ბებია, დღიური, გვ. 18), **გოთე**-ს განმარტავენ აგრეთვე როგორც ტყისპირს (ფიფია, 1999) ამ უკანასკნელ განმარტებას მხარს უჭერს ერთი ტექსტობრივი მაგალითი – აკისერუნ, გითილ გოთეშა „როცა დაღამდა, გამოვიდა გოთეში“ (ხუბუა, 1937, გვ. 60).

ნაყოფიერების მოსავლიანობის მიხედვით საყანე ადგილების აღმნიშვნელი მეგრული ტერმინებიდან მნიშვნელოვანია სიტყვა **დიხაშხო**, რომელიც მეგრულს დაკარგული აქვს, მაგრამ გურულში, იმერულსა და ლეჩხუმურში (ბერაძე, 1921, გვ. 11) შემონახულია. ქართულის ამ სამსავე კილოში **დიხაშხო / დიხაშყო** აღნიშნავს ზოგადად ნიადაგს, ასევე კარგ მოსავლიან მიწას (ღლონტი, 1984, გვ. 208). ამ კომპოზიტის მეგრულობა ექვს არ იწვევს, რადგან მასში გვაქვს მიწის აღმნიშვნელი სიტყვა **დიხა**, **დიხაშხო**-ს მეორე ნაწილი **შხო** ზედსართავი სახელი უნდა იყოს.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, **შხო** იგივე მეგრულ-ჭანური **შხუ** უნდა იყოს. **შხუ**-ს, რომელიც „მსხვილს“, „სქელს“ აღნიშნავს, სემანტიკური გადაწევის გზით „მსუქნის“ მნიშვნელობაც აქვს შეძენილი. ამიტომ ***დიხაშხუ** „მსუქანი მიწა“, ნაყოფიერი მიწის მნიშვნელობას შეიცავს (ჯავახიშვილი, 1934, გვ. 120).

ცნობილია საინტერესო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც **დიხაშხო**-ს მეორე ნაწილი **შხო**

მეგრულში უნდა იყოს დასვენებული, ნოყიერი მიწის აღმნიშვნელი შხუნა, რომელსაც -ნა ელემენტი აქვს მოკვეცილი (როგავა, 1978, გვ. 103).

უხვმოსავლიანი მიწაა ასევე **უჩა დიხა** (შავი მიწა), ხოლო **ჭითა დიხა** (წითელი მიწა) ცუდმოსავლიანია. ნოყიერ მოლეკილ მდინარისპირა მიწას **ნოლა**-საც ეძახიან (გეგეშიძე, 1987, გვ. 46).

მოსავლიანობით არცთუ გამორჩეულ მიწას **თხინა**-საც უწოდებდნენ და **დიბინე**-საც (რუხაძე, 1976, გვ. 14) ცუდმოსავლიან მიწას მეგრულში ჰქვია **ფურცი**, **ფაქარი**, **ფატარი**, **ნარსილ** / **ნარცილ** / **მირციუ** / **ნოყუნი** (რუხაძე, 1974, გვ. 14).

მაღალმთიან სოფელ ჩქვალერში ჩავიწერეთ ამ უკანასკნელი ტერმინის ვარიანტი – **ნოყონი**, რომელიც განგვიმარტეს, როგორც „ნაყანევი“, ზემოთქმულიდან გამომდინარე, სენაკურ კილოში დაცული **სონა** არის ქართული ყანა სიტყვის ზუსტი კანონზომიერი შესატყვისი, ამიტომ **ნოყონი**-ს ის განმარტება, რომელიც ჩქვალერში იქნა ჩაწერილი, ზუსტი ჩანს.

უნაყოფო, ჯაგით დაფარულ ხრიოკს **კაცხორა** ჰქვია. ეს სიტყვა პ. ცხადაიას მეგრულის მიერ სვანურიდან ნასესხები ჰგონია (პ. ცხადაია, მიებანი, გვ. 42), მაგრამ ის უფრო აფხაზური წარმოშობისა ჩანს (შდრ. აფხ. აკაწღერა „ციცაბო ადგილი“).

კიდევ ერთი სიტყვა უნაყოფო მიწის აღმნიშვნელი **ჩქვალა**-ს სახით გვაქვს მეგრულში. ერთმა ჩვენმა რესპოდენტმა ამ სიტყვას დაუკავშირა სოფლის სახელწოდება **ჩქვალერი** (ი. ბებია, დღიურები, გვ. 22).

ანარკიაში (ანაკლია), დღვაბაში, ყულევში, ფიჩორში, განმუხურში, ერგეტაში, ოტობაიაში და რამდენიმე სოფელში იცოდნენ **ოგაფა უკნუნჭაფუ ყვანა** „კავშირუკარებელი ყანა“, რომელსაც **უბონუე ხვანა**-საც (მოუხნავ ყანას) უწოდებენ რესპოდენტების გადმოცემით, ამ სოფლებში **ლიბუ** (რბილი), **ცვალცალი** (ყველისმაგარი) მიწის ნაკვეთებს არ ხნავდნენ, კავს არ აკარებდნენ (ოგაფა უკნონჭაფუ, სწორედ კავშირუკარებელს ნიშნავს). მასზე მოუხნავად ყრიდნენ თესლს და ამიტომაც უწოდებდნენ **უბონუე ცვანა**-ს, რაც სიტყვა-სიტყვით მოუხნავ ყანას ნიშნავს (ი. ბებია, დღიურები, გვ. 14).

სწორედ ამგვარი თესვა აქვს აღწერილი ჟან შარდენს, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში. „სამეგრელოში ნიადაგები ისეთი სველია, – წერს ის, – რომ ხორბლისა და ქერის თესვისას მიწას სრულიად არ ამუშავებენ, რათა იგი მეტისმეტად არ დარბილდეს. მარცვლეულს აბნევენ მიწის ზედაპირზე. ამ წესით დათესილი, იგი მშვენივრად ამოდის“ (შარდენი, 1975, გვ. 111-112).

ნიადაგის ერთ-ერთ სახეობას მეგრულში **დიხაჭუბერი** ჰქვია. ი. ყიფშიძის განმარტებით, დიხაჭუბერი ეწოდება „თეთრ მიწას, რომელსაც თავის დასაბანად ხმარობენ“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 227). ივ. ჯავახიშვილის აზრით, **დიხაჭუბერი** წაბლისფერ (**ჭუბურიშფერ**), მიწაწაბლა უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 134), მაგრამ ამ ნიადაგის თვისების (წებოვნების) გათვალისწინებით მასში არა წაბლის (**ჭუბური**), არამედ წებოს (**ჭაბუ**) აღმნიშვნელი სიტყვა უნდა გვექონდეს და სიტყვა-სიტყვით მიწაწებოვანს უნდა ნიშნავდეს, მით უფრო, რომ მეგრულში ნოყიერ ნიადაგს **ოჭაბაია**-ც (წებოვანაც) ჰქვია.

ლურჯ თიხნარს, რომელიც უმეტესწილად წყლიანი ნიადაგის ქვედა ფენას წარმოადგენს (ზედა, ტალახოვანი ფენა მეგრ. **ტყორტყო**) **ლები** ჰქვია. სულხან-საბა ერთგან წერს: „არჯასპი სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვიათ, შავის საღებავია“. მისი აზრით, „მიწალები ძველი

ქართული ტერმინია და ორი ნაწილისაგან მიწისა და ლევისაგან შედგება, რომელთაგან მეორე ლურჯსა ჰნიშნავდა“ (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 134).

ყამირი მიწის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **უგუტახე** (გაუტეხავი) და **უყი**, რომლის სემანტიკაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. გარდა ამ ორი ტერმინისა, მეგრულში ყამირის შესატყვის კიდევ ერთ სიტყვას იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი. ესაა **კაბეტი** (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 138). ამგვარი მნიშვნელობით ეს სიტყვა დღეს მეგრულში აღარ დასტურდება, მაგრამ, სამაგიეროდ, დაცულია ქართულის დასავლურ კილოებში (იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში), რომლებსაც სუბსტრატული დანალექის სახით არა ერთი მეგრული სიტყვა შემოუნახავს.

ვფიქრობთ, **კაბეტი** სიტყვას ყამირის მნიშვნელობა სემანტიკური გადაწევის გზით უნდა შეეძინა. თავდაპირველად ის დიდი ყამირის აღმნიშვნელი ტერმინის მსაზღვრელი უნდა ყოფილიყო და ყამირის აღმნიშვნელი სიტყვის დაკარგვის შედეგად ამ სიტყვამ მიიღო მისი მნიშვნელობა, რომლითაც ის იმერულსა და სხვა კილოებში დაილექა სუბსტრატის სახით.

ფშვნად ფიქალ ქვას, რომელსაც ნიადაგის გასაწოციერებლად იყენებდნენ **სანგუ** ჰქვია (კვიციანი, 2001, გვ. 135). მიწის გასაწოციერებლად გამოიყენებოდა ფენებად შლადი, ლეგა ფერის ნიადაგი, მას **ტკილი** ჰქვია.

მოსავალაღებულ ადგილს **ნაჩალ** ჰქვია, რაც სიტყვა-სიტყვით „ნაცელავს“ ნიშნავს (როგავა, 1960, გვ. 164). მოშიშვლებულ მინდორს **ტიოზი** / **ტილოზი**-ს უწოდებენ, საყანედ გამზადებულ ახოს **ნაჭვარა**-ს (რაც ნაკაფარს ნიშნავს), **გუნაჭვ**-ს (გადამწვარი) ახოს ქვა-ღორღისაგან გასუფთავებას კი **ეწიმინდუა** (აწმენდა).

საყანედ (**ოყვანეთ** / **ოყვანუთ**), სათესად (**ოთასალო**) ტყის ან ბუჩქნარ-ბარდნარის (**მიგირიანი**-ს) აკაფვას **ჭვარუა** / **ეჭვარუა** / **გოჭვარუა** ერქვა.

ორ-სამ წელიწადს დანასვენები მიწაა **შხუნა** (ჯიბლაძე, 1979, გვ. 6). ორივე მხრივ დაქანებულ ვიწრო ზედაპირის მქონე გრძელ მაღლობს **გაბარი** ჰქვია.

ბალახმორეული ყანა არის **ანჯერი** (ნ. ჯომიდავა, 2000, გვ. 27) საბატონო მიწას, ზოგის თქმით, **ნაკაკა** ჰქვია (კვიციანი, 2000, გვ. 243).

ნაჯვარა-ს ეძახიან ნამეხარ ადგილს (ი. ბეზია, დღიური, გვ. 31).

აშამინდორია-ს ისეთ მინდორს ეძახიან, რომელსაც ირგვლივ ტყე აკრავს.

ალაფერდა / **ელაფერდა** ჰქვია ყანას ფერდობზე – ალაფერდას ცვანა მილუ, ძამ ჯგირი დო ხვეიანი „ფერდობზე ყანა მაქვს, ძალიან კარგი, ხვავიანი“ (ბეზია, დღიური, გვ. 38).

ტოფი, რომელიც დღეს მეგრულში არ იხმარება, ოდესღაც როგორც კ. დანელია ფიქრობდა, ვაკის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო კოლხურში და მისი ქართული ფონეტიკურად კანონზომიერი შესატყვისი უნდა იყოს ტაფ- ფუძე, რომელიც გვქვს გორაკებს შორის ჩავარდნილი ადგილის აღმნიშვნელ ტაფ-ობ სიტყვაში (კ. დანელია, 1991, გვ. 605). ეს სიტყვა ვაკის მნიშვნელობით დღემდის დაუცავს იმერულს, რომელშიც ის ზანიზმად უნდა იქნეს მიჩნეული.

ახოს პირველად გადახვნის შემდეგ ზედაპირზე დარჩენილ ტოტებისა და ფესვების ნარჩენებს გადაწმენდნენ გამხმარი ხის ტოტებით, რომელსაც **ჩხვერკი** ერქვა – ჩხვერკით გინობურცხანდით ოყვანეთ გუნოჭვილ არდგილს „ჩხვერკით გადაწმენდდით საყანედ მიჩნეულ ადგილს“ (ბეზია, დღიური, გვ. 32).

თავი II
ყანისა და ბოსტნის აღმნიშვნელი ლექსიკა
სამიწათმოქმედო სამუშაოების აღმნიშვნელი ლექსიკა

მეგრული ოჩე დიდყანას, ხოდაბუნს ნიშნავს (ელიავა, 1997, გვ. 110). ქართულის დასავლურ კილოებში ეს სიტყვა ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. გურულში ოჩე ახალგაკაფულ, კარგ მოსავლიან ადგილს ჰქვია (ლლონტი, 1984, გვ. 432).

ეს სიტყვა დაცულია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ უძველეს მეგრულ სარიტუალო სიმღერაში „ოჩემ ხვე დო ხვარიელი“ (ჩიჯავაძე, 1974, გვ. 58). ოჩე დანიშნულების ო- პრეფიქსით ნაწარმოები ნაზმნარი სახელი უნდა იყოს და მასში უნდა გვექონდეს R- ძირი, რომელიც ჩანს, უჩანს ზმნაში გვაქვს. ო-ჩ-ე სემანტიკურად სათესს, ნათესს უნდა ნიშნავდეს (შდრ. ნოჩე – „დათესილი ჰქონია“). ჯ. რუხაძე ყურძნის ერთი მეგრული ჯიშის ჩემი-ს სახელს ოჩე სიტყვიდან მომდინარედ მიიჩნევს (რუხაძე, 1976, გვ. 17). მზიანი, ნოყიერი მიწის ნაკვეთის სახელს ოჩხონაფუ-ს ეთნოგრაფები უკავშირებენ ჩხონაფა (ცხონება) მასდარს (რუხაძე, 1976, გვ. 18). ოჩხონაფუ საფიქრებელია, რომ ოჩხონაფუ-ს (სამზეოს, სამზეუროს) ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს. თუმცა ამ სიტყვის არც ომხუნაფუ-დან წარმომავლობაა შეუძლებელი (ცხადაია, 1999, გვ. 80).

სიმინდის ყანას ოლაიტე-ც ჰქვია და ოსიმინდე-ც. ქერის დასათეს ადგილს კი – დობუჯე. კარგად ამოსული ყანა არის ანჯერი ცონა (ბებია, დღიური, გვ. 33). ანჯერ-ს ო. ქაჯაია განმარტავს, როგორც ადგილს, სადაც ქორფა ბალახი იზრდება. გადატანითი მნიშვნელობა კი ანჯერი-სა არის ბევრი ფული, ბევრი სასმელ-საჭმელი (ქაჯაია, I, გვ. 189).

ბოსტნის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა ორტვინი, ძვ. ქართული სამტილე-ს და სვან. ლერტამ-ის შესატყვისია (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 111).

ახოს აღებას, ტყის ან ეკალ-ბარდნარის საყანედ აკაფვას ჰვარუა / ჰვერუა ჰქვია, საყანედ გაკაფულ მიწას ნაჰვერა / ნოჰვერა. ახოს აღებისას იცოდნენ საყანე ადგილის გადაწვა – გინოჭუალა. ცეცხლის წაკიდებას ათონტება-ს, დაჩხირიმ მერზამა-ს ეძახიან.

გაკაფვისას ჰრიდნენ როგორც ხეს, რომელსაც ჯა ჰქვია (ამ სიტყვის სრული ფორმა ჯალ მრავლობითშია დაცული ჯალ-ეფ-ფ – ხეები. მეგრ. ჯალ ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ძელ სიტყვისა), ასევე ბუჩქებს, რომლის სახელად დასტურდება ბართვი – ბართვი დო ჯაში ჯინჯი „ბუჩქი და ხის ძირი“ (მეგრ. ტექსტ, I, გვ. 203).

ჰვარუა / ჰვერუა წვის მნიშვნელობის შემცველი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, ხოლო ნაჰვარა / ნაჰვერა კი ნაწვისა, გადანაწვისა ამ სიტყვებში კაფვა – ნაკაფის მნიშვნელობა სემანტიკური გადაწვის შედეგი ჩანს.

ხის მოჭრილი, დამჭნარი ტოტია ჟვერი. თუთის ხის ანატყავები, რომელსაც ხმარობენ მოჭრილი ტოტების შესაკრავად, არის შვერთი / შქვერთი.

ხონუა არის სახელი ხონუნს ზმნისა – ძალა ეკობონს ხონუნს „ძალა აღმართს ხნავს“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 178).

ცნობილია, რომ მეგრ. მასდარში ხონუა დაცული ხონ ფუძე მომდინარეობს საერთო ქართველური *ხან ფუძისაგან (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 234). ქართ. მასდარი ხვნა და, ცხადაია, მისი მეგრული შესატყვისი ხონუა კ. შმიდტს ჯან-ხარ სახელის სემანტიკური გადაწვის

შედეგად მიაჩნდა (შმიდტი, 1989, გვ 85; 105).

ყურადღებას იქცევს ხვნასთან დაკავშირებული ერთი მეგრული ტერმინი – **მზარალათ ხონუა** ზუგდიდში გამოცემულ ქართულ-მეგრულ გაზეთ „კომუნარის“ 38 წლის 11 იანვრის № 8 ნომერში ნაბეჭდ წერილში – „მზარალათ ხონუა გუათეთ“ ნათქვამია – 25 გერგობათუთაშო... შისრულინ მზარალათ ხონუაშ გეგმაქ „25 ნოემბრისათვის შესრულდა მზარალათ ხვნის გეგმა“. ამ ცნობის გათვალისწინებით მზარალათ ხონუა ზამთრისპირზე ხვნის აღმნიშვნელ ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.

ხვნა სხვადასხვანაირი იყო. მთაში იცოდნენ **განშე ხონუა** (გვერდული ხვნა) (იხ. დანართი, ტაბულა № 1), **ელანჯირაფილი / ილანჯირაფილი ხონუა** (დახრილად ხვნა) (იხ. დანართი, ტაბულა № 1), **ჯვარულო ხონუა** (ჯვარედინად ხვნა) (იხ. დანართი, ტაბულა № 1), ბარში კი იცოდნენ **ბჟადალგშე, ბჟაეიოლუშე ხონუა** (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ხვნა), **თუდოლუშე ჟიმოლე ხონუა** (ქვემოდან ზემოთ ხვნა). ამ ტერმინებიდან უფრო დაწვრილებით განმარტებას მოითხოვს **ელანჯირაფილ ხონუა**. ელანჯირაფილ ხონუა ჰქვია ხნულების გავლებას იმ სახით, როგორც ეს მოცემულია გ. ელიაშვილის საილუსტრაციო ნახაზში (ელიაშვილი, 1989, გვ., 55) ერთხელ მოხულის ჯვარედინად მეორედ მოხვნას **აოშვა**-ც ერქვა (ქაჯაია, I, გვ. 189).

მოუხვნავად ჩარჩენილ ადგილს ყანაში **გოლია**-ს ეძახიან.

ქართ. თესავს – მეგრ. თასუნს ზმნა ნასახელარია, მიღებულია ქართ. თესლ- და მეგრ. თას-სახელებისაგან.

ქართ. თეს- ზანური თას- ფუძეებში გვაქვს ხმოვნების კანონზომიერი შესატყვისობა, მაგრამ თანხმოვნებისა არა. „თანხმოვანთა შესატყვისობის მხრივ მოსალოდნელი იყო ზანურში თაშ“ (როგავა, 1954, გვ. 52).

ამრიგად, თესლის აღმნიშვნელი მეგრული თას- სიტყვის თავდაპირველ ფორმად *თაშ-უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ, როგორც გ. როგავა თვლის, თესვის აღმნიშვნელი ფუძე საერთო ჩანს ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში (როგავა, 1954, გვ. 52).

ხაჩქუა სახელია ხაჩქუნს ზმნისა. იმ ყანის გათოხნას, რომელიც ფერდობზეა, **გილახაჩქუა**-ს ეტყვიან გამოთოხნა **გიშახაჩქუა**, ხოლო **გობარგუა** – შემომარგვლა – ჯიმუმ მათასალი მუს გაბარგანსია „მარილის მთესველი რას შემომარგლავსო“ (ხალხ. სიბრძნე, I, გვ. 192).

თოხნის ქართული ზმნის მსგავსად მეგრული **ხაჩქუნს** ნასახელარი ზმნა უნდა იყოს, მაგრამ მასში თოხის აღმნიშვნელი ბერგ- სახელის ნაცვლად საიდანაც *ბერგუნს სავარაუდო ზმნა უნდა მიგველო, გვაქვს ხაჩქ- ფუძე, რომელიც თოხის ერთ-ერთი სახეობის სახელად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, **ბერგ**- თოხის აღმნიშვნელი მეგრულის მიერ ქართულიდან შეთვისებული (თვით ქართულის მიერ კი დაკარგული) სიტყვა უნდა იყოს და მისი კანონზომიერი მეგრული შესატყვისის დაცულია: *ბარგ შემონახულია მასდარში **ბარგუა** „მარგვლა“ და შემოთოხნის აღმნიშვნელ მასდარში **გობარგუა**. ღომის პირველ გათოხნას **კერშუა / დოკერშუა** ჰქვია, მეორედ გათოხნას **ცქვარუა, გოცქვარუა**. სიმინდის მეორედ გათოხნას კი – **მაჟირუა**. ზოგჯერ ყანას მესამედაც თოხნიდნენ და მას **მასუმუა** ერქვა (მასუმუა – მესამე) (მაჟირა / მაჟერა მეგრულად მეორეს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს იმ ნაწილში, რომელიც იმერეთს ესაზღვრება პირველ გათოხნას **პირადი** ჰქვია, ხოლო მეორედ გათოხნას – **მორიდი** (ჯალაბაძე, 1979, გვ. 31). ეს ორი უკანასკნელი სიტყვა იმერულიდან ჩანს მეგრულში შესული იმერულში პირადი და

მორადი / მოროდი ზუსტად იგივე მნიშვნელობისაა, რაც მეგრულში (ლლონტი, 1984, გვ. 377, 438).

ქარჩით თოხნას ჰქვია **ჩენგუა** (ჩენგი – ქარჩი). ჩენგუა ნასახელარი ზმნაა და ქარჩით თოხნას ნიშნავს.

უცი-ს (ყამირის) პირველ ხვნას **დიხაში ტახუა** (მიწის ტეხვა) ერქვა, მეორედ ხვნას – **რჩქონუა** (მგელაძე, 1979, გვ. 47), მესამედ ხვნას კი – **ოთასუე ხონუა** (ი. ბებია, დღიური, გვ. 14).

ბელტი მეგრულში გვაქვს **ბერტი** და **ბერთი** ფორმით – დამორჩილს ოკო იხონას მუთ შილებენ ბერთ-ბერთო ერაგვაფილო“ (ყაზაყიშ გაზეთი, 1930, 1, 06); მუთ ბერტეფ ვარენო ეთმეცენს თე ხონუასინი“ (მ. ხუბუა, გვ. 56).

კვალს, ხნულს გავლებულს კავის მიერ, ისევე როგორც ქართულში, ეწოდება კვალი, ამავე მნიშვნელობისაა სიტყვა ნოლო-ც (გეგეშიძე, 1961, გვ. 108).

ნათოხნი მიწის კიდევ უფრო წვრილად დანაწილებას **ქექუა** ჰქვია. **ქექუა** ნასახელარი მასდარი უნდა იყოს და ის თოხის ერთ-ერთი სახეობის სახელს **კეკო**-ს უნდა შეიცავდეს. მართალია, **კეკო** თოხის მნიშვნელობით დღეს მეგრულში არ გვხვდება, მაგრამ იმერული კილოს ლექსიკაში დადასტურებული ეს სახელი თოხისა მეგრულშიც რომ უნდა არსებულებოდა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აფხაზურში მეორედ გამარგვლის აღსანიშნავად გვაქვს აკუაკუავა (ქანთარია, ჩინბა, 1987, გვ. 50).

ფოცხვა მეგრულად არის **ბუცხუა / ბურცხუა** – ორტვინიშ დიხას გეგნობურცხანა, ბერტეფს გეგნიღანა „საბოსტნე მიწას გადაფოცხავენ, ბელტებს გადაიტანენ“ (ქაჯაია, I, გვ. 274).

ხორბლის ლეწვას მეგრულში **კალუა / ნკალუა** ჰქვია და მასში ქართ. კალო-ს შესატყვისი **კალუ** სიტყვა უნდა გვქონდეს. სალექსავი ადგილის (კალოს აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს ოკალეში / ონკალეში. ნაბარავი მიწის თოხის ყუით დაქუცმაცება არის **ჭკვაჭკანტუა**.

ქართ. კრეფა მოკრეფა მასდარს მეგრულში **წილუა / მუკოწილუა** შეესაბამება. მეგრ. წილ ფუძეს ქართულში შესატყვისი (თუმცა არა კანონზომიერი) მოუძებნა არნ. ჩიქობავამ სულხან-საბასთან დაცული **მოწილვა** მასდარის სახით, რომელიც დიდ ლექსიკოგრაფს განმარტებული აქვს, როგორც „ხილთ კრეფა“ (ჩიქობავა, 1938, გვ. 395).

რაც შეეხება ქართ. კრეფ- ფუძეს მას მეგრულსა და ლაზურში **კოროფ**- ფუძე შეესატყვისება. ეს მასალა პირველად ნ. მარმა შეაპირისპირა. გ. კლიმოვი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *კრებ- არქეტიპი (კლიმოვი, 1964, გვ. 114), ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ კი *კრებ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 190).

გვადლუა სახელია გვადლუნს ზმნისა, რაც ღომის თავთავისათვის ჩალისა და ღეროების მოცილებას ნიშნავს (ქაჯაია, I, გვ. 317).

გითოქვარქვაშელი მიმღეობაა **გითოქვარქვაშანს** (გამოწმინდავს) ზმნისა, და, ჩვეულებრივ, იხმარება ყანასთან, ბოსტანთან მიმართებაში – ჰაუ, ჰაუ, მუ ჯგირი რე ცვანა გითოქვარქვაშელი (ქხს. I. გვ. 36). ყანის ისე გამოთოხნა, რის შემდეგაც ბალახი არ რჩება, არის **გითიხვარხვალუა** (ბებია, დღიური, გვ. 4).

ახალშემოსული ლობიო არის **ჭყვერტი**, სიმინდი კი **ჭყინტი** – ჭყვერტ ლეზიაშ მუკოწილუა მოკოდე „ნედლი ლობიოს მოწყვეტა მინდოდა“ (ბებია, დღიური, გვ. 12); ხაშილ ჭყინტ ლაიტ ვაუჟორცენ ფერ მირე „მოხარშული ჭყინტი სიმინდი ვის არ უყვარს“ (ბებია, დღ. გვ. 12).

გემუა მეგრულად არის მკა, აქედან – **გემათუთა** (< გემაშთუთა) – მკათათვე.

სიმინდის ცეხვას, ფშვნეტას **ჩამურუა**-ც ერქვა და **ჩაჩუა**-ც. ადგილს, სადაც ცეხავდნენ, **ოჩაჩუე / ოჩამურე** ერქვა. **ჩამურუა** ნასახელარია უსრული ზმნისა. მასში გვაქვს საცეხველი იარაღის **ჩამური**-ს სახელი.

სიმინდის ფშვნა არის **კაკალუა**, სიმინდის ყანის აჭრას, ძირიანად ამოგდება-ამოთხრას **ღერიშ ეყოთამა** ეწოდება. სიმინდის მარცვლის განიავება არის ბაყუა – სკანცალი ცირა მუთ მოკო, სიმინდს გილაბაყუნქინი „შენისთანა გოგო რად მინდა, სიმინდს რომ მიანიავ-მოანიავებ“ (ქხს, I, გვ. 126).

მარცვლეულის თავთავის უხეშად გლეჯა არის **ბუდონი / ბუდონუა / ბუდორუა / პუტორუა** (ქაჯაია, I, გვ. 262).

აჭრილი სიმინდი, ჩალა არის **ჭა**, რომლის კილებად (მეგრ. **კილი** – კონა) აკვრას **კილიშ კირუა** (კონის შეკვრა), **ჭაშ აკოკირუა** (ჩალის შეკვრა) ჰქვია. კონას მარტვილურ თქმაში **კიი**-ს ეძახიან. გარდა ამისა, კონის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **კირუა / კორუა** (გელაძე, 1979, გვ. 55). **კირუა / კორუა**-ს სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობაა „შეკვრა“. ჩალის დაზვინვას **გერზვენუა**-ს უწოდებენ, ზვინს კი – **რზვენ**-ს ეძახიან.

ლომის პირველი გათოხნა არის **კერშუა**, მეორე გათოხნა კი, **ცქვარუა**. **ბუცხუა** ნასახელარი ზმნაა და ფარცხვას ნიშნავს (**ბუცხი** – ფორცხი). ამასთან, მეგრულში გვხდება **ფაცხუა**-ც (**დოფაცხე** – დაფარცხა), მოფორცხვის აღმნიშვნელი კიდეც ერთი სიტყვაა მეგრულში **ნჯოლუა / ჯოლუა**-ს სახით (კილანავა, 1998, გვ. 15).

თოხის, ცელის და სხვა იარაღების ალესვა არის **პირუა**, **ანჯარიშ პირუა** (იარაღის ალესვა).

კალოს მეგრულად **ო-კალ-ემ**-ი ჰქვია. მოსალოდნელი *კოლ- ფუძის ნაცვლად, რომელიც ქართ. კალ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი იქნებოდა, აქ ფონეტიკურად ქართულის იდენტური ფუძე გვაქვს. სამაგიეროდ, კევრის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა **კელი** (ჭანტურია, 1996, გვ. 217) და პურის ლეწვის აღმნიშვნელი მასდარი **ნ-კელ-უა** (ფიფია, 1999, გვ. 32) შეიცავენ კელ- ფუძეს. ქართ. კალ- მეგრ.-ჭან. კალ-, სვან. - კალ/კალუ საერთო ქართველური ენობრივი შესატყვისობისდროინდელი მასალაა. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ სიტყვა კალო, მისი ამ მნიშვნელობით, როგორც ჩანს, მეგრულშიც იხმარებოდა. ამაზე მიუთითებს როგორც ტოპონიმები, ასევე ფოლკლორული მასალა.

ნაკალუ მინდორს ჰქვია სამებონიოში (სოფ. ჯადრა), ნაკალუ კი სახნავის სახელია სოფელ ლექაჯაიეს უბან ეწოწონეში (ცხადაია, 1999, გვ. 31).

ერთ მეგრულ ლექსში ნათქვამია: – ანთას ფუთიანეფი რდგ ულირ წანეფს თქვანი კალო „ათასი ფუთის იყო გასულ წლებს თქვენი კალო“ (სამუშია, 1979, გვ. 145).

მეგრულის მარტვილურ თქმაში კალოს აღსანიშნავად, როგორც ტოპონიმიდან ჩანს, კაე იხმარებოდა. მაგალითად ვაკე-სერს სოფ. ბალდაში ჰქვია **კაე გინძე** (ცხადაია, 1999, გვ. 31).

ყანის მორწყვას **წყარუა**, ბოსტნის მორწყვას კი **ჩხაპუა** ჰქვია. მიწის გაფხვიერება **მერელუა**. ეს უკანასკნელი ნასახელარი ზმნაა და შეიცავს ნოყიერი მიწის აღმნიშვნელ სიტყვას **მერე**. ხელით სარეველების მოშორება არის **გგმახელუა**. ასეთივე მნიშვნელობისაა **კონუა**-ც (კილანავა, 1998, გვ. 95). მოსავლის აღების შემდეგ ყანაში დარჩენილი მოსავლის ნაწილის მოგროვებას **ნაკვერუა**-ს ეძახიან.

მწიფე მეგრულად არის **მონდა**, დამწიფება – **მონდინაფა** – დამორჩილიშ უბადო დღალეფი მუნაწიის მონდინაფას ვაცალენს „შემოდგომის ცუდი დღეები მოსავალს დამწიფებას არ აცლის“

(ბებია, დღიური, გვ. 50), მონდას ოყოთანდეს დო კობუქ გეგთოლგ „მწიფეს ესროდნენ და კვახე ვარდებოდაო“ (მეგრ. ტექსტები, II, გვ. 436).

მწიფეს აღმნიშვნელი ეს სიტყვა გვხვდება **მონდა / მონჭას** სახითაც, რომელიც ვფიქრობთ, ჯვარული კილოსათვის დამახასიათებელი დ > ჯ პროცესით უნდა აიხსნას.

მოსავალი არის **მონაწი / მუნაწია**, მოწეული მოსავლის აღება კი – **მოწია, მუნაწიშ ეჭოფუა** – პატენეფც ვემეზჩათ ჩქინი მონაწია „ბატონებს არ მივცეთ ჩვენი მოსავალი“ (სამუშია, 1979, გვ. 149);

თეურეშე მოლურქუნი, ჯვეში სოფელი რე ცეში, მუნაწი ვეცუაფუ, ახალს გამოჭიშე ჯვეში „იქიდან რომ წამოხვალ, არის ძველი სოფელი ცეში, სადაც მოსავალი არ იქნება, ახალს შეცვლის ძველი“ (სამუშია, 1979, გვ. 102).

თასუას მუქით ორაგადუ მოწიი თიქ იყუა „თესვისას რაც ითქვა, შემდეგ ის ახდა“ (მეგრ. ტექსტები, II, გვ. 428).

მუჭომ მუნაწი რდღ წგ თაქე? – გვარიან პატონი „როგორი მოსავალი იყო წელს აქ? – საკმაოდ, ბატონო (ყიფშიძე, 1914, გვ. 2).

ღორონთქ ნუ მოგილასას სქანი ხეში მოწეული „ღმერთმა არ მოგიშალოს შენი ხელის მოწეული“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 25).

სიმიინდის მოსავლის აღებას **ლაიტიშ ტახუა** (სიმიინდის ტეხვა) ჰქვია. ტაროს მოტეხვას **ტარიშ ელატახუა**. ტაროსათვის გარსის შემოცლას **ლაიტიშ ტარიშ ფურჩონუა**.

მოსავლის აღსანიშნავი კიდევ ერთი სიტყვაა მეგრულში – **ყოფა** – წი ვარე ნანდული ჯგირი ყოფა „წელს არ არის ნამდვილად კარგი მოსავალი“ (ბებია, დღიური, გვ. 52).

მსხმოიარეს აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს სიტყვა **მაფალუუ**, რომელიც **ფალუა** „გახარება“ მასდარიდანაა ნაწარმოები. **ჩანს** ზმნა კი ხარობს ზმნას შეესაბამება – ართი ვარდი ქომიჩანს ზოთონჯიში მაფალუუ „ერთი ვარდი მაქვს ზამთარში ხარობს“ (მეგრ. ტექსტ. I, გვ. 244).

ბარუა (ბარვა) უმეტეს წილად საბოსტნე მიწისა ხდებოდა. (ნაბარავი) ყანის მოზიარეს ქვია **მალათირე** – ოტობაია ყვანათ მიღუ, გორდეფ პუნსუ მალათირე, თიზმა აშენებედანი, მუზმა თევრე მელმათირე „ოტობაიაში ყანა მაქვს ბაყაყების საზიარო, იმდენად აშენებულან, რამდენიც იქით მოაზიარე“ (სამუშია, 1979, გვ. 103).

ნკელუა-ს (ლეწვის) შემდეგ რჩება **ქერელი**, რომელსაც ანიავებენ – **ბაყუნა**. განიავებისას მარცვალს შორდება **ძვეძვი**. ბზეს **ნაქერქა**-ც ჰქვია და **წუ**-ც. **წუს** სხვა მნიშვნელობაცა აქვს – ჭვავის ღეროს ნიშნავს (ბებია, დღიური, გვ. 54).

მიწას განაყოფიერების მიზნით მდინარის შლამსაც აყრიდნენ და მას **სილუა, დიხაშ სილუა** ერქვა. ვფიქრობთ, ამ ნასახელარ ზმნაში ქვიშის აღმნიშვნელი სიტყვა სილა უნდა გვქონდეს – დიხა მუშენ ვასელი, ბრელ ვარყოფუ თასილი, ხულა ხოლო ცარიელი ვართ მალაზა კასილი „მიწა რატომ არ განაყოფიერე, ბევრი არ გქონია დათესილი, სულაც ცარიელია, არც სასიმიინდე ავსილი“ (ქხს, II, გვ. 203)

წვერე / წვირი / წვრიე ნაკელს, ნეხვს ჰქვია მეგრულად – თითო გიდელ წვირე არმა ცუდეს მიკობუნია „თითო გიდელი ნაკელი ყველა სახლში კიდაო“ (ხალხ. სიბრძნე, I, გვ. 52). ნაკელს **გვამ**-საც ეძახიან (ქაჯაია, I, გვ. 323).

წვერუა ნასახელარი ზმნაა და ნიშნავს ნაკელის დაყრას, ნაკელით მიწის განაყოფიერებას (**წვერე** – ნაკელი). **ჟიჟუა**-ც ნასახელარი ზმნაა და უკავშირდება წყლიან ნაკელს – ორტივის ის

მაჟია წანას ბწვერანდი დო მუ ორაგადე რე მუნაწით ჯგირ მიღუდუ „ბოსტანს ყოველ მეორე წელს ვანოყიერებდი და, რა სათქმელია, მოსავალიც კარგი მქონდა“ (ბეზია, დღ. გვ. 51).

ბოსტანში ყოველგვარ მტილეულს პატარ-პატარა ნაკვეთებად თესავდნენ. ცალკეულ ნაკვეთს ერქვა იქ დათესილი მტილეულის სახელი, რომელსაც ემატებოდა სიტყვა **ნოსვერთი** (ნაკვეთი): ქინძიშ ნოსვერთი, პურასკიაშ ნოსვერთი, მაკინდოლიშ ნოსვერთი და ა. შ. ამ ნოსვერთებს შორის ზოგი ერთი ბარის პირ მიწას ტოვებდა დაუბარავს, ზოგი კი მთლიანად ბარავს ბოსტანს და ნოსვერთებს შორის ადგილს ტკეპნის – **ჭაბაკანს, საბაკანს**. სამურზაყანულ თქმაში მეგრულის **ჭაბაკუა / საბაკუა** დასტურდება ფორმით **ზაბაკუა**. ტკეპნას მეგრულად **ბაკუა** ჰქვია.

ჩარტზე ჩამოცმული სარების გამაგრებას **კვენდლუა** ჰქვია – ნამთინემ ჩარტს დობლობუნდით დო დუდწუმოთოლირ დიდ ჭინუს – წკვენტამ ჭინუს ქაშვამარგენდით – ქაშვოკვენდლანდით „ზოგჯერ ღობეს დაწვნიდით და თავწათლილ წნილს წვეტიანი წნელით დავამაგრებდით (ბეზია, დღიური, გვ. 48).

სიმინდის გარჩევაა **ლაიტიშ სხუნუა** (გელამე, 1979, გვ. 55). სიმინდის ფშენაა **კაკალუა**. ეს მასდარი ნასახელარია (მეგრ. კაკალი – სიმინდის მარცვალი). სიმინდის განიავებას კი მეგრელები **ბაყუა**-ს ემახიან და ის ხმაბაძვითი სიტყვაა.

გათოხნის, მოსავლის აღების დროს მეგრელებმა იცოდნენ ურთიერთშეწევნა, დახმარება, რასაც **ნოდი** ერქვა. მეგრ. **ნოდი** ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ნად-ისა (ხუდონში ამ სიტყვას წარმოთქვამენ ფორმით **ნოჯი**, რაც ჯვარული თქმისთვის დამახასიათებელი და დ ბგერის აფრიკატიზაციის შედეგია).

ნოდის წვერებს ის უმასპინძლდებოდა იმ დღეს, რომლის ყანაშიც მუშაობდნენ. თუ ყანა სახლიდან შორს იყო, მასპინძელს **ორზოლი** (საგზალი) მიჰქონდა. ნოდში მონაწილენი რიგ-რიგობით ეხმარებოდნენ ერთმანეთს. გაჭირვებულ ოჯახს, ქვრივს და მის მცირეწლოვან შვილებს მეზობლები ეხმარებოდნენ, მაგრამ ამ დახმარებას ნოდი კი არ ერქვა, არამედ **შენწიება / შეწილობა** და ყოველ დამხმარეს თავისი **ორზოლი** მიჰქონდა.

ძველად სამეგრელოში არსებობდა რაღაც კოოპერაციის მაგვარი ამხანაგობა, რომელსაც **მოლათირე / მალათირე** ერქვა. თ. გელამის მიერ 1885 წელს დაბადებული მარტვილელი გუდუ გაბისონიასაგან ჩაწერილი ცნობის მიხედვით, „თუ მიწას თავიდან ბოლომდე ერთად დავამუშავებდით, ხვნიდან მოსავლის გაყოფამდე, მაშინ ის **მოლათირეობა** იყო, თუ ცალკეულ სამუშაოზე მივებმარებოდით ერთმანეთს, მაშინ ეს იყო **ნოდი** (გელამე, 1979, გვ. 58), მოლათირეობას **აკომხანაგება** ერქვა.

მოლათირე / მალათირე თირუა მასდარის შემცველი მიმღეობაა და ნიშნავს შემცვლელს. ყანის თოხნაში ან მარგვლაში შემწე მეზობლებს **ნოდი**-ს (ნადი) გარდა ეწოდებოდა **ალმახანდე**-ც (თანამშრომელი), **ალმახვარე / ამმახვარე / ამხარე**-ც (შემწე, მომხმარე). თოხნაში შეწევნის აღსანიშნავად გვხვდება **აჭიშაფა**-ც (ქაჯაია, I, გვ. 206).

ბამბის მოყვანასთან დაკავშირებულია სამუშაოთა აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, როგორცაა **ბამბემ რაყუა** – ბამბის პენტვა; **ბამბემ თუხუა** – ბამბის დართვა; **ბამბემ ჩიჩიხუა** – მარცვლების გამოცლის მიზნით ბამბის გატარება ჩიჩიხში.

კრეფა არის **წილუა**, მოკრეფა – **მუკოწილუა**, გაკრეფა – **გოწილუა**.

თავი III
სამიწათმოქმედო დენდრონიმები და მცენარის
ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა

1. სამიწათმოქმედო დენდრონიმები

ქობალი. ქართული ხორბალ / ხვარბალ სიტყვის შესატყვისი მეგრულში არის ქობალი, რომლის ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო ქვაბალი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ ლექსემის შემცველი გვარსახელ **ქობალია**-ს ადრეული სახე **ქვაბალია** დაცულია XIV საუკუნის მიწურულის ერთ ფრესკულ წარწერაში წალენჯიხის ტაძრიდან.

ქობალი დღეს თვით მცენარეს – ხორბალს ნიშნავს, ასევე მისი ფქვილისაგან გამოცხობილ პურს – ქობალიშ უმოსო ღუმეს დო ლაიტის თასუნდეს „პურზე უფრო მეტად ღომს და სიმინდს თესავდნენ“ (ბებია, დღიურები, გვ. 28).

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ „ხუარბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურს აცხობენ“ (ივ. ჯავახიშვილი, 1996, გვ. 128). ხვარბალი ქართულის ზოგ კილოში (იმერულში და ქართლურში) მარცვალს აღნიშნავს (კახაძე, 1987, გვ. 9).

მეგრ. **ქვაბალი** და ქართ. **ხვარბალი** რომ ერთი სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობებია, ცხადია, მაგრამ მეგრულში ფუძისეული რაე დაკარგულია, თუ ქართულშია გვიან განვითარებული, დასადგენია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხვარბალი ზოგადად მარცვლეულის აღსანიშნავ ტერმინად გვევლინება მის ვიწრო მნიშვნელობასთან ერთად და რომ ის მიჩნეულია (და სავსებით სწორადაც) კომპოზიტად, რომელიც ხვარ და ბალ ლექსემებს შეიცავს, ხვარ-ს კი მარცვლის აღმნიშვნელი უძველეს სიტყვად თვლიან (კახაძე, 1987, გვ. 11), მაშინ მეგრული **ქვაბალ** ქართ. **ხვარბალ** სიტყვების ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას ხვავის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა ხვარიელი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან ხვარ-ფუძე ნაყოფის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამდენად, ნაცვლად ქვაბალ / ქობალ სიტყვისა, ადრე უნდა გვექნოდა *ქვარბალ- სიტყვა, რომელსაც შეეძლო მოეცა ქვაბალ- ფონეტიკური ვარიანტი. ამ უკანასკნელში კი ლასის გაქრობა, $ლ > ღ > 0$ ფონეტიკური პროცესის გზით სავსებით შესაძლებელი იყო. სანამ ხორბლის ჯიშების სახელებს განვიხილავდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯიშს, სახეობას მეგრულში ჰქვია **ნორგო**. ეს სიტყვა სუბსტრატის სახით დაცულია იმერულსა და გურულში, სადაც მეტათეზირებული სახითაა წარმოდგენილი – **ნორგო / ნეგრო** (ყიფშიძე, 1914, გვ. 290).

ხორბლის ჯიშებიდან მეგრულში ორადორი სახელია ცნობილი. ესენია **პიტა ქობალი**, რომელსაც ალ. მაყაშვილი ჩელტა ზანდურის მეგრულ სახელად მიიჩნევს (მაყაშვილი, 1991, გვ. 82). და ირქლი / ირქიშ ქობალი / ირქლი, რომელიც ქართული იფქლის შესატყვისია. ი. ყიფშიძეს ირქი განმარტებული აქვს, როგორც **пшеница** და ის ქობალის მეორე სახელად მიაჩნია (ყიფშიძე, 1914, გვ. 249).

ეტიმოლოგიურად **პიტა ქობალი** წვრილმარცვალა პურს უნდა ნიშნავდეს, რადგან

მეგრულში **პიტა-პიტათ სოფუა** „ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯას, დახევას ნიშნავს. ამიტომ პიტა ნამცეცას, პაწაწკინტელას მნიშვნელობას უნდა შეიცავდეს.

ხორბლის უძველესი ჯიშის **მახა**-ს კოლხური კანონზომიერი შესატყვისი **მოხა** დღეისათვის მხოლოდ ჭანურს დაუცავს, მაგრამ, ცხადია, ის ამგვარივე ჟღერადობით მეგრულშიც უნდა გვექონოდა. აღსანიშნავია, რომ მოხა არ არის ამ სიტყვის თავდაპირველი ფორმა. ო. კახაძის აზრით, ქართ. მახა, კოლხ. მოხა სიტყვაში ბოლოკიდური -ა არის დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი. ამგვარად, თავდაპირველად უნდა გვექონოდა *მახალ- > მახარ. ამ სიტყვის ეს უძველესი, სავარაუდო ფორმა დღესაც დაცულია სვანურში, სადაც მახარ / მახვირ ქერს ნიშნავს (კახაძე, 1987, გვ. 28). კოლხურში კი უნდა გვექონოდა *მოხარ.

ერთი მეგრული, ცალმარცვალა ხორბლის ჯიშის სახელი **სკურდური** შემონახულია XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერის ი. გეორგის წიგნში, რომელიც 1798 წ. გამოიცა (გეორგი, 1798, გვ. 987). ის მას **სკორდურ**-ს უწოდებს. აშკარაა, რომ აქ იგულისხმება ის ჯიში, რომელიც სოფელ სკურდში ხარობდა.

ჭვე / ჭვია მეგრულში გვაქვს ჭვავის აღსანიშნავად. აქ ზუსტად ისეთივე შესაბამისობაა ქართულსა და მეგრულს შორის, როგორც ხვე-ხვაკი შემთხვევაშია. ამ ლექსემას უკავშირდება, როგორც ჩანს, სამეგრელოში არსებული რამდენიმე ტოპონიმი. კერძოდ, ნაჭვი და ნაჭუ (ბებია, დღიური, გვ. 73-74).

ქერი, რომელიც ქართულს ბერძნულიდან აქვს ნასესხები (ძვ. ბერძნ. kei „ქერი“), მეგრულსა და ჭანურში ქერ ფორმით გვხვდება (ჩიქობავა, 1938, გვ. 148) - ქიმშაფაჩეს ართიანს ქერი დო ქუმუმ კაკალი (ყიფშიძე, 1914, გვ. 17); ჯვეშო ქერს ხოლო ბთასუნდით“ (ი. ბებია, დღ. გვ. 14).

ჭკიდი / მოჭკუდი მეგრულ-ჭანურში ნიშნავს ფეტვს, ასევე სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ საჭმელს (ყიფშიძე 1914, გვ. 391) – ღვინქ ბრელქ იყუუ წი, მარა ჭკიდიქ მისუსტ (ყიფშიძე, 1914, გვ. 1) – ჭკის (ჭკიდის) ირიკოჩი ქოგჩანს (მეგრ. ტექტ. II, გვ. 425).

ჭკიდი-ი / მ-ჭკუდი-ი მომდინარეობს მ-ჭკოდ-ისაგან, რომლის კ განუვითარებელი სახე (ის კი ჰარმონიული კომპლექსის შექმნის მიზნით ვითარდება) მ-ჭკოდ-ი კანონზომიერი შესატყვისია ქართ. მ-ჭად-ი-სა (კახაძე, 1987, გვ 56). ეს ქართული და მეგრული ფუძეები პირველად პ. ჭარაიამ შეაპირისპირა (ჭარაია, 1995, გვ. 112). მათი ლაზური შესატყვისი გამოავლინა ნიკო მარმა (მარი, 1912, გვ. 34), ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის *მჭად- არქეტიპი აღადგინა ტოგო გუდავამ (გუდავა, 1960, გვ. 122). (ამ შეპირისპირების დაჯამება იხ. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ/ 230-231). **ჭკვდვ / ჭკიდი**-ს ერთ-ერთ ჯიშს **ფენჯგირეშ** ერქვა.

ფეტვის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **ფატი**-ც, რომელიც ამ ქართული სიტყვის კანონზომიერი შესატყვისია. აქ ფუძისეული ბოლოკიდური ვ არის გამჭრალი, რაც მეგრულისთვის ესოდენ დამახასიათებელია (ქართ. ლედვი – მეგრ. ლული; ქართ. მზითვი – მეგრ. ზითი...) ფიტონიმი ფატი გვაქვს ტოპონიმში სოფელ ნაფატე (ბებია, დღიური, გვ. 73).

დაუცებვავ ღომს ძვ. ქართულში ქურშია, ჭანურში კი **ქურუმი** ჰქვია (ჩიქობავა, 1938, გვ. 142), მეგრულში ეს სიტყვა არ ჩანს, სავარაუდოდ, ის ჭანურის თანამჟღერი უნდა ყოფილიყო.

ურიში (Echinochola, frumentacea), რომელიც ერთ-ერთი უძველესი პურეულია და სამეგრელოში XIX საუკუნის ბოლომდე მოჰყავდათ. მისი მეგრული სახელი არც ალექსანდრე მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონშია შესული და არც რომელიმე სხვა წყაროში. მაგრამ ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი სოფელ კურზუში. რესპოდენტის თქმით, „თესდნენ კიდევ ერთგვარ

მარცვლოვან მცენარეს, რომელიც ფატს (ფეტვს) ჰგავდა, მაგრამ ფეტვი არ იყო და ფაიმა-საც და თამაკ-საც ეძახდნენ. ეს მცენარე უკვე ამოვარდნილაო, – გვითხრა ინფორმატორმა. ამ მცენარის ჩვენ მიერ ჩაწერილი ორი სახელის მეგრულის ლექსიკონებში ამაოდ მოძიების შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია ურიშის რუსულმა სახელმა пайза, пайза, რომელიც აშკარად ჩინური ნაირსახეობაა. ამ მცენარის ჩაწერილი სახელი ფაიმა რუსულიდან ჩანს შემოსული. რაც შეეხება ამავე მცენარის მეორე სახელს თამაკი, ის მისი ძველთაძველი მეგრული სახელი ჩანს. არც ის გარემოებაა უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ მთიან სამეგრელოში არის სოფელი სახელად **თამაკონი**. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ -ონ ტოპოფორმანტი კრებითობის მაწარმოებელი და უმეტეს წილად ფიტონიმის შემცველ ტოპონიმებს დაერთვის (ცხიმური – ცხიმურონი, წიფური – წიფურონი, ჯამპი – ჯამპონი...), მაშინ **თამაკონი**-ს ეტიმოლოგია სავსებით გამჭვირვალე ხდება. თამაკონი ნიშნავს ადგილს, სადაც **თამაკი** ითესებოდა – თამაკნარი.

თამაკი რომ მართლაც ურიშის ძველი მეგრული სახელია, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ, ჩვენი რესპოდენტის თქმით, თამაკისაგან ამზადებდნენ ხველების წამალს – ტიბუს. ეს წამალი კი მართლაც ურიშის, ქონდრის, ყვითელი ყვავილის (ზაფრანას) და წიწაკის ნადულს წარმოადგენდა (რუხაძე, 1976, გვ. 61).

ცერცვს (*vicia haba* L) მეგრულად **ხაჯი** ჰქვია. ჭანურად კი **ხაჯივაკა** ლებია (მაყაშვილი, 1991, გვ. 86). საკვებად გამოიყენებოდა ცერცვისმაგვარი მცენარე, რომელსაც **ხაჯკოლა** ერქვა. ესაა საბასეული **ხანჯკვალა**, რომელსაც გურულები **ხანჯკოლა**-ს ეძახიან და რომლის ბოტანიკური სახელის კიდევ ორი ფონეტიკური ვარიანტი დასტურდება.

ხანჯკოლა და **ხვანჯკოლა** (ყიფშიძე, 1914. გვ 397). ეს მცენარე პარკოსანია, მისი ნაყოფი ხარშვის დროსაც არ კარგავს სიმწარეს და ამიტომ მას მოხარშვის შემდეგ მოწნულ ჭურჭელში (კალათი, მომცრო გიდელი) ჩაყრიდნენ და სიმწარის მოსაშორებლად გამდინარე წყალში დგამდნენ, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ მას მწარე გემო შორდებოდა. ასეთ ხაჯკოლას **ჭოროფილი** ერქვა (ბერიშვილი, 1989, გვ. 188-189). ამ სიტყვაში, ისევე როგორც დელგმის აღმნიშვნელ **ჭოროფა** მასდარში შემონახულია ქართ. წყალ სიტყვის თავდაპირველი **ყ** განუვითარებელი ფორმის კანონზომიერი ზანური ფონეტიკური შესატყვისი **ჭორ**.

რაც შეეხება თავად **ხაჯკოლას**, ის კომპოზიტი ჩანს. ხაჯი, როგორც ითქვა, მეგრულად ცერცვს ნიშნავს, კოლო კი მწარე მკვახე-ს აღმნიშვნელი სიტყვაა მეგრულში. ამდენად ხარჯკოლა ამ მცენარის უმთავრეს თვისებაზე მიმნიშნებელი სახელია და ეს პირველად ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 75-76).

სამეგრელოში გავრცელებული იყო მუხუდოც (*Cyber arietinum*), რომელსაც მეგრულადაც მუხუდო ჰქვია. აღსანიშნავია, რომ სოიასაც (*Cilicine hiypida...*) მეგრელები **მუხუდო** / **მუხუდა**-ს ეძახიან (მაყაშვილი, 1991, გვ. 64).

ირქი - იფქლი თავდაპირველად ზოგადად ხორბლეულის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. გვიან კი მან საშემოდგომო სათესლე ჯიშის მნიშვნელობა მიიღო. ქართ. იფქლ-ის შესატყვისი მეგრულში არის ირქი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით იფქრი-საგან უნდა მომდინარეობდეს (კახაძე, 1987, გვ. 66). არნ. ჩიქობავა კი თვლიდა, რომ ი-ფქ-ლ-ი ნაწარმოებია ფექ-იდან, რომელიც სვანურშია დაცული ფქვილის მნიშვნელობით და ქართულშიც ალბათ ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა (ჩიქობავა, 1938, გვ. 171-172).

ო. კახაძის თქმით, არნ. ჩიქობავასეული დაშლას სიტყვისა იფქლი მხარს უჭერს და ამართლებს თუმეითი დადასტურებული ფორმა იფქილ-ი (კახაძე, 1986, გვ. 60). რაც შეეხება მეგრ, ირქი-ს, ის იფქლის სავარაუდო ფონეტიკური ვარიანტიდან *იფქრი-დან უნდა მომდინარეობდეს.

მარცელეული კულტურებიდან ყველაზე დაფასებული მცენარე სამეგრელოში იყო ღომი (*Setania italica* P,B), რომელსაც მეგრულად **ღუმუ** ჰქვია. ამიტომ გასაკვირი არაა ღომის ჯიშების სახელთა სიმრავლე მეგრულში. ფერის მიხედვით **ღუმუ** ორგვარია – ჭითა ღუმუ (წითელი ღომი) და ჩე ღუმუ (თეთრი ღომი). საადრეო ჯიშების საერთო სახელია **ცხედი ღუმუ**, საგვიანოსი **ციცვა ღუმუ**.

ციცვა (საადრეო) ჯიშია **კიკალობა** (რუხაძე, 1976, გვ. 49). დავით დადიანის (1812-1853) ცნობით, ღომის საადრეო ჯიშში ყოფილა **მოცოროზი**-ც (მეუნარგია, 1939, გვ. 36). **მოცოროზი** გვხვდება **მოთოროზი** ფორმითაც (რუხაძე, 1976, გვ. 49).

ღომის ციცვა (საგვიანო) ჯიშებია – **ხეკერე / ხეკირე** და **გურულე**, რომელიც დიდი ღუმუ-ს სახელითაც იყო ცნობილი (რუხაძე, 1976, გვ. 49).

გარდა ამ ოთხი ჯიშისა მეგრელები თესავდნენ ღომის შემდეგ ჯიშებსაც: **უსახელო** (პატარა მოთეთრო ღომი), **კუხურე**, **კაპედი**, **გუდურე** (დიდთაველიანი ღომი), **ხეთურე** (ძნელად გასაცხვი მოშავო ფერის დიდთაველიანი ღომი). ჩვენ მიერ სოფ. ლეშამუგეში ჩაწერილი იქნა ღომის ჯიშის სახელი **რუწული** (ი. ბებია, დღიური, გვ. 16), რომლის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს ეთნოგრაფ ჯ. რუხაძის მიერ ჩაწერილი ღომის ჯიშის სახელი „რუხული“ (რუხაძე, 1976, გვ. 49). ღომის ჯიშების სახელებია აგრეთვე **გუჯურე**, **ბუჯგა / ბუჭგა** (რომელსაც იმის გამო, რომ ბუსუსი აქვს, **კუდა ღუმუც** ანუ კუდიანი ღომიც ჰქვია), **ჯონჯურა / ჯოჯურა** ღუმუ, **ზოდელა**, **გუგუა** ღუმუ, **ცეც** ღუმუ, **კვირცხილა**, **ჭითა** ღუმუ, **ყვინთელი** ღუმუ, **ჯაშური** და **ბარამულა** (რუხაძე, 1960, გვ. 82). თავისით ამოსულ ღომს მეგრელები **ჯოდორე**-ს ან **ნანგერე**-ს ეძახდნენ (რუხაძე, 1976, გვ. 50).

ღომის ჯიშების სახელების ერთი ნაწილი ნატოპონიმარი უნდა იყოს, მათში ადვილად ამოიცნობა ან სოფლის (როგორც ჩანს, იმ სოფლის) სახელი, სადაც შესაბამისი ჯიში იყო გავრცელებული (ხეთურე – სოფ ხეთა, კუხურე – სოფ. კუხი, გუდურე – სოფ. გუდა / გოდავა), ან იმ ანთროპონიმ ან გენონონიმის (საკუთარ ან საგვარეულო სახელს), რომელიც მისი გამომყვანი ან ძირითადი მომყვანი (გუჯურე – ანთროპონიმი გუჯუ, ბოჯგა – ანთროპ. ბოჯგი / ბოჯგუ შემონახული გვარსახელში ბოჯგუა, ზოდელა – გვარსახელი ზოდელავა / ზოდელა, გოგუაღუმუ – გვარსახელი გოგუა). ამგვარივე სურათია ღომის ჯიშების გურულ სახელებშიც (ბობოყვაური – სოფ. ბობოყვათი, ჩაქურა – სოფ. ჩაქვი, ჯაშური – გვარსახელი ჯაში...).

ღომის მარცვალს **ჩხვერი** ჰქვია (მაყაშვილი, 1991, გვ. 152). 1621 წელს შედგენილ საცაიშლო მოსაკრებლების დავთარში გლეხების გადასახადებს შორის მოხსენებულია **ჩხვერი**. „ხუთი ატარი ჩხვერი“ (ქსმ, III, გვ. 464).

XVII საუკუნის მიწურულიდან მაინც სამეგრელოში შემოდის სიმინდის კულტურა (გუგუშვილი, IV, გვ. 258).

სიმინდს (*Zea mays* L) მეგრელები ზოგან **ლაზუტ**-ს ეძახიან, ზოგან **ლასტ**-ს, ზოგან **ლატ**-ს და **ლაიტ**-ს. ჭანურში კი ამ მცენარის სახელად გვაქვს **ლაზუტი** და მისი მეტათეზირებული სახე **ლაუზტ** (ხოფურში), რაც ეტიმოლოგიურად უკავშირდება სატომო სახელს ლაზი, რადგან ის

სწორედ აქედან ჩანს გავრცელებული არა მარტო სამეგრელოსა და მთელს საქართველოში, არამედ ანატოლიაშიც (ჯიქია, 1944, გვ. 236).

სიმინდის სახელად, ლაზუტი / ლასტი / ლაიტი / ლატი-ს გარდა, სამეგრელოში, როგორც ირკვევა, იხმარებოდა **სიმინდი-ც**, რომელიც ადრეული სახე ჩანს სიმინდი სიტყვისა. ნიკო დადიანი (1780-1834 წწ.), მაგალითად თავის დღიურებში ყველგან ხმარობს სიმინდს (ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწერთა წიგნი, №32, გვ. 53).

სიმინდიც ისევე, როგორც ღომი, ორგვარი იყო **ციცუა** (საადრეო) და **ცხედი** (საგვიანო).

სამეგრელოში ითესებოდა სიმინდის შემდეგი ჯიშები **ჩქენობრა**, **ქორთული**, **რუხული** (წვრილ მარცვალა), **დგომური**, **შონური**, **თურქული ლატი** და **კორონტია**. ეს უკანასკნელი წვრილმარცვალა, საბატიბუტო სიმინდია (რუხაძე, 1964, გვ. 63).

სამეგრელოში ბრინჯი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან მოჰყავდათ, რადგან მეგრულში ამ მცენარის აღსანიშნავად გვაქვს **ორეზა** / **ორიზა** / **ორზა**, რომელიც ძველი ბერძნულიდან ჩანს ნასესხები.

ძველი კოლხეთის მიწათმოქმედებაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეკავა ისეთი ბოჭკოვანი მცენარეების მოყვანას, როგორიცაა კანაფი და სელი. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, რომელიც 2000 წლის წინ ეწვია ჩვენს ქვეყანას წერს, რომ კოლხეთში ბლომად ამუშავებენო სელს და კანაფს. სტრაბონამდე რვა საუკუნით ადრე, ასურეთის მეფე სარგონის ერთ წარწერაში მოხსენიებულია კოლხური სელისაგან დამზადებული პერანგი. ძვ. წ. V საუკუნის ისტორიკოსი ჰეროდოტე ახსენებს კოლხურ სელს (κολχικός λινον), რომელსაც თურმე ელინები სარდონულს უწოდებენ (ჰეროდოტე, I, გვ. 156) კოლხური სელის უძველეს ჯიშად არის მიჩნეული (გიორგაძე, 1955, გვ. 126).

სელი საკვებადაც გამოიხუნიებოდა და საბოჭკოვედაც. სამეგრელოში ორგვარი სელი ითესებოდა. მაღალტანიანი საბოჭკოე, რომელსაც **ოშუეში** (საქსოვი) ერქვა და დაბალტანიანი უხმარცვლიანი, რომელსაც **ქუმუ**-ს ეძახდნენ, სელის მეგრული სახელია **სუ** / **ფსუ** და **ქუმუ**. ეს უკანასკნელი სიტყვა სელის საზეთე ჯიშის სახელიცაა და სელის თესლსაც ნიშნავდა (მაყაშვილი, 1991, გვ. 84). იმის გათვალისწინებით, რომ სელი კოლხეთში უძველესი დროიდან საქსოვად გამოიყენებოდა, მეგრ. **სუ** / **ფსუ** ისევე, როგორც ქართ. სელ-ი ქსოვის მნიშვნელობის შემცველი უნდა ყოფილიყო, რაზეც მიუთითებს ქართ. ქსელი და მეგრ. შუალა („ქსოვა“). ამ უკანასკნელში დაცული ფუძე შუ- მეგრული სუ-ს თავდაპირველი სახე უნდა იყოს. რაც შეეხება ფსუ-ს აქ თავკიდური ფ განვითარებულია (შდრ. სუა / ფსუა; სილა / ფსილა).

თუ რამდენად ფართოდ იყო ძველ სამეგრელოში გამოყენებული სელის ქსოვილი, კარგად ჩანს მეგრული ხატოვანი თქმიდან – სუმ კურთა, თინა ხოლო კუნტა „სელის ნიფხავი და ისიც მოკლე“ (სახოკია, 1989, გვ. 258).

სელისაგან მზადდებოდა აგრეთვე **კვიკვილი**, რომელსაც **სუმ ოსარე**-საც (სელის პერანგს) უწოდებდნენ. კვიკვილს აცმევდნენ მიცვალეზულ – სუმ ოხარეს, კვიკვილს ღურელს მუკაქუნანდეს, ათემ ჭყალა ხოლო რდ იეშაკვიკვილირია „სელის პერანგს კვიკვილს მკვდარს აცმევდნენ, აქედან მოდის წყევლაც – ეშაკვიკვილერია – ამომწყდარიო“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სელის ღეროსაგან ბოჭკოს გამოცლას მეგრულადაც და ჭანურადაც **სულუა** ერქვა (მარი, 1910, გვ. 186). ამ ნასახელარ ზმნაში (მასდარში) შემონახულია სელის მეგრული სახელის სრული ბოლომოუკვეცავი სახე *სელ, რომელიც გვეხმარება სელის

აღმნიშვნელი მეგრული სიტყვის თავდაპირველი ფორმის *შულ-ის აღდგენაში.

სელის ჯიშებიდან მხოლოდ ერთი მეგრული სახელია ჩაწერილი. ესაა არაბული სუ (კვირტია, 2001, გვ. 8). რაც შეეხება ქუმუ-ს, რომელიც ი. ყიფშიძის განმარტებით, სელის მეორე მეგრული სახელია (ყიფშიძე, 1914, გვ. 346). პ. ჭარაიას მიხედვით ის არის „სელის ფქვილი, ქუმელი, სელის კაკალი“ (ჭარაია, 1997, გვ. 143). ა. მაცაშვილის აზრით კი სახელი ჩვეულებრივი სელისა (მაცაშვილი, 1991, გვ. 84).

სელი საკვებადაც გამოიყენებოდა და მისგან ზეთსაც ხდიდნენ, მეგრულში შემონახულია ქართ. ზეთი-ს ფონეტიკურად კანონზომიერი შესატყვისი, ოღონდ ნარ განვითარებულად – **ზანთი**. მართალია, ის დღეს ზეთის მნიშვნელობით არ იხმარება, მაგრამ ის ხომ ქართ. ზეთის მეგრულ სავარაუდო ფონეტიკურ შესატყვის *ზათის ნარ განვითარებული ვარიანტია, კარგად ჩანს მისი დღევანდელი, სემანტიკურად გადაწეული მნიშვნელობითაც. ზანთ-ს დღეს მეგრელები ეძახიან ლედვის რძისებურ, წებოვან ნაჟურს – ლულიშ გვიგვილი გოწყერტეზი ზანთი მოლურს „ლედვის კოკორი რომ გაიჭყლიტება, ზეთი წამოვა“ (ქაჯაია, II, გვ. 10). ალაყურტი ერქვა მოხალულ და წვრილად დაფქული ღომის, სელის მარცვლის ან ყვითელი სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ თაფლში არეულ კერძს, რომელიც კარგად იყო აზელილი და ზედ ნიგვზის ზეთი ან ერბო ჰქონდა მოსხმული (სოსელია, 1955, გვ. 31).

ქუმუ-საგან კეთდებოდა აგრეთვე ქუმელი და კანძილი (კვირტია, 2001, გვ. 147).

კანაფი (Cannabis sativa) უძველესი დროიდან ცნობილი კულტურული მცენარეა. ის გამოიყენებოდა, როგორც ზეთის გამოსახდელად, ასევე ძაფის მისაღებად. მეგრულად კანაფს **კიფი** / **კეფი** ეწოდება და მისი ქართ. კანაფ : სვან. ქან ლექსებთან მიმართების საკითხის გარკვევა რთულია.

კანაფის ბერძნული სახელი κάμψις ვ. აბაევს კომპოზიტი ეგონა და მასში ორ სიტყვას (κάμψ და ψις) გამოყოფდა და ორივე კანაფის აღმნიშვნელად მიაჩნდა, ოღონდ ერთს სკვითური წარმოშობის, ხოლო მეორეს სავარაუდოდ ფინურ სიტყვად მიიჩნევდა. (ჩაჩაშვილი, 1963, გვ. 372). ეს მოსაზრება სავსებით მართებულად იქნა გაზიარებული, რადგან ამ სიტყვის ბოლოკიდური ბგერა ს არაა ფუძისეული ვ. ბლავატკის უფრო ბუნებრივად ესახება ამ ბერძნული სიტყვის დაკავშირება სლავურთან (რუს. конопля, ბელგ. kohan, პოლ. konopis, ჩეხ. konop) და არა პირიქით (ბლავატსკი, 1953, გვ. 82).

მეგრული კიფ-ი, გ. ჩაჩაშვილის აზრით, უეჭველ ნათესაობას ამჟღავნებს კანაფის ადიღურ (კლეფ) და შაფსულურ (ჭეფ) სახელებთან. ამასთან, კანაფის სახელწოდების სადაურობის გასარკვევად საყურადღებოა ამ მცენარის აღმნიშვნელი აფხაზური (ქენე) სვანურ (ქან) და ლაკური (ქანაპ) სიტყვები (ჩაჩაშვილი, 1963, გვ. 370, 372).

მეგრ. **კეფი** / **კიფი** სიტყვის მიერ კანაფ- საწყისი ფორმიდან გამოვლილი სავარაუდო ფონეტიკური გზის აღდგენაში ჭანური მასალა გვეხმარება. კანაფის აღსანიშნავად ჭანური სიტყვა კეფი გვხვდება **კერფი** / **კერჭი** ფორმითაც, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან ნარისა და რაეს მონაცვლეობა ერთობ დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა. ამიტომ ქართ. კანაფ სიტყვას, ქართ. – ა, ზან. – ე კანონზომიერი შესატყვისობის გათვალისწინებით, ადვილად შეეძლო ზანურში მოეცა *კერეფ-ი, საიდანაც ჭანურში **კერფ**-ის მიღებაც სავსებით დასაშვებია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ რაეს გადასვლა ლას-შიც და შემდეგ ლასისა იოტაში და ბოლოს იოტას გაქრობაც უცხო არაა ზანურისათვის, კანაფიდან კეფის მიღება, ვფიქრობთ,

სავსებით შესაძლებელი იყო. ეს ფონეტიკური პროცესი ასე წარმოგვიდგება: ქართ. კანაფი > ზან. *კრეფ > კერფ > *კელფ > *კეიფ > კეფ. ამ კეფიდან კი მეგრულში კეფის მიღება ფონეტიკური სავსებით დასაშვებია, კეფი კი მეგრულში ადვილად შეიძლება იქცეს კიფი-დ.

კეფი / კიფი ორგვარი იყო: მუმული კიფი (მამალი კანაფი) და დადული კიფი (დედალი კანაფი). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართ. კანაფი საერთო ქართველური ენობრივი ერთობისდროინდელი სიტყვაა და მის მეგრულ შესატყვისს დღევანდელ ფორმამდე დიდი და რთული ფონეტიკური გზა აქვს გავლილი.

სამეგრელოში მოჰყავდათ ბამბაც, რომელსაც **ბამბე** ერქვა, ბამბის კურკას კი **ბამბემ წკა**.

ცერცვს (vicia habal) მეგრულადაც და ჭანურადაც **ხაჯი** ჰქვია. ხაჯის ჯიშებიდან, მხოლოდ ერთის სახელია ცნობილი. ესაა **კაფური ხაჯი**, რომლის სახელი შემონახული მეგრულ ხატოვან გამოთქმაში – კაფურ ხაჯის კაფურ წყარი ხაშუნსია (მეგრ. ტექსტები, II, გვ. 430). კაფური აშკარად სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირა სახელგანთქმული ძველი ქალაქის – კაფას სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

ცნობილია, რომ თურქულიდან ნასესხებ სიტყვა ბოსტანის ძველი ქართული შესატყვისია მტილი. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ძვ. ქართული მტილი-ს შესატყვისია მეგრულში ბოსტნის აღმნიშვნელი ორტვინი, ხოლო სვანურში მწვანის აღმნიშვნელი ლერტამ. მანვე დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ორტვინი-სა და ბოსტნის აღმნიშვნელი ლათინურ hortus-ს შორის მსგავსება მხოლოდ გარეგნულია, და რომ ორტვინი შესატყვისია ძვ. ქართ. სამტილე-სი და სვანურ ლერტამ-ისა (ჯავახიშვილი, 1986, გვ 111-112).

ქართ. **მტილ-ი**, ჭან. **ო-ნტულ-ე**, მეგრ. **ო-რტვინ-ი**, სვან. **ლა-რტამ** სიტყვებში, რომლებიც ბოსტანს / ბოსტნეულს აღნიშნავდა, თუ ჭანურში დენტალის წინ მ > ნ ფონეტიკური პროცესი შეიძლება აიხსნას, როგორც ნაწილობრივი ასიმილაცია მეგრულსა და სვანურში ნ > რ პროცესი ჯერჯერობით აუხსნელია (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 129).

ივ. ჯავახიშვილი უფრო შორს მიდის და მეგრ. ო-რტვინ-ის ჭანურ შესატყვისს ო-ნტულ-ე-ს, საეგებიოდ ქართ მ-დელ-ო / მეგრ. დოლო-ს უკავშირებს (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 112).

მტილეული შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. ნაწილი, რომელიც მოჰყავდათ და ნაწილი, რომელსაც ველად აგროვებდნენ.

ნივრის (Allium sativum L) სახელად დღეს მეგრულშიც ნიორი გამოიყენება, მაგრამ წინათ, როგორც ჩანს მას **ლერი** / **ერი** ერქვა. ამ სიტყვის ორი ფონეტიკური სახესხვაობა იქნა ჩვენ მიერ ჩაწერილი სოფლებში. ორულუსა და თამაკონში. ჭანურშიც ნიორს **ლერი** / **ლერე** / **ლეი** ჰქვია (მაყაშვილი, 1991, გვ. 55).

მეგრ. ლერი / ერი ქართი ნიორ-ის ფონეტიკური სახესხვაობა ჩანს ქართულის თავკიდური ნ- მეგრულში ხშირად გვადღევს ლ-ს (ქართ. ნედლი – მეგრ. ლადირი; ქართ. ნემსი – მეგრ. ლიში) ნ / ლ მონაცვლეობა თავკიდურ პოზიციებში, როგორც ფიქრობენ ზანურ-ქართული საერთო ენობრივი ერთობისდროინდელი ფონეტიკური პროცესი უნდა იყოს (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 129), რაც შეეხება იო ხმოვნურ კომპლექსს. მეგრულში ამ კომპლექსის ე ხმოვნად ქცევის მაგალითიც გვაქვს. ანთროპონიმი გიორგი მეგრულ, ისევე, როგორც სვანურ ონომასტიკაში (გაზდელიანი, 1989, გვ. 22) გერგე-ს სახით გვხვდება (შდრ. გიორგობისთვე – გერგობათუთა).

ხახვს (Allium cepa L) მეგრულში **ხვარხვი** ჰქვია, სვანურში **ხახუ**. ჭანურში კი ამ მცენარის ორი განსხვავებული სახელი დასტურდება – **კრომი** და **სოდანი** (მაყაშვილი, 1991, გვ. 97). მეგრულში

მწარე, უთავო ხახვის ჯიშს – ჭლავკს **სოხი / სოლი** ეწოდება. ამგვარი ჟღერადობით გვაქვს ეს სიტყვა სვანურშიც. სოხი სპარსულიდანაა ნასესხები. ამ ენაში სოხ „ხახვ-ს“ ნიშნავს (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 236, ლაპანციანი, 1952, გვ. 52).

პრასი (*Alleium porrum* L) მეგრულად არის პურასკია. ჭანურში კი მას **პრასკია / პასკია-ც** ჰქვია და **ჭიჭამი-ც** (მაყაშვილი, 1991, გვ. 58). სიტყვაში პურასკია თითქოს კ ჰარმონიული კომპლექსის წარმოების მიზეზით ჩანს განვითარებული, ადრე კი *პურასია უნდა გვექონოდა, მაგრამ სინამდვილეში ის ახალ ბერძნულიდან ნასესხები παραსკა არის (ჟღენტი, 1953, გვ. 90). შდრ. ჭან. პრასქა / პრაქთა.

კამას (*Foeniculum*) მეგრელებიც კამას უწოდებენ, მაგრამ ამ მცენარის აღმნიშვნელი კიდევ ორი სხვა სახელიც აქვთ: **ცერეცო / ცოროცო** და **ძერო** (მაყაშვილი, 1991, გვ. 37). როგორც კამა, ასევე ცერეცო ქართულ-ზანური ენობრივი ერთობისდროინდელი სიტყვაა, რადგან კამას ცერეცოს ეძახიან იმერეთში და ქიზიყშიც (მაყაშვილი, 1991, გვ. 37).

კამა როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ქართველურის მიერ ნასესხებია ძველი აღმოსავლური ენებიდან (ამ მცენარის ასურული სახელია კამუნუ, ძვ. ებრაული – კამონ, ფინიკიური ენის კართაგენულ დიალექტში კი მას ქამან ერქვა).

მაკინდოლი ჰქვია მეგრულად ოხრახუმს (*Petroselinum crispum*) და ის ეტიმოლოგიურად უკავშირდება სინონიმს მაკედონია, რომელიც თავის მხრის მაღლის, აღერებულის აღმნიშვნელი ძველ ბერძნული სიტყვა Μακεδαιος-თან უნდა იყოს კავშირში. ამაზე სხვა ბევრ საბუთთან ერთად ისიც მეტყველებს, რომ ქართული ენის აჭარულ კილოში ამ მცენარის სახელია მაკიდო, თუმურში კი მაკიდონელი. ვახუშტი მას მაკედონ-ს უწოდებს (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 254).

ნიახურს მეგრულად სონა ჰქვია (*Apium graveolens* L). ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, შეიძლება სონა მომდინარეობდეს ბერძნული სელინონიდან (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 255) და ის უეჭველად ქართულიდანაა შეთვისებული.

ქონდარი (*Satureja Rortensis* L) მეგრულადაც ქონდარია. ამ სიტყვის წარმომავლობა ბურუსითაა მოცული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ ქართული სიტყვისა და მცენარის შვედური სახელის – Kyndel-ის ესოდენ დიდი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 260). შ. ძიძიგურიც მიიჩნევდა, რომ ქონდარი შვედური წარმოშობის სიტყვა უნდა იყოს (ძიძიგური, 1960, გვ. 44).

პიტნა (*Menta*)-ს მეგრელები **პიტინე-ს** უწოდებენ, სვანები კი მინთოორ მინთქ-ს (მაყაშვილი, 1991, გვ. 58) ქართველურ ენებს ეს სიტყვა ინდოევროპული ენებიდან უნდა ჰქონდეთ ნასესხები, რადგან ამ მცენარის სახელად სპარსულში გვაქვს Punda, ლათინურში *Menta*, იტალიურში *Menta*, ბერძნ. Μαντζ, სვანურს თითქმის უცვლელად დაუცავს. ეს ნასესხები სიტყვა, ქართულსა და მეგრულში კი მას უფრო მეტი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფონეტიკური პროცესი მ > ფ ქართველურ ენებში უცნობია (პირიქით: ფ > მ პროცესის მაგალითები კი გვაქვს, მაგ. გვარსახელი ლორთქიფანიძე დოკუმენტებში ლორთქმანიძე-ს სახით გვხვდება), ლათ. *Mehta* ან ბერძნ. Μιυτζ-თან ქართ. პიტნა, მეგრ. პიტინე-ს მიღება ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ შესაძლოა, სპარ. Punda-დან მიგველო ქართ. პიტნა. ამ უკანასკნელისაგან კი მეგრ. პიტინა.

ტყის პიტნის (*Mentha Silvestris* L) მეგრული სახელი ყვალმინთა, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, ნასესხებია ბერძნულიდან, სადაც ამ მცენარეს καλαμτζ ჰქვია (ჯავახიშვილი, 1986,

გვ. 262) მეგრულიდან ეს სიტყვა უსესხებია აფხაზურს ა-ყულმინთას სახით.

ომბალე / **ომბალი**-ს უწოდებენ მეგრელები **ომბალოს** (*menta pulegium L.*). ეს სიტყვა ქართულს ზანურიდან უნდა ჰქონდეს ნასესხები, რაზეც თვით სიტყვის აღნაგობის გარდა (მასში დანიშნულების ზანური **ო**- წინსართი უნდა გვექონდეს) ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ ეს სიტყვა უცნობია აღმ. ქართული კილოებისათვის (ის გურულში და იმერულშია დაცული).

კიტრს (*Cucumis Sativus L.*) მეგრულად **კინტირი** / **კენტერი** ეწოდება. ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ირაციონალური ხმოვანი გ მეორეულია (ჩიქობავა, 1936, გვ. 20). ჭანურში, მართალია, კიტრის აღსანიშნავად ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა **სუკა** / **შუკა** იხმარება, მაგრამ ნაყოფს **ხიბრი** / **ხიტები** ჰქვია. მეგრულ სახელში ამ მცენარისა ნ განვითარებულია, ამიტომ მისი ადრინდელი ჟღერადობა *კიტირი უნდა ყოფილიყო. ეს სიტყვა მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურს ა-კენტერ სახით.

ნესვის (*Melo satovus Sageret*) სახელი შინკა მეგრულს ბერძნულიდან აქვს ნასესხები, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ბერძნ. σικα-ს თავკიდური ს ბგერის გაშიშინების და კ-ს წინ ნარის განვითარებით, რაც მეგრულისათვის ესოდენ დამახასიათებელია (ჟღენტი, 1953. გვ. 100), მიღებულია ეს შინკა. ნესვის ჯიშების მეგრული სახელებია: **ლაგინძია შინკა**, რომელსაც ჩქეზობრასაც ეძახიან და **კვარკვალა შინკა**.

საზამთროს (*citrullus*) მეგრულად **ხაზურზაკი** ჰქვია. სიტყვა სპარსულიდანაა ნასესხები. მართალია, სპარსულში *xorbura* ნესვს ნიშნავს, მაგრამ ამგვარი სემანტიკური გადაწევა სასვებით ბუნებრივია (ეტიმოლოგიურად *xorbura* ვირკიტრა-ს ნიშნავს) (მაჭავარიანი, 1966, გვ. 166).

კვახს, ანუ გოგრას (*Cucurbita*), მეგრულში **კოპეშია** ჰქვია. სვანურში კი კვახნე-ც და კოპეშია-ც, რომელიც თურმე მეგრულიდან აქვს მას ნასესხები და რომელიც საერთოქართველურ, მაგრამ ქართულის მიერ დაკარგულ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ.

კვახის ერთ-ერთ ჯიშს მეგრულად **ყოყორე** ჰქვია, ეს სიტყვა ჭანურში ზოგადად კვახის აღმნიშვნელია ორ სხვა სიტყვასთან (კაიმ, ჭელი) ერთად.

კვახის ერთ-ერთ ჯიშს **ბუსკულამ კოპეშია** ჰქვია. **ბუსკული** მეგრულად მეჭეჭი, **ბურცია** (ებუსკულერი – ამობურცულ ბუსკულამი – ბურცებიანი).

კვახის ჯიშებია აგრეთვე **ხოკო კოპეშია**, **ჩქინობრა კოპეშია**. საგულისხმოა, რომ აყიროს (*Lageharia vulgaris er*) **ჭურაშ კოპეშია**-ს, **კოლო კოპეშია**-ს, **კოლო ჭურა**-ს, **ჭურა**-ს, **კოპეშია**-ს და **ტუტლა**-ს ეძახიან (მაყაშვილი, 1991, გვ. 14).

ბადრიჯანის (*Salonum melongena L.*) მეგრული სახელია **პატრიჟანი**, **გენბე პატრიჟანი**, **გიბე პატრიჟანი** (მაყაშვილი, 1991, გვ. 14) და ის ქართულის გზით სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა. ბადლიჯან ამ მცენარის სახელია სწორედ (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 296).

გარდა ზემოთ ნახსენები ბოსტნეულებისა, მეგრელებს მოჰყავდათ ქინძი (*Corionolrum sativum L.*), რომელსაც ასევე **ქინძ**-ს ეძახდნენ. სომხურში ამ მცენარეს გინძ ჰქვია (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 249). მდოგვი (*sinapis*) რომელსაც **დონგ**-ს ეძახიან. აქ ნ განვითარებულია.

კომბოსტოს (*Brassica*) მეგრელები დღეს კაპუსტა-ს ეძახიან, რაც უეჭველად რუსულიდან შემოსული капуста-ა. მაგრამ, სამაგიეროდ, მეგრულში ამ მცენარეს თუ არა, მისი ერთ-ერთი ჯიშის სახელად უნდა ვივარაუდოთ ხვიტი, რომელიც, სულხან-საბას განმარტებით, „თავკვრივი კომბოსტოა“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს სიტყვა უნდა გვექონდეს მეგრულ საგვარეულო სახელ ხვიტია-ში (ჯავახიშვილი, 1986, გვ. 191). გარდა ამისა, კომბოსტოს ერთი ჯიშის სახელი **ლახანა**,

მეგრულში დღესაც ცოცხალია. ეს სიტყვა საზიარო ჩანს ქართულისა და მეგრულისათვის, რადგან ის ბოსტნეულის სიაში აქვს შეტანილი ვახუშტი ბაგრატიონს.

ლობიო (*Phaseolus*) ერთი ყველაზე გავრცელებული პარკოსანი მცენარე იყო სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ მეგრელებს „ბოსტნებში ყველა მცენარეზე მეტად მოჰყავთ ოსმალური ლობიო. ესაა ერთადერთი მათი სამარხო საჭმელი“ (ლამბერტი, 1938, გვ. 59).

ლობიოს მეგრელები **ლებია**-ს ეძახიან. აქ გვაქვს ქართულსა და მეგრულს შორის თუმცა იმვითადად, მაგრამ მაინც არსებული ო-ე შესატყვისობა (ქართ. გონჯი „ულამაზო“ – მეგრ. ქენჩი „ხეპრე“, ქართ. ღორ-ი – მეგრ. ლეჯ-ი), რომელიც უფრო ქართულსა და სვანურს შორის დასტურდება (ქართ. თოლ / თვალ-ი – სვან. თერ; ქართ. ლომ-ი – სვან. ლემ).

ლობიოს ჯიშების სახელებია: **დიხაშ ლებია**, რომელსაც **ჩე ჭიფე ლებია**-ც ჰქვია და **ჩე ჩხირა ლებია**-ც. ესაა ქართ. ძაძა, რომლის ბოტანიკური სახელია *Vigna sinensis* L (მაყაშვილი, 1991, გვ. 89); **ხერხალიშ / ხირხალიშ ლებია** (იგივე **ცაშ ლებია**), **ბულ ლებია**, **ჩე ლებია**, **ჭარჭულია ლებია**, **ლაზურია ლებია**, **ცვანაშ ლებია**. ნედლ ლობიოს, რომელსაც თავის პარკთან ერთად ხარშავენ, **ჭყვერტი ლებია** ჰქვია.

სოიოს (*Glycine hispida*) მეგრელები **მუხუდო / მუხუდა**-ს ეძახიან. ამ მცენარის სახელად ჩვენს მიერ **ქუალებია**-ც იქნა ჩაწერილი, რაც იმერული ქვალობიო-ს ზუსტი ანალოგიაა (ბებია, დლიური, გვ. 31).

სოტოლია / სოტელია ჰქვია მეგრულად წითელ ფხალს (*Beta Vulgris* L). ეს სიტყვა მეგრულს ბერძნულიდან აქვს როგორც ჩანს, ნასესხები. ჩვენ მიერ ჩაწერილი იქნა მეორე, საფიქრებელია, უძველესი სახელი ჭარხლისა **ძობა / ძოგი**, რომელიც ი. გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი ჭარხლის ქართული სახელის **ჭავი**-ს მეგრული კანონზომიერი შესატყვისია. ჩვენ მიერ ჩაწერილი იქნა აგრეთვე ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი – **ფსოტელია** (ბებია, დლიური, გვ. 34), რომელიც ცხადია, მეორეულია, რადგან მეგრულში თავკიდურ პოზიციაში ფ-ს განვითარება ს ბგერის წინ ხშირია (**სუა / ფსუა** „ფრთა“, **სილა / ფსილა** „ქვიშა“, **ფსქელი / სქელი** „მსხვილი“...).

ბულეკი მეგრული სახელია ბოლოკისა (*Behamus sativus* L). ეს სიტყვა საერთოქართველური სიტყვაა. (ქართ. ბოლოკ-ი, მეგრ. ბულეკ-ი, ჭან. ბელეკ-ი, სვან. ბულეკ). სენაკური კილოს მარტივლურ თქმაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს ბულეკი.

წიწმატს (*Lepidium sativum* L) მეგრელები **წიწმატე**-ს ეძახიან. წიწმატე-ში რ განვითარებულია. ტ-ს წინ რ-ს განვითარება ახასიათებს როგორც ჭანურს, ასევე მეგრულს (ტება > რტება > ნტება „გაქცევა“, ძვ. ქართ. ოტება, მეგრ. ქარტო / ქატო).

რეჰანის (*Ocimum basilicum* L) აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **სამშურე / საშურამი / შაშურამი**. როგორც ჩანს, სამშურე შაშურამი-ს გვიანდელი ფონეტიკური ფორმაა, რადგან ქართული ენის იმ კილოებში, რომლებშიც ზანური სუბსტრატია ძალუმად შემორჩენილი, გვაქვს სწორედ შაშურამი-ის ფორმასთან ახლო მდგომი ფონეტიკური ვარიანტები ამ სიტყვისა (იმერ. შაშვლამი, გურ. შაშტამი, აჭ. შაშტრამი, ჟაშვვლამი). შაშურამი-ს ფონეტიკური გზა სამშურემდე ასე წარმოგვიდგება სამშურე < *საშურე < საშურამი < შაშურამი. სამშურეში მ გვიანაა განვითარებული.

გარდა იმ მცენარეთა სახელებისა, რომლებიც მოჰყავდათ, საჭიროდ მიგვაჩნია შევხოთ მცენარების ისეთ სახელებს, რომლებიც არ ითესებოდა, მაგრამ მეგრელები მათ საკვებად იყენებდნენ (რომელთაც ველად კრეფდნენ).

ერთ მცენარეს, რომელსაც ველად კრეფდნენ და მისგან მხალს ამზადებდნენ, ერქვა **მაპალურაია და ჯიჭითა / ჯინჭითა** (*Sedum Stoloniferum* Cmel) ქართულად მას მსუქანა ჰქვია. ა. დროლოვს ამ მცენარეთა კიდევ ერთი სახელი აქვს ჩაწერილი – კარეტა / კერეტა (ვუთითებ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით).

არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 1633-1654 წლებში იცხოვრა სამეგრელოში, წერს, რომ სამეგრელოში სატაცური ისე ბლომად იზრდება, რომ ზღვის პირი სულ იმითაა დაფარული. მეგრელებს თუმცა სატაცური საჭმელად მოსწონთ სიზარმაცის გამო ზღვის პირად იმის საკრეფად ცოტანი მიდიან და ისიც ისინი, რომელთაც ამას ბატონი უბრძანებსო (ლამბერტი, 1938, გვ. 213).

სამწუხაროდ, სატაცურის (*Asparagus officinalis*) მეგრული სახელი ვერც ჩვენ ჩავიწერეთ და ვერც ლექსიკურ წყაროებში მოვიძიეთ.

მეგრელები ჭამდნენ ისეთ ფხალეულსაც, როგორცაა სვინტრი (*Polygonum*), რომელსაც მარიალეს ეძახიან (მაყაშვილი, 1991, გვ. 63).

კომბოსტოს (*Brassia oleracca* L) სახელად დღეს მეგრულში რუსულიდან ნასესხები სიტყვა კაპუსტა იხმარება. მაგრამ მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ მისი ძველი მეგრული სახელი **ლახანა**, რომელიც ქართულის ლეჩხუმურ კილოშიცაა დაცული (მაყაშვილი, 1991, გვ. 31).

ბოდორია / ბოდერია ჰქვია მეგრულად ბალბას (*Molva*) ამ მცენარის ძვ. ქართული სახელი მოლოქი, რომელიც ბერძნულიდანაა ნასესხები (*Μολοκη*), დღეს სვანეთში დაცული მოლუქ / მოლოქ-ის სახით (მაყაშვილი, 1991, გვ. 15).

ფენჯიგირე ერქვა მცენარეს, რომლისგანაც მზადდება ცოცხი (ყიფშიძე, 1914, გვ. 335). ამ მცენარეს ოქოსალიში-ც (სიტყვა-სიტყვით „საცოცხე“) ჰქვია.

სამიწათმოქმედო ლექსიკის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ სარეველების აღმნიშვნელი ლექსიკაც. სარეველის ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალით **ღორძილი** ჰქვია – ღორძილი გვანაში ნტერ რე დო ოკო გგმახაჩქე „სარეველა ყანის მტერია და უნდა გამოთოხნო“ (ბებია, დღიური, გვ. 14); გვანაში დო ორტვინიშ მაშკვიდაფალ არძანერ ტყას ღორძელს უძახუნა (ბებია, დღიური, გვ. 15).

სამეგრელოში გავრცელებული სარეველების სახელებია:

ჩორჩხოია (*kelaptara, Orobanche* L), რომელიც მტილელის, კანაფისა და თამბაქოს ფესვის მჭამელია, თავად უფესვოა.

ჩე ჯუმენე / ჩეჯუმენია უფრო ბოსტანში იცის. შავი მბრწყინავი თესლი აქვს, გრძელია, თითქმის კაცის სიმაღლის, მას მეორენაირად **ქოროფე**-ს ეძახიან – ორტვინს უჩქუ, მარწკინაია თას ულუ, გგრძე რე, დახე კოჩიშ მადიდა, მაჟიანერო ქოროფე ხოლო ჯოხო (ბებია, დღიური, გვ. 41). ა. მაყაშვილის მიხედვით ესაა ქართულში ნაცარქათამად წოდებული მცენარე (*Chenopodium albam* L).

ჯუმენია (ჯიჯლაყა, *Amaranthus*) კი ცოტა სხვანაირია. ღეროზე ბურბგლები აქვს – ჭიჭე მხვანერი რე, ბუმგურეფ ულუ ღერს (ბებია, დღიური, გვ. 41).

ბურცხელე-ს **გინიშ ჯღონჯღო**-საც ეძახიან. ქართულად ვფიქრობთ, ღიჭა უნდა ერქვას (ღიჭა, *Sanchus aspe* Hill) – ბურცხელეს გინიშ ჯღონჯღოს ხოლო უძახუნა, ქორთულო მემჩქინ ღოჭა ოკო ჯოხოდას (ბებია, დღიური, გვ. 41).

ღვანძგი მეგრული სახელია ღვარძლისა (*Lolim temulentum* L) – ღვანძგი ოკათუნ თი

ქობალს დუდიშ რსიოლი უჩქჷ, კოც წამლანს „ღვანძგი რომ ურევია, იმ პურმა თავბრუსხვევა იცის, კაცს წამლავს“ (ი. ბებია, დღიური, გვ. 41).

ჯალაღინი (ბურჩხა Ech, noehoboaerus - gollii L) ყანისა და ბოსტნის მტერი სარეველაა – ცვანაში დო ორტვინიშ მოცილე, ართ ტყა რე, ხოლო ჯალაღინს უძახუნა).

მელკუდა (ყვითელი მურწა, Sataria ylauca L).

ჭყორტოტი (მწყერფეხა, Digitaria) – ეს სარეველაც ყანის დიდი მტერია (ჭყორტოტი ხოლო ცვანაშ მტერი რე).

მაფატია-ს ეძახდენენ, რესპოდენტის სიტყვით, ერთ ფეტვისმაგვარ სარეველას. ა. მაყაშვილის მიხედვით, ესაა ჩაქვის ბალახი (Pollinia imberleis hees).

გახოკია-ს (ცხენისკუდა, Erigeron capadesis L) ზოგად **ფაშატიშ კუდელსაც** ეძახიან. გლეხების თქმით, ის „უფრო ბოსტნის სარეველაა, მაგრამ ყანაშიც გვხვდება ჭურს, ჭვავს და ფეტვს წააქცევს ხოლმე“ – გახოკიას ფაშატიშ კუდელს ხოლო უძახუნა, უმოსო ორტვინ იშ მოცილე რე, მარა ცვანას ხოლო რე. ქობალს, ჭვეს დო ფატის ორუ, ეკმართინუნს (ბებია, დღიური, გვ. 42).

ტყარ წიწმარტე-ს (წიწმატურა, Capsella burs pastarist) ბოსტნის მტრად მიიჩნევა – ტყარ წიწმარტე ორტვინიშ მაჭყვიდალი რე (ი. ბებია, დღიური, გვ. 41).

ყანას და ბოსტანს ვნებს გვიმრაც (pteridium turicum), რომელსაც მეგრელები **გვიმარა**-ს ეძახიან.

საშიშ სარეველად მიიჩნევენ შვიტას (Egustum taricum), რომელსაც **თუნთიშ ჭემ**-ს ეძახიან. ამ სარეველაზე ერთი მოხუცისაგან ასეთი რამ ჩავიწერეთ – ართი ტყა რე ხულიო, აქ ბოდიშინ, თუნთიშ ჭემს უძახუნა, მუშენდა ცვანას მერუდა ჩქინ ნტერიშ ოლაგეს, თე ტყას ჩხოუ ვედიარს, მარა ცხენ ქო (ბებია, დღიური, გვ. 42).

სარეველას, რომელსაც ქართულად შალაფა (Sorghum halepens L Pers) ჰქვია, მეგრელები **ბანჯარ**-საც ეძახიან, წალამ-საც და კალამია-საც. გლეხების თქმით, სიმინდი გაჯარ-ყანაში მაინცდამაინც მალა არ იზრდება – წალამია ოლაიტეს იშენდოიშენ გენძას ვერდუ. ეშ კოჩიშ მამალალა რე (ბებია, დღიური, გვ. 43).

ლაკარტიას (Puspalum digiteria) მეგრელები **ღეჯიშ კეტ**-საც უწოდებენ და **ოლოკეტ**-საც.

გლერტა-ს (Cynodoneloclylon L Pers) მეგრულად ზოგან **დოლაკეტ**-ს ეძახიან, ზოგან კი **ჯოლოკეტ**-ს, რომელიც პირველის ფონეტიკური სახესხვაობაა მეგრულში (XIX საუკუნის მიწურულამდე მის ჯვარულ თქმაში) დ გადადიოდა ჯ-ში. ქართული დ მეგრულში ზოგჯერ ჯ-დ იქცევოდა (მაგ: ქართ. ხიდი – მეგრ. ხიჯი > ხინჯი; ქართ. ღერღედი > მეგრ. ღორღოჯი > ღორღონჯი), დოლოკეტი / ჯოლოკეტი კიდეც ერთი მაგალითია იმისა, რომ დ-ს ჯ-ში გადასვლის წესი მეგრულში ისტორიულად მოქმედებდა (ქლენტი, 1953, გვ. 153; იხ. აგრეთვე როგავა, 1986, გვ. 35).

ცერცველას ანუ ფიგს (vicia) მეგრულში **ყვარიაშ ხაჯიც** (ყვავის ცერცვიც) ჰქვია და ყურდგელიშ ლებია (კურდღლის ლობიო). ამ მცენარის თესლს კი **გვარგვალიტა**-ს ეძახიან.

ცოცხმაყვალას (Lyttrum Virgatum L) მეგრული სახელია **ჯიქურე**. ამ სარეველას შესახებ ასეთი რამ ჩავიწერეთ – ჯიქურე ორზამ მოცილე, ღორძელ ტყა რენია თქუანდეს, წყარაბ დიხა უცორც. მა ორზა დღას ვამთას დო ნანდულო რე დო ვარინ ვამარაგადე „ჯუქურე ბრინჯს რომ ვნებს, ისეთი სარეველააო, გამიგონია, წყლიანი მიწა უყვარს. მე ბრინჯი არასოდეს დამითესავს და მართალია თუ არა, ვერ ვიტყვი“ (ბებია, დღიური, გვ. 44).

მაბურა / მაბგრა ჰქვია ხვართქლას (*Convolvulus arvensis* L). ამ სარეველას კიდევ ორი სახელია მეგრულში **ბადადია** და **დიხაშ ცურუ** – ცვანაშ დო ორტვინიშ უბადო ნტერ რე „ყანისა და ბოსტნის უბედური მტერია“ (ბეზია, დღიური, გვ. 43).

დიდ ხვართქლას (*Calystegia seprium*) მეგრელები **კუკუ**-საც უწოდებენ და **გუგულ**-საც – დუდელ უღუნ ფერ ნოჩერს ონჯ მანგარო „თავთავიან ნარგავეს ვნებსო ძალიან, გვითხრეს ერთ სოფელში“ (ბეზია, დღიური, გვ. 44).

ვირსაკვარა-დ წოდებული სარეველაზე, რომელსაც ქართულად თეთრი ნარი ჰქვია (*eirsium incanum* Fisch) ასევე ჩაგვაწერინეს – თენა ხოლო ოცილ ნოთასგს „ესეც ვნებსო ნათესს“ (ბეზია, დღიური, გვ. 45).

მარცვლოვან მცენარეებს ვნებსო კიდევ ერთი სარეველა, რომელსაც **ჯოლორიშ ნიორს** (ძაღლის ნიორს) ეძახიანო (ბეზია, დღიური, გვ. 44).

ა. მაცაშვილს ამ მცენარის კიდევ ერთი მეგრული სახელი აქვს ჩაწერილი – კატაპურასკია. მისი ქართული სახელია ყანის ნიორი.

ზემოთ დასახელებული მაგალითების გარდა, ყანისა და ბოსტნის შემდეგ სარეველებს ასახელებენ:

ინჭირია / ინჭილია – ანწლი (*Sombucus clulus* L), **ისიროტა / ისროტა** – ქასრა (*Calamagrostis opigeus* L), რომელიც **ლისიროტა**-ს და **სიროტა**-ს სახელითაც გვვხვდება (მაცაშვილი, 1991, გვ. 72).

სარდაკია / სანდაკია – წალიკა (*Polylyonum hydro piper* L), კამბეტი – ჩვ. მათიტელა (*Polylyonum aveculare* L), რომელსაც **გვერიშ ლაკარტი**-ც ეწოდება (მაცაშვილი, 1991, გვ. 83), **გვერიშ ციმუა / გვერიშ ცემუა** – გველის მარწყვი (*Duchesnen indica*), **გირინიშ ძია / გერგნიშ ძია** – ჩალამძივი (*Coix Fecruma Jobi* L). ამ უკანასკნელს დიხაშ ძია-ც – მიწის ძივი ჰქვია (მაცაშვილი, 1991, გვ. 82) **მარწკინია** (*Begonia*), რომელსაც კახეთში უღეველას უწოდებენ (მაცაშვილი, 1991, გვ. 17).

ჭუჭელე / ჭუჭელია – ჭინჭარი (*Urtica urenus* L) და სხვა.

სარეველების იმ სახელებიდან, რომლებიც ბოლოს ვახსენეთ, ფონეტიკურად საყურადღებია წალიკას და ჭინჭარის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვები.

წალიკას მეგრული სახელის სამი ფონეტიკური სახესხვაობა – **სარდაკია / სანდაკი / სანდრაკია** მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ თავისებურებათა მაგალითებადაა გამოსადეგი. აქ სახეზეა მეტათეზისის იმგვარივე შემთხვევა, როგორცა გვაქვს ქართ. ადრე, მეგრ. ორდო-ს მაგალითში, ამასთან დ-ს წინ, განვითარებულია ნ.

2. მცენარის ნაწილებისა და ზრდა განვითარების აღმნიშვნელი ლექსიკა

ქართულ სიტყვის ფესვი მეგრულში **ფოსი / ფოსვი** შეესაბამება. ეს ლექსემა შემოსახულია წყევლაში „ფოსო ეშალაფარი“, „ფოსვ მოსირილი“. **ფოსი / ფოსვი** არაა ქართ. ფესვ- ფუძის ფონეტიკურად კანონზომიერი მეგრულ შესატყვისი. უნდა გვქონდა *ფაშუ.

ვფიქრობთ, ეს მეგრული სავარაუდო სიტყვა უნდა გვქონდეს შემონახული ფესვის, ძირის აღმნიშვნელ აფხაზურ სიტყვაში აფშ, რომელიც აფხაზურს მეგრულიდან უნდა ჰქონდეს ნასესხები (გ. მაჭავარიანი, 1966, გვ. 166).

ეს სიტყვა, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, ირანული წარმოშობისაა (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 95). მისი დღევანდელი მნიშვნელობა (ფესვი, ძირი) მეორეულია. მართალია, ძველ ქართულში ფესვ აღნიშნავდა ტანისამოსის ქვედა ნაწილს, ქობას (სულხან-საბა, 1928, გვ. 354), მაგრამ ეს არ იძლევა ისეთი გაბედული ვარაუდის საფუძველს, რადგან ტანისამოსის ქვედა ნაწილი ძირის სემანტიკურ ველში ექცევა.

თესლიდან ამოსულ მცენარის ჩანასახს, ღივს მეგრულში **კირკილი**, ჭანურში **კვირკველ**-ს უწოდებდნენ, ზანურში კი **კუკული** იხმარებოდა (თანდილავა, ნარაკიძე, 1986, გვ. 100). ფესვის აღმნიშვნელად მეგრულში გვაქვს **ჩხვინჩხვი**-ც და **ჯინჯი**-ც. და მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ძირის მნიშვნელობისაა. **ჩხვინჩხვი** ს. ჟღერის განმარტებით არის „სიმინდის კატარი“ (ჟღერტი, 1960, გვ. 40).

აღმოცენება, ამოყლორტვა არის **ელაფალუა**.

ახალ ამოყრილ ყლორტს **ნამაყა** ჰქვია, გაშლილ ყლორტს კი **დუცი** – გოფაჩილ ნამაყას ჯოხბო დუცი – გაშლილ ყლორტს ჰქვია დუცი (ქაჯაია, I, გვ. 515). ვფიქრობთ, არაა სწორი **ნამაყა**-ს ო. ქაჯაიასეული განმარტება (ის მას განმარტავს, როგორც „ტოტი“) და ამაზე თვით მის მიერ მოხმობილი დოკუმენტური მასალაც ადასტურებს. იწილუუ ნამაყაშ სუმი ფურცელი, რომელიც უნდა ითარგმნოს არა ისე, როგორც ლექსიკოგრაფი თარგმნის (მას **ნამაყა** თარგმნილი აქვს ტოტად), არამედ შემდეგნაირად იკრიფება ყლორტის სამი ფურცელი.

პურეულის ღეროს აღსანიშნავად მეგრულში იხმარება **წუ** (ყიფშიძე, 1914, გვ. 382). **წუ**-ს უწოდებენ ზემო სამეგრელოში ბზეს (**ქობალიშ ნაქერქს**). **წუ** / **წვი** ამასვე აღნიშნავს სვანურშიც (კახაძე, 1987, გვ. 70). ამგვარივე მნიშვნელობით ეს ლექსემა შემონახულია საბძელის აღმნიშვნელ ჭანურ სიტყვა „**ოწულე**“. ქართულში ამ სიტყვის შესატყვისი ივ. ჯავახიშვილის სავსებით სწორი დასკვნით არის **წუელე**, რომელსაც სულხან-საბა განმარტავს, როგორც „...ყანის ძირი ვიდრე ჭუვილამდე“. ამ განმარტების სისწორე საილუსტრაციო მასალებითაც დასტურდება (კახაძე, 1987, გვ. 68).

ღეროს აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **ღერია**-ც, რომელიც გვიანდელი ქართული ნაირსახეობა ჩანს.

ლობიოს ბუდეს **პარკი**-ც ჰქვია და **ბუზუ**-ც – ჭყვერტ ლეზიამ ბუზუთ გემოანიე დო კაკალითუ (ბეზია, გვ. 39).

მცენარის (მაგ. სიმინდის) კორძს, მუხლს მეგრულში ბირგული („მუხლი“) ჰქვია – გოწოხე თიჯგუა ბორია რდგ, ლაიტი ბირგულც გეგნოტახე „მარშანწინ ისეთი ქარი იყო, სიმინდი მუხლზე გადატეხა“ (ბეზია, დღიური, გვ. 31).

მცენარის ტოტის აღსანიშნავად მეგრულში **ცა** იხმარება, მაგრამ ის უფრო ხის ტოტს მიემართება. ი. ყიფშიძის განმარტებით, **ცა** „ცოცხალი ტოტია ხეზე“, ხოლო **ნო-ცელ-ა** მოჭრილი ტოტია (ყიფშიძე, 1914, გვ. 417). არნ. ჩიქობავას სავსებით სწორი შენიშვნით სწორედ აქედან უნდა იყოს **ცაშუა** / **დოცაშუა**, რომელიც **დოყარშუა**-ს სახით გვხვდება (ჩიქობავა, 1938, გვ. 135). სრული სახით ეს ფუძე მრავლობითშია დაცული ცალ-ეფ-ი.

ტოტის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური **ცალ**- ლექსემის ქართულ შესატყვისად მიჩნეულია ყლ-ორტ-ი (ჩიქობავა, 1938, გვ. 135), მაგრამ ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს მით უფრო, რომ არნ. ჩიქობავას სიტყვებით „რალაა მაშინ ორ-ტ-ი?“ (ჩიქობავა, 1938, გვ. 135).

ყლორტ- ლექსემის მეგრული შესატყვისი, ვფიქრობთ, უნდა იყოს კვრტე, რაც ხახაში

არსებულ მოგრძო გამონაზარდ ყია-ს ნიშნავს. რაც შეეხება თვით ტოტის აღმნიშვნელ **ცალ-** ლექსემას, მისი ზუსტი კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. ყელ- სიტყვა, რადგანაც, აზროვნების იმ ეტაპზე, როცა ეს სიტყვები იზადებოდა, ტოტი და ყელი, როგორც ცნებები, იდენტური უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ქართ. სა-ყელ-ო-ს მეგრული შესატყვისი **ო-ცალ-ემ-ი**.

ქართ. ტოტ-ის შესატყვისი, ჩვენი აზრით, გვაქვს არა მარტო ჭანურში (ჩიქობავა, 1938, გვ. 135), არამედ მეგრულშიც, სადაც „ტოტიმ გემქუმალა“, ხელით მძლავრად დარტყმას ნიშნავს. – არამხუტუქ ტოტი გიაშქუ დო დახე დიხას დონწყუ „არამხუტმა ხელი დაარტყა და ლამის მიწაში ჩაძირა“.

ხელი, ისევე როგორც ყელი, ოდესღაც ტოტის, ღეროს ზოგადად ხის აღმნიშვნელი ცნება უნდა ყოფილიყო (ხელ და ყელ სიტყვების მსგავსი ჟღერადობა შემთხვევითი არ უნდა იყოს) და ამაზე უნდა მიუთითებდეს ქართ. ხელ- : მეგრ. **ხე / *ხელ** (მრავლ. ხელ-ეგ-ი) სიტყვებისა და ქართ. ხე სიტყვის გასაკვირი ჟღერადობრივი იდენტობა.

მცენარის წვერის აღმნიშვნელი ქართ. კენწერო-ს შესატყვისად ჭანურში მიჩნეულია **კანტარი / კანტაი**, რაც სიმინდის კენწეროს, თავთავს აღნიშნავს (ჩიქობავა, 1938, გვ. 143). ამ მნიშვნელობის და ჭანურის თანამჟღერი კანტარ- სიტყვა მეგრულშიც უნდა ყოფილიყო დაცული, რაზეც მიუთითებს გასხვლის, კენწეროს მოჭრის აღსანიშნავი მასდარი **კანტარუა** – ღობერო რგილ ტვარ მანდარნა ოკო ვაკანტარუე „საღობედ დარგული გარეული ლიმონი არ უნდა გაკრიჭო“. სიმინდის კენწეროს მეგრულში **კორკონტი** ჰქვია.

ითვლება, რომ ქართ. ჯეჯილ- ლექსემას სხვა ქართველურ ენებში და მათ შორის მეგრულში, არ მოეპოვება არა მარტო სემანტიკურად მსგავსი ფონეტიკური სახესხვაობა, არამედ ამგვარი მნიშვნელობის სიტყვა საერთოდ (ჯავახიშვილი, I, გვ. 277).

თავთავს მეგრულად **დუდელი** ჰქვია – სუმ დუდელ ღუმუ ცოფუდეს „სამი თავთავი ღომი მოსვლიათ“ (ქხს, I, გვ. 291). მეგრულის ჯვარულ თქმაში **დუდელ**-ის ფონეტიკური შესატყვისი იყო **ჯუჯელი**. სწორედ ეს სიტყვა უნდა გვქონდეს როგორც პროფ. ი. ყაფშიძე ფიქრობდა (ყიფშიძე, 1914, გვ. 416). სამეგრელოში გავრცელებულ რიტუალურ ლექსში: **ჯუჯელია ჯუჯელია, ჩქიმ მამული ხარგელია, შხვამ მამული ფურცელია ჩანა, ჩანა... თავთავო, თავთავო, ჩემი მამული დახუნძული, სხვისი მამული ფურცელია. მსხმოიარობა, მსხმოიარობა...**“ (მეგრული ტექსტები, II, გვ. 31).

სიმინდის მუხლს მეგრულში **ბირგული** (მუხლი) ჰქვია. სიმინდს აქვს აგრეთვე **ოშმეში** (ულვაში). სიმინდის მარცვალს **კაკალი** ჰქვია (აქედან: კაკალუა – სიმინდის მარცვლების ფშვნა), ღომის მარცვალს კი **ჩხო** (რუხამე, 1976, გვ. 56).

სიმინდის ბუსუსს, ულვამს, ზოგან **ბაწი** ჰქვია (ბებია, დღიური, გვ. 38) და ის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ბეწვ- სიტყვისა.

ახალამოსულ ხორბალს, სიმინდს ან სხვა ნათეს მცენარეს, როგორც ჩანს შეეყრი ერქვა – შეეყრც ჯინც ელასოფუნა (ყაზაყიშ გაზეთი, 1935 № 121).

სიმინდს აქვს ყვავილი, რომელსაც ქუჩუჩი ეწოდება (აქედანაა სიტყვა **გოქუჩუჩუა** – მოკაზმვა). სიმინდის მარცვალს **ჩხო** ერქვა, დაცხვილ სუფთა ღომს კი **ჩხვერი**. კენწეროს სიმინდისა **პოპორ**-საც ეძახიან და **კოტკონტ**-საც. კოკორი გადატანითი მნიშვნელობითაც მეგრულში გამოყენებული. **პოპორ წყარი** ჰქვია წყალს, რომელიც ვარდნისას შხეფებს ისვრის

მალა (ჭარაია, 1997, გვ. 113).

სიმინდის ტაროს დამარცვლის შემდეგ რომ რჩება, იმას **გუნგა**-ს (ნაგულა) ეძახიან. გუნგა-ს **ბურკა**-ც ჰქვია. **ბურკა სიმინდი**, ო. ქაჯაიას განმარტებით, იგივე, რაც **მარსა სიმინდი** (ქაჯაია, I, გვ. 268).

ლობიოს ზოგ ჯიშს აქვს ქაცვი, ჯავი, რომელსაც მეგრულად **ქუცი** ჰქვია.

კოკორს მეგრულად **პეული** ჰქვია, **მოპეულუა** კი კვირტის ამოყრას, მაგრამ ამ სიტყვას ყვავილის მნიშვნელობითაც ხმარობენ (ფიფია, 1999, გვ. 62).

ალაფალუა სახელია ალაფალუნს ზმნისა და ყლორტის ამოსვლას ნიშნავს – რჩინუ ჯამ ოლე ორგაშე გეურს, ქიდიჭყანს ალაფალუას „ბებერი ხის გვერდით ჩვილი ნერგი ამოვა, დაიწყებს ამოყლორტვას (ქაჯაია, I, გვ. 179).

აფორონჯება სახელია **ეფორონჯებე** ზმნისა – ჰამინდორ მალას ეიფორონჯებ (ქაჯაია, I, გვ. 199).

სიმწიფეში შესულ ლობიოზე, სიმინდზე ან სხვა რამეზე **ბაზე**-ს იტყვიან. ბაზე ლებია სიმწიფეში შესული ისეთი ლობიოა, რომელიც პარკიანად არ იჭმევა, მაგრამ არც მარცვალა კარგად გამხმარი (ქაჯაია, I, გვ. 212). **ახონჭკორეფული** მიმღობაა და შემწიფებულს ნიშნავს. მწიფე მეგრულში აღინიშნება სიტყვებით **მონდა / მონჭა, ხონჭკა**, გადამწიფებული **წეწნაფილია**.

გოფალუა სახელია ზმნისა **გითოფალუნს**, რაც გამოყვავილებას, გამოკვირტვას ნიშნავს – მუ გურძუ დო მუ მუცადუ ჩხანაშ გითოფალუნს „რა გაუძლებს და რა მოუცდის მზის გამოსვლას“ (ქხს. I, გვ. 14).

ასეთივე მნიშვნელობისაა **გოპირუა**, რომელიც სახელია **გოპირანს** (კვირტებს გამოიყრის, აყვავილდება) ზმნისა.

მწიფობას **გუნაფა**-საც ეტყვიან (ფიფია, 1999).

მარცვალს მეგრულად **კაკალი** ჰქვია. **ქობალიშ კაკალი** – პურის მარცვალა, **ლაიტიშ კაკალი** – სიმინდის მარცვალა.

სიმინდის ფესვი, რომელიც მიწის ზემოთაც ჩანს, არის **ხოროლი**. ტაროს – **ტარი** ჰქვია, ტაროს მოტეხვას **ტარიშ ელატახუა**. ტაროზე შემოხვეულ ფუჩქის **ფურჩა**-ც ჰქვია და **ქურჩენი**-ც.

ნაადრევად მოყვანილი სიმინდის აღსანიშნავად იხმარება **ნაჩქიჩქა**, რომელშიც ნა-მყობადობის წინსართია, **ჩქიჩქი** კი ბაღლის, ბავშვის აღმნიშვნელი სიტყვა.

ადრე შემოსული ნაყოფის აღმნიშვნელი, როგორც კ. დანელია ფიქრობდა, უნდა ყოფილიყო *ორდოში. ქართ. ადრე-ს ზუსტი კოლხური შესატყვისი ჭანურშია დაცული **ორდო**-ს სახით. აქ ის ადრეს, მალეს, სწრაფს ნიშნავს. მეგრულში კი სემანტიკური გადაწევის გზით დილის მნიშვნელობით გამოიყენება (დანელია, 1991, გვ. 619).

ყვავის ზმნის შესატყვისი მეგრულში არის **პონს** (ჭარაია, 1997, გვ. 113).

დაუთესავად ამოსულ სიმინდს ან სხვა მარცვლეულს მეგრელები **ნანგერე**-ს ეძახიან.

ამ მეგრული ტერმინის ზუსტ შესატყვისს ქართულში ნაგერალი წარმოადგენს. სულხან-საბას განმარტებით, ნაგერალი „დაუთესველად მოსულია“ (ლექსიკონი ქართული, წ. I, გვ. 82). დავით ყუბანეიშვილი კი ამ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს – მომკულ ნახნავზედ მეორედ მოსული ყანა დაუთესავად.

ამგვარივე მნიშვნელობისაა **ნაგერა**, ქართულის ოკრიბულ და ლექსუმურ კილოებში – **ნაგერაი / ანაგერაი**, გურულში – **ნაგერალი**, მოხეურში, თუშურში და ფშაურში, **ნაგერალა**

იმერულში, ქიზიყურში.

ნაგერალა აჭარულში „დაუთესავად, შარშანდელ მიწაზე თავისით ამოსული მცენარეულობაა, მოხეურში კი ნაგერალა ჰქვია ფუჭ, უვარგის მარცვალს ხორბლისა.

მკვლევარების კ. ლერნერისა და ლ. ბენიაშვილის აზრით, სალიტერატურო ქართულის ნაგერალი უკავშირდება ლექსემას **გერი**, რომელიც დავით ჩუბინაშვილის განმარტებით არის „თან მოყოლილი შვილი, უკეთუ შვილიანმან კაცმან და ქალმან იქორწინონ მეორედ, მაშინ შვილნი ახალ მექორწილეთათვის იქნებიან გერნი“ (ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 318).

სიტყვა **გერი**, როგორც ირკვევა ქართულის მიერ ძველი ებრაულიდან არის ნასესხები. Ger ნიშნავს მოსულს, ებრაელთა შორის ჩასახლებულ უცხო ტომელს, აგრეთვე ახლად მოქცეულს (შაპირო, 1963, გვ. 82).

ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში ამ ებრაულ სიტყვას მწირის მნიშვნელობა აქვს (ანუ უთვისტომოს სხვა მხრიდან მოსულს, უნაყოფოსი და მსხემისა, რომელსაც სულხან-საბა განმარტავს, როგორც „უმკვიდრო“ და კაცს, რომელიც „სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს“.

სიტყვები მწირი, მსხემი და გერი ერთ სინონიმურ რიგს განეკუთვნება (ლერნერი, ბენიაშვილი, 1991, გვ. 41). როგორც ლერნერი და ლ. ბენიაშვილი აღნიშნავენ „სიტყვა გერი ქართულში უეჭველად ზეპირი გზით შემოვიდა... ის ებრაელებმა მოიტანეს, თანაც თავის მდგომარეობის აღსანიშნავად (ლერნერი, ბენიაშვილი, 1991, გვ. 41).

ქართულ სინამდვილეში ამ ებრაულმა ეთნოსოციალურმა ცნებამ სემანტიკური გადაწევა განიცადა და ოჯახური ურთიერთობის ერთი სახის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა (ლერნერი, ბენიაშვილი, 1991, გვ. 41). ბიბლიის თარგმნის დროისათვის (V საუკუნისათვის კი ბიბლია ქართულად უკვე თარგმნილია) გერი უკვე დიდი ხნის შემოსული უნდა ყოფილიყო ქართულში.

ქართულ გარემოში გერ სიტყვამ მეორეგზის განიცადა სემანტიკური ცვლილება. უთვისტომო ანუ უთესლო კაცის სემანტიკამ განაპირობა გერ სტეკის დაუთესავად, თავისით ამოსული მცენარის აღმნიშვნელ სიტყვად გადაქცევა (ლერნერი, ბენიაშვილი, 1991, გვ. 41).

ბიბლიაში ერთგან ნათქვამია: „მეორესა წელსა სთესო და ჰჭამო გერი მისი“ (IV მეფეთა, 19, 29).

ნაგერალი იმგვარადვეა მიღებული გერიდან, როგორც ნაბუშარი, ბუში-დან.

მეგრული ნანგერეს ქართული ნაგერალი უეჭველად. ამაზე პირველ რიგში მიუთითებს ის გარემოება, რომ მასში შემონახულია ქართული წინსართი ნა და არა მისი მეგრული შესატყვისი ნო- (ნაქალაქევი – ნოქალაქევი). ესეც არ იყოს მეგრულში არ დასტურდება ძველი ებრაულიდან ნასესხები გერი არც გამსესხებელი ენისეული სემანტიკით და არც ქართულში მის მიერ მიღებული სემანტიკური ცვლილებებით, კერძოდ, მეორედ დაქორწინებული მეუღლის შვილის აღსანიშნავად პირველი ქორწინებიდან. ამ მნიშვნელობით მეგრულში სხვა სიტყვა ცონერი იხმარება.

ნანგერე, ვფიქრობთ, ბოლოკიდურ მარცვალ მოკვეცილი ნანგერელა უნდა იყოს მსგავსად ნაბურსალასი, რომელიც ნაბურშელის შესატყვისია მეგრულში (ქართ. ბუში, მეგრ. ბურში).

რაც შეეხება ნ-ს, რომელიც სიტყვის შუაში ისმის ის განვითარებული ჩანს, რადგან, როგორც ცნობილია, მეგრულშია ხშულ მსკდომთა (განსაკუთრებით კი ბგერა გ-ს წინ ხშირად ვითარდება ნ მაგ. ქართ. აგური – მეგრ. ანგურა, ქართ. მაგარი – მეგრ. მანგარი, ქართ. მაგიერი – მეგრ. მანგიერი (ბეზია, დლიური, გვ. 141).

ის რაც ბიბინებს, არის **ბიბა / ფიფა / პიპა** (ქაჯაია, I, გვ. 240).

კავის მეგრული სახელია **ოგაფა** (მაკალათია, 1941, გვ. 186, ჯალაბიძე, 1974, გვ. 32) და ის აგაფას სახითაც გვხვდება (მასალეები, IV, ნაწ. II, გვ. 144) – ოჭმარეს აგაფა, ხოჯეფ გაგმუნწყულ „დილით კავი, ხარები გამოუწყვია“ (ხუბუა, 1937, გვ. 235). აგაფას უქანცუა (ქხს, I, გვ. 320).

ოგაფას რვილეს (დერძს) ზოგან გა-საც ემახიან. ოგაფას ერქვანი ჯდება **ჩაფლა**-ში ანუ **ქურ**-ში (ქუსლში) ამოღარულ ბუდეში (მასალეები, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 144), რომელშიც ფხალით ამაგრებენ.

ერქვანზე მიმაგრებულია **ხემითხუმუ** (სახელოური, სიტყვა-სიტყვით ხელმოსაკიდი), რვილეზე კი უღუ (უღელი) რვილეს თავთან აქვს დაკბილული ადგილი, იმისათვის, რომ **უღუ** რვილეს კარგად მიმაგრდეს და მის **წგრღვ**, **საწირღვ**-ც ჰქვია და **კვბგრ / კიბირ**-საც ემახიან. ქურს, ჩაფლას წამოეცმევა **კინახონა** (სახნისი) – მახაჩქალქ დეეთსია უწუ, მარა ნდიიქ ვეჩეცხვ. თიწკვმა მეკვათვ კინახონათვ ნდიის დუდი დო გალავანს ვიშო გეგნაბურინუ (ყიფშიძე, 1914, გვ. 21-22).

კინახონა სემანტიკურად გამჭვირვალე სახელია. ის კომპოზიტია და შედგება ორი სიტყვისაგან. **კინა** რკინას აღნისნავს მეგრულში. ამ ლითონის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს, როგორც იდენტური რკინა ასევე კინა. ამ უკანასკნელს ვხვდებით სიტყვაში კინისფერი, რაც პირდაპირ რკინის ფერს ნიშნავს. **ხონ**- ფუძე კი ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ხან-ფუძისა (ქართ. მო-ვ-ხან, მეგრ. დო-ბ-ხონ).

გამწევი ძალის მიხედვით **ოგაფა** ორგვარი იყო, **ხოჯაშ ოგაფა** (ხარშესაბმელი კავი) და **ცხენიშ ოგაფა** (ცხენშესაბმელი კავი).

ხოჯაშ ოგაფა-ს ხარის შესაბმელად უკეთდება **უღუ** (უღელი), რომლის დედატანს ერქვა დედო. დედოს ორივე თავთან ჰქონდა ორ-ორი ნახვრეტი (**ჟიჟის რხვილი**), სადაც გაიყრებოდა ტაბიკი, რომელსაც **ღეტამა**-ც ჰქვია. ტაბიკი წარმოადგენს თითის სიმსხო თავმსხვილ სწორად გათლილ **ბონ კეტ**-ს (სწორ ჯოხს), რომელსაც ბოლოში უკეთდებოდა ჩანაჭრი აპეურის მოსაკრავად დედოს შუაში არსებულ ჭრილს კი **წინეხიშ ოხვენჯი** (წინეხის საჯდომი) ერქვა.

დედოს შუაში ჰქონდა ჭრილი, რომელსაც, ისევე, როგორც რვილეს თავთან არსებულ დაკბილულ ადგილს, ერქვა **წგრღვ / წირღი**, რომელსაც **წინეხ / წურეხ**-იც ჰქვია. ალ. ცაგარელის **წირღი / წგრღვ**, ისევე როგორც **წურეხი** განმარტებული აქვს როგორც „скрученный прут“ და მიაჩნია **ჭინი / ჭგნვ**-ს (წვენელის) სინონიმად (ცაგარელი, 1880, გვ. 389).

წირეხი ფონეტიკური ვარიანტია წნეხი-სა **რ/ნ** ბგერათჩანაცვლება მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია.

ბაწარს, რომლითაც ხარის კისრის ქვემოთ ტაბიკებს კრავდნენ აპეური ერქვა, ხოლო ბაწარს, რომელსაც ხარის რქაზე ამაგრებდნენ – **ორთქერი** (ელიავა, 1985, გვ. 53).

სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირი **ოგაფა** გამოიყენებოდა ბარში – **რხენიშ ოგაფა**, ფერდობზე – **ფერდიშ ოგაფა**, მთაში კი **გვალაშ ოგაფა / გოდაშ ოგაფა** (ელიავა, 1998, გვ. 53).

ცხენიშ ოგაფა-ს ხოჯიშ ოგაფასაგან განსხვავებით აქვს არა **უღუ** (უღელი), არამედ **ხამუტი** (ჯალაბაძე, 1990, გვ. 93), რომელიც წარმოადგენს ცხენის კისერზე წამოსაცმელ ხისგან ამოთლილ, ოვალურ უღელს, რომელსაც შიგნიდან გამოკერებული ჰქონდა ტყავის სარჩული, რომლის ქვეშაც თხის ბეწვს ან ქეჩას უდებდნენ (ჯალაბიძე, 1972, გვ. 112).

ცხენიშ ოგაფა-ზე **დედო**-სთან ერთად ორივე მხრიდან მიმაგრებულია ხის გათლილი მართი, ორი ტოტი, რომელსაც ზოგან დანდალს, ზოგან კი (მაგ. ონოლიაში) **გამირ**-ს უწოდებენ

(ჯალაბიძე, 1990, გვ. 36).

ეთნოგრაფების მიერ სამეგრელოში მიკვლეულია კავის ერთი იშვიათი სახე, რომელიც **სუმქური**-ს სახელითაა ცნობილი. ის მართლაც სამქუსლაა და მის შემქმნელად ასახელებენ. ნამაკოლაოს მკვიდრ გლეხს სოფრო ოყუჯავას (ჯალაბაძე, 1990, გვ. 96).

რთულ სახვნელ იარაღს, რომლის დანიშნულებაა ღრმად და განიერად ხვნა, ბელტის გადაბრუნება და დაფშვნა (მეგრ. **ბერტიშ მინორთინაფა** დო **დიხაშ აკორღაფა**), მეგრულში, ისევე, როგორც ქართულში, გუთანი ჰქვია, მაგრამ გვაქვს ამ სიტყვის რაე განვითარებული სახეც – **გურთანი** – ეჩი ულუ გურთანით ქობონგნც ართი კოჩი (ხუბუა, 1937. გვ. 270). ორფრთიან ხის გუთანს, რომლითაც ჭაობიან მიწას ხნავდნენ, **ჩორბაქი** ერქვა (ბებია, დლიური, გვ. 19).

გუთნის ნაწილებია **კიბირი** / **კვბვრ** (კბილი), რომლის ძირი ბრტყლად არის გათლილი (გოთეთ რე თოლირი), **ხეკუდელი** (ხელკუდი), **ყამა** (ხანჯალი), **მანჯა**, **ფთე ხემიოთხუმუ** (სახელური), **კინახონა** (სახნისი), **საშერი** (ბუდე) და **წვანჯი** / **წვანდი** (წვერი).

გუთანი ქართველური სიტყვაა. სერგი ჯიქიამ დამაჯერებლად დაამტკიცა უსაფუძვლობა თურქი მეცნიერის, ა. ჯაფაროღლუს მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც თურქულში (ისიც საქართველოს მოსაზღვრე ადგილებში მცხოვრებ თურქთა მეტყველებაში) არსებული სიტყვაა Kotan, თითქოს ძველთაძველი თურქული სიტყვაა და ქართულს სიტყვა გუთანი თურქულიდან ჰქონდეს ნასესხები (ჯიქია, 1985, გვ. 255-262).

სიტყვა გუთანი იმავე მნიშვნელობით, როგორც მას ქართველურ ენებში აქვს, შესულია ჩვენი მეზობელი ერების ენებში, კერძოდ, სომხურში (გუთან), აზერბაიჯანულზე (გოთან) რამდენიმე დაღესტნურ ენაში ქორთ ფორმით ადიღურ ენებში კი, გ. ჩიტაიას აზრით, ეს სიტყვა შემონახულია ფამფალაკის აღმნიშვნელ ლექსემაში გულთანიმ (ჩიტაია, 1980, გვ. 72).

ხვნის შემდეგ მსხვილი ბელტების დასატვრევად იყენებდნენ უროს მაგვარ ხის იარაღს, რომელსაც **დუდეკამბა** (თაეკომბალა) ერქვა.

ბუჩქნარისა და მძიმე ნიადაგის დასამუშავებლად ხმარობდნენ **ჩენგ**-ს (ელიავა, 1989, გვ. 11), რომელიც პირბასრ და მაღალ თოხს წარმოადგენდა. მას ჩხოროწყუში **ჩორგ**-ს / **ოჩორგალ**-ს უწოდებენ (რუხაძე, 1976, გ. 120).

ჩენგ სახელიდანაა ნაწარმოები ზმნა **ჩენგუა**, რაც ჩორკნას ნიშნავს მეგრულში. რაც შეეხება **ჩორგ**-ს, ის **რ/ნ** ბგერათმონაცვლეობის ნიადაგზე წარმოქმნილი **ჩენგ**- სახელის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს.

თოხს მეგრულად **ბერგი** ჰქვია, მაგრამ თოხნის აღმნიშვნელ ნასახელარ ზმნად გვაქვს არა მოსალოდნელი ***ბერგ-უა**, არამედ **ბარგ-უა** – ბერგი დიხას ვადაჩირთუნია (ხალხ. სიბრძნე, I, გვ. 19). ბერგია, რომელიც ამ სიტყვის კნინობითი ფორმაა, პატარა თოხს ნიშნავს.

ბერგი ნაირგვარია, **ქორთული ბერგი**, **ხუჯამ ბერგი** (ჭანტურია, 1996, გვ. 216), **ორტვინიშ ბერგი** (საბოსტნე თოხი), **ჭკიდიშ ბერგი** (იგივე **ლუმუმ ბერგი**), **ორჩქონა ბერგი**, **ყაზმა ბერგი**, **გვალაში** / **გოლაში** / **გოდაშ ბერგი**, **რზენიშ ბერგი**. **ორჩქონა ბერგი** სამკუთხედის ფორმისაა და წვეტიანი პირი ყელს ზემოთ ყუა, სატარე ხვრელზე კი ზეაშვერილი ორი რქა აქვს (ელიავა, 1989, გვ. 11). ჭანურშიც თოხს **ბერგი** / **ბერჯი** ჰქვია.

გარდა ამისა, სამეგრელოში ხმარობდნენ **ჩუნეშურ ბერგ**-ს, **ჩქინობრა ბერგ**-ს და **გურუდ ბერგ**-ს (ელიავა, 1989, გვ. 51). როცა თოხს პირი გაუფუჭდებოდა, მას გადაჭედავდნენ ახალ პირს ასეთ თოხს **გიადვალირი**, **გილაჭკადილი** / **გიაჭკადირი ბერგი** ერქვა (ელიავა, 1989, გვ. 51).

გამოიყენებოდა **ქარჩი-ც**, რომელსაც **ჩენგი** ერქვა.

ლომის სამარგლავ პატარა თოხს **ხეკაკუტი-ც** ჰქვია და **კეკი-ც** (რუხაძე, 1976, გვ. 117). თოხის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელად უნდა ვივარაუდოთ *ხაჩქ, რომელიც უნდა გვექონდეს ნასახელარ ზმნაში **ხაჩქ-უნს** „თოხნის“.

სამეგრელოში (კერძოდ, სოფელ გურძემში) დამოწმებულია თოხის მარტივი სახეები – **დიხაშ ერვა** და **ყაზმა ბერგი**.

დიხაშ ერვა სახნისის მოყვანილობის თოხი იყო, **ყაზმა ბერგი** კი ვიწრო (ხუთი თითის სიგანის), ტანმადალი თოხი იყო და მას ლომის სათოხნად იყენებდნენ.

თოხს მაგარი ჯიშის ხისგან აკეთებდნენ. **ბზაკალიშ ბერგი** (ბზის თოხი) კარგად ერეოდა ფხვიერ ნიადაგს (ჯალაბიძე, 1979, გვ. 16).

ბარს მეგრულად **ბარი** ჰქვია. მეგრელები **შონურ** ბარს (სვანურ ბარს) ეძახიან სრული პირის მქონე ბარს, რომლის დაგებულ ტარზე, ბარის პირიდან ერთი მტკაველით ზემოთ მიერთებულია ფეხის დასადგამი ხისავე ფრთა, რომელსაც **კუჩხგილადგუმუ** – ფეხდასადგმელი ჰქვია (ბებია, დლიური, გვ. 8).

ხისგან გამოთლილ ნიჩაბს **ფიარი** ერქვა (მასალები, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 145). იმერულში ამ ნიჩაბს ფიორი ეწოდება (ჩიტაია, ხარაძე, 1985, გვ. 84).

ნახნავის მოსასწორებლად და გასაფხვიერებლად გამოიყენებოდა ხუთი ან ექვსკბილა, ფარცხისებური ხის იარაღი, რომელიც **კატბო** ერქვა (ელიავა, 1989, გვ. 18, 57).

სიმიინდს ჩვეულებრივ ხელით ფშვნიან, ხელით ფშვნას **კაკალუა** ჰქვია, მაგრამ ფშვნის აღმნიშვნელად გვხვდება **ჩაჩუა-ც**, რომელიც გვაქვს ნაზმნარ სახელში **ოჩაჩუე / ოჩაჩელე**, როგორც სიმიინდის საფშვნელს ეძახიან სამურზაყანოში (რუხაძე, 1976, გვ. 147). მრგვალ საფშვნელს **ქუფე** ჰქვია, კვადრატულს – **ჯანჯაბერა** (რუხაძე, 1976, გვ. 147), **ქუფე-ს** და **ჯანჯაბერა-ს** ძირს ნერჩი ჰქვია. მარტვილის მიდამოებში დასტურდება კიდევ ერთი სახელი სიმიინდის საფშვნელის **ხუნა** (რუხაძე, 1976, გვ. 150). უფეხო საფშვნელს – **ქუფე, ძღურკუ, ძარო** ჰქვია.

ლომის საცეხვს, რომელიც წარმოადგენდა გულამოღარულ დიდი ხის მორს, რომელიც კაცს წელამდე სწვდებოდა და 5-6 **ტკუ-ს** (მტკაველის) სიმაღლისა იყო, **ჩამური** ერქვა. ამ სახელს შეიცავს ცეხვის აღმნიშვნელი ზმნა **ჩამურუა**. ადგილს, სადაც სიმიინდს ცეხვავენ **ოჩამურე** ერქვა.

ოჩამურე ნაზმნარი სახელია და მასში შემონახულია მეგრულის მიერ დღეისთვის უკვე დაკარგული კანონზომიერი შესატყვისი ქართული ზმნური **ცემ-** ფუძისა, რომელიც გვაქვს მასდარში **ცემა**. **ო-ჩამ-ურ-ე** ზუსტი შესატყვისია **სა-ცემ-ურ-ი-სა**, **ჩამური** კი **ოჩამურე-ს** აფიქსებმოკვეცილი სახეა (ბაკურაძე, 1998, გვ. 93). ლომს ჩამურში ცეხვავენ ხის, ბოლო დაკაუჭებული კომბლისებური იარაღით, რომელსაც ერქვა **კაკუტი / კარკუტი, ტუკი / ტურკი / ტუნკი, კიკო, კვიკვა** (რუხაძე, 1916, გვ. 154). **კვიკვა** პატარაა, **კაკუტი** დიდი. **კვიკვა** სიმიინდის საფშვნელი იარაღია (რუხაძე, 1976, გვ. 117).

წყლის საცეხველს (**წყარიშ ჩანურ-ს**) **ოკაკვე / ოკვაკვე** ჰქვია (რუხაძე, 1976, გვ. 141).

ლომის გასახმობად ხმარობდნენ **ოლე-ს** (ჭანტურია, 1996, გვ. 217), რომელიც წარმოადგენდა თხილის წკნელით ყოველ მხრივ შემოღობილ ოთხკუთხა ჭურჭელს, რომელიც ოთხი-ხუთი **ტკუ-ს** (მტკაველის) სიმაღლის ხისავე ფეხებზე იდგა (ბებია, დლიური, გვ. 47).

ველზე ჩვენ მიერ ჩაწერილ იქნა ცნობა „წყარკაკია ჩამურზე“, რომელიც წარმოადგენდა წყლის ავსებისა და გადაღვრისას მომუშავე მექანიკურ ხელსაწყოს (ბებია, დლიური, გვ. 47).

ნამგალს მეგრულად **მაგანა** ჰქვია და ის ძველი ქართული მანგალის მეტათეზირებული და აბსოლუტურ ბოლოში ლ მოკვეცილი შესატყვისია. მანგალის ფონეტიკური გზა მაგანამდე ასე წარმოგვიდგება: მანგალ- > *მაგნალ- > მაგანა.

ფიქრობენ, რომ მანგალი ქართულს ნასესხები აქვს სირიულიდან სომხური მეშვეობით. სირ. *maggela* > სომხ. მანგალ (დანელია, 1991, გვ. 614). ამ ნასესხები ქართველური შესატყვისი დაცულია ადიშის ოთხთავში (897 წ.), „რაჟამს დამწიფდის ნაყოფი იგი, მუნქუისვე მოავლინა მღული“ (მრ. 4, 29). ამ სიტყვას ჯრუჰ-პარხლის სახარებაში შეესატყვისება მანგალი, რაც ამ ორი სიტყვის იდენტურ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

კ. დანელიას აზრით, უცხოური **მაგან** ფუძის სინონიმი მღული, რომელიც ძვ. ქართულ ძეგლებში დასტურდება (მაგ. ადიშის ოთხთავში, იქ, სადაც სხვა სახარებებში წერია მანგალი, იკითხება მღული. „რაჟამს დამწიფდის ნაყოფი იგი, მუნქუესე მოავლინოს მღული“). ქართულ-კოლხური ძირისა ჩანს და დაკავშირებული უნდა იყოს ქართ. ღუნვა : მეგრ. ღულა „მოღუნული“, „მრუდი“) სიტყვებთან (დანელია, 1991, გვ. 614).

ღული (საერთო) ქართულის აღმოსავლურ კილოებში (ხევსურულში, ფშაურში, კახურში, ინგილოურში) დაცულია ნამგლის მნიშვნელობით (ღლონტი, 1984, გვ. 211).

ღულ- საერთო ქართველური ფუძე ჩანს, რადგან ზ. სარჯველაძემ ამ კოლხურ-ქართულ ძირს შესატყვისი მოუძებნა სვანურშიც მუხლის (ანუ ფეხის გადასალუნი ადგილის) აღმნიშვნელი ღულ- სიტყვის სახით.

ვფიქრობთ, მღულის უნდა მომდინარეობდეს ნამგლის აღმნიშვნელი კოლხური სავარაუდო სიტყვისაგან *მოღულე, რადგან მასში ღუნ- ქართული ძირის კოლხური შესატყვისი ღულ გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართული ი ბგერის შესატყვისად კოლხურში ე ბგერა მართლაც დასტურდება (ქართ. მაყარი – მეგრ. მაყარე / მაყარე; ქართ. ქათამი – ქართ. ქოთომე, ქართ. ლანდი – ჭან. ლანდე). ძვ. ქართული მღულის წარმოშობა კოლხური *მოღულე-დან უფრო სარწმუნო გახდება.

მეგრულს დღეისათვის დაკარგული აქვს ქართული **ცელ**- სიტყვის ზუსტი შესატყვისი და აქაც ცელ-ს ცელი ჰქვია. მაგრამ ქართული ცელ- სიტყვა კანონზომიერ შესატყვისთან მიახლოებული სახე ცალ შემონახულია **ცალ-უნ-ს** (ცელ-ავ-ს) ნასახელარ ზმნაში. აქ სახეზეა ქართი ე : მეგრ. ა კანონზომიერი შესატყვისობა. მაგრამ ქართ. ც : მეგრ. ჩ შესატყვისობა, რომელიც ამ მეგრულ ნასახელარ ზმნაში დარღვეულია, შემონახულია ამავე მნიშვნელობის ჭანურ ჩალ-უნ-ს / ჩალ-უფ-ს ნასახელარ ზმნაში. ამას პირველად პროფ. გ. როგავამ მიაქცია ყურადღება (როგავა, 1960, გვ. 163).

ცელ- სიტყვის მეგრული კანონზომიერი შესატყვისი *ჩალ უნდა გვექონდეს, გ. როგავას აზრით, ქართულ ჩალა, რომელიც მიმღეობრივი წარმოების ნა წინსართ მოკვეცილი ფორმაა *ნაჩალასი (შდრ. დღევანდელ მეგრულში, ნა-ცალ-ა – ნა-ცელ-ავ-ი).

რადგან ქართველური ენებიდან **ცელ**- სახელი და მისგან ნაწარმოები ცელავს ზმნა მხოლოდ ქართულსა და მეგრულში იყო მოძიებული, გ. კლიმოვი ამ ფუძეს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგენს (კლიმოვი, 1964, გვ. 214). მაგრამ ე. ოსაძემ ცელ-ავს ფუძეს მასალობრივად დაუკავშირა **ცგლე** / **ცელე** სვანური ფუძედრეკადი ზმნა, რომლის მნიშვნელობაა „აპობს“, „ხევს“ (ოსიძე, 1977, გვ. 87). სემანტიკურად ამგვარ დაკავშირებას მართლაც არაფერი უშლის ხელს და მკვლევარის დასკვნა, რომ ცელ- ფუძე საერთოქართველურ დონეზეა

აღსადგენი, გასაზიარებელი ჩანს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცელის კანონზომიერ მეგრულ შესატყვისად უნდა აღვადგინოთ *ჩალ, რომელიც შემონახულია ჩვენ მიერ ჩაწერილ სიტყვაში ნაჩალგ / ნაჭალგ, რომელიც ყანის აღების შემდეგ დარჩენილ ჩალის ნარჩენს ჰქვია (ამ სიტყვის ორივე ფონეტიკური ვარიანტი ჩავიწერეთ სოფელ ერგეტაში, 63 წლის ბონდო მამფორიასა და 76 წლის ტერენტი ქურსუასაგან). (ბეზია, დღიური, გვ. 33).

ნაჩალ- / **ნაჭალ-** მეორე მხრით ნათელს ჰფენს ჩალის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვის **ჭა-**ს ისტორიასაც, რომელიც ლ მოკვეცილი *ჭალ უნდა იყოს, რაზედაც მიუთითებს ის გარემოება, რომ **ჭა** მრავლობითში თავდაპირველი სახითაა დაცული – ჭალეფი „ჩალეფი“. **ჭა** ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს ქართულის მიერ მეგრულიდან შეთვისებული ნა-ჩალ-ა-ს მიმდებარევი წარმოების **ნა** წინსართმოკვეცილი ფორმისა.

ხორბლის სამკალ უძველეს იარაღს, რომელიც გ. ჩიტაიამ აღწერა, სამეგრელოში **შანკი** ეწოდება. ეს სახელი რაჭული **შნაკვი**-ს ფონეტიკური სახესხვაობაა.

ლეჩხუმურში დადასტურებული **შნაკვი** მეტათეზირებული სახე ჩანს მეგრული **შანკი**-სა. ეს უკანასკნელი კი შესაძლოა ქართ. *სამკი-დან მომდინარეობდეს, რადგან ამ ბგერის წინაენისმიერი შხულებისადმი მიმსგავსება მეგრულში ხშირია. ქართ. მდელო – მეგრ. ნდოლო, ქართ. ნამდვილი – მეგრ. ნანდული; ქართ. სიმდიდრე – მეგრ. სინდიდრე (ჟღენტი, 1953, გვ. 123).

საყანედ (**ოყვანეთ**) ტყის ან ეკალ-ბარდის გადაკაფვა გადაწმენდისათვის გამოიყენებოდა **არგუნი** (ცული), **კვალა** (მცირე ზომის ცული), **ბურჭული** (წალდი), ხორხი, ჩელტს ზოგან ჩერტი ჰქვია, ზოგან კი ჩარტი (ელიავა, 1989, გვ. 97). **ჩერტი** ქართული ჩელტის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს, **ჩარტი** კი მისი კანონზომიერი მეგრული შესატყვისია. ეჩოს **ეჩვა**-ს ეძახიან, ფიწალს – **ფირწალს**.

კვერს მეგრულად **კელი** ჰქვია (ჭანტურია, 1996, გვ. 217) კალოს **ოკალაშე**, ლეწვას კი **ნკალუა**-ს უწოდებენ (მასალები, ტ IV, ნაწ. II, გვ. 236).

ბამბის ნაყოფისთვის კურკის მოსაცილებელ ხელსაწყოს, რომელიც ხისგან კეთდებოდა, **ჩიჩიხი** ერქვა. ჩიჩიხს აქვს ორი ტანი, რომელიც დამაგრებულია ძირზე, რომელსაც **კუჩხი** (ფეხი) ჰქვია. ტანში გაყრილია ორი მსხვილი ჯოხი, რომელსაც **კიჯი** ჰქვია. კიჯებს შორის დებენ ბამბას. კიჯების ტრიალის დროს კურკები ცვივა და ბამბა იწმინდება (მაკალათია, 1941, გვ. 211) – ჩიჩიხიე გაჩქვენუნა მელე-მოლე ურთანანი „ჩიხრიხი გეგონება, იქით-აქეთ რომ ატრიალებ“ (ბერიძე, 1920, გვ. 63).

ოკვაკვეში ერქვა წყლის ჩამურისებრ ხელსაწყოს, რომლის კაკუნი (**კვაკვაფი**) ფრინველებისა და ცხოველების შესაშინებლად და ამ გზით ყანის დასაცავად გამოიყენებოდა (მასალები, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 146). ამავე დანიშნულებისა იყო **ოტკვრგნაია**, რომელსაც **ოხარკალაია**-ც ერქვა (მასალები, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 146).

ხელის წისქვილს **სკიბუ** / **სკვბუ** ერქვა. მას ისევე, როგორც წისქვილს, ქვის ორი რგოლი აქვს – **დადულ ქუა** (დედალი ქვა) და **მუმული ქუა** (მამალი ქვა). ქვედა ქვაა დადული, ზედა – მუმული.

როცა ყანას დათვი ან სხვა ცხოველი შემოეჩვეოდა, მას უგებდნენ ხაფანგს, რომელსაც **ხუნჯი** ერქვა (კაკაბაძე, ჯალაბაძე, 1979, გვ. 95).

სარს, რომელიც იხმარება ლობიოს ან კიტრის ასაბმელად, **ხერხალი** ჰქვია. წვეტიანი სარი

არის **ანძუხი / ანწუხი, ანძუხიშა მოცუნაფა** „ანძუხზე / ანწუხზე წამოგება“ ხატოვანი გამოთქმა (ჩიქვანაია, 1998, გვ. 8).

ჩალის ასაღებ გრძელ ორკაპა ჯოხს **შუტური** ჰქვია (ჩიქვა, 2001, გვ. 104).

ბოსტანში მიწის გაფხვიერება და გაფარცხვა ხდებოდა ბურცხით, რომელსაც ზოგან **ფორცხ**-ს უწოდებდნენ. **ფორცხ**- ფუძე კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ფორცხ**- ფუძისა, რომელიც შემონახულია ნასახელარ ზმნაში ფარცხვა. ძველ ქართულში გვაქვს **ფუცხვ (ფურცხვ)**, რაც სულხან-საბას განმარტებით „არს კავოედნი ქვაბით ხორცთა ამოსაღები“.

კ. დანელიას სავესებით სწორი შენიშვნით **ფუცხუ**-ს თავდაპირველი მნიშვნელობა ფრჩხილი უნდა ყოფილიყო. შემდეგ მნიშვნელობის გაფართოებით ფოცხის აღმნიშვნელი გამხდარა და ქართულში შესულა (დანელია, 1991, გვ. 621).

ლომის საშრობად გამოიყენებოდა როგორც **ჯარგალიშ ცხვინი** (ჯარგვალის სხვენი), ასევე ოთხ მაღალ ბოძებზე მდგარი ნაგებობა – **ნანია** (ყიფშიძე, 1914, გვ. 286). ნანია იყო როგორც **ჭინით** (წნელით) ღობილი, ასევე **ჯარგალიშ ნანია** და **პიტაფიცარიშ ნანია** (ბებია, დღიური, გვ. 28). ნანია-ს, გარდა ამისა, სასიმიინდეს მნიშვნელობაც ჰქონდა (რუხაძე, 1976, გვ. 91).

სასიმიინდეს მაღაზა ჰქვია.

ლომის თავთავის საშრობ ფარდულს **რცხინა** ჰქვია (ქაჯაია, II, გვ. 557).

იმის მიხედვით, თუ როგორი წნულია გამოყენებული სასიმიინდეში, ის შეიძლება იყოს **გარგატული ღობილი**, (გარგატულად მოწნული), (სამწუხაროდ, ეთნოგრაფ ჯ. რუხაძის მიერ ჩაწერილი ეს ტერმინი ჩვენ ველზე ეერ დავადასტურეთ და ამდენად **გარგატულო ღობუა**-ს ხასიათიც ვერ დავადგინეთ), **აფხაზურო ღობილი** (აფხაზურად მოწნული). ორსართულიანი სასიმიინდეც ქვემო სართულის მასალად გამოიყენება **ჯარგვალი** (ძელი) ან **ღვარკალი** (რუხაძე, 1976, გვ. 92), აღწერილია სასიმიინდეს კიდევ ერთი სახე, რომელსაც **ბარჯგიშ მაღაზა** ჰქვია (რუხაძე, 1976, გვ. 94).

სასიმიინდე დგას სიმეტზე (სვეტზე, ბოძზე), რომელიც ხისაა, მაგრამ იგი შეიძლება ქვისაც იყოს. თითოეულ სიმეტს ზემოდან ადევს გულჩაზნეკილი ხის დისკო, რომელსაც **ბარბალი** (ბორბალი) ჰქვია. **პიტაფიცარიშ მაღაზა**-ს კედლის ფიცრები ქილიქით არის შეკირული და მას **ქილიქსკილი** (ქილიქით შეკრული) ეწოდება. მას აქვს **ბოყვი**, **კალუ** (კაუჭი) და **ფინა** (რუხაძე, 1976, გვ. 95).

პატარა ბაღ-ს ხულა ჰქვია (ყიფშიძე, 1914, გვ. 407).

როგორც ნანია, ასევე მაღაზა, ხულა და ბაღ გადაიხურება ისირით (ისლით), ან ყამბარით (ყავარი) სახურავად გამოიყენებოდა აგრეთვე წუ (რუხაძე, 1976, გვ. 95).

ხეს, რომელიც სახურავის თავზე დევს **ხოსა** ჰქვია, ხოლო გრძელ ფიცარს, რომელზედაც სახურავის ფიცრებია დაწყობილი, **ალადვალუ**-ს ეძახიან.

სასიმიინდეზე მიდგმულია საფეხურებიანი ხის მორი, რომელსაც ზოგან **ჩართი** ჰქვია, ზოგან **ტკვა**, ზოგან კიდევ **ეშალუ** (ასასვლეელი) ანუ კიბე.

ჰაერის მოძრაობის გასაადვილებლად სასიმიინდეს ჰერი ამოჭრილი იყო და მასზე იდო თხილის წნელისაგან მოწნული ბრტყელი სახუფი, რომელსაც ჰქვია **ჩუხურთა**, **ქუფე** (რუხაძე, 1976, გვ. 96) და **გოდლო** (ბებია, დღიური, გვ. 38).

მეგრ. **ბაღ** ქართ. ბელელ სახელის კანონზომიერი შესატყვისია ბაღ, **გორთილი**-ც არის და **უგურთუ**-ც ბელლის დანაყოფს „თვალი“ ჰქვია. მარცვლის შესანახად გამოიყენებოდა ბაღ-ბაღუ,

რომელიც მცირე ბედელს ჰქვია ბაღე / ბაღუ ბოლო მოკვეცილი ბაღურ- უნდა იყოს, რადგან ის ამ ფორმით და იგივე მნიშვნელობით დღესაც დასტურდება და ქართ. ბედელ- სიტყვასთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს, ვიდრე ბაღუ / ბაღე.

ზოგ ბაღე / ბაღუ-ს აქვს **აბარწა** (აივანი) ზოგს კი არა ბაღე-ს რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. ახლად დაქორწინებულებს აქ აცხოვრებდნენ. ჩვენს მიერ ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი ეტიმოლოგიით ბავშვის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა **ბაღანა** წარმოშობით ბედლის აღმნიშვნელი მეგრ. ბაღ- სიტყვას უკავშირდება. ინფორმატორის გადმოცემით – ბაღეს ონჯირუანდეს სინჯა დო მოჰყუდუს დო ათეშენ თინეფიმ სქუას ბაღანა ჯოხო (ბებია, დღიური, გვ. 54).

მეგრ. ბაღე სახელს -ელ ბოლოსართი უნდა ჰქონდეს მოკვეცილი. ამაზე მიუთითებს არამართო მისი ქართული შესატყვისი ბედელი, არამედ ლაზური **ბაგენი**-ც რომელიც ნალიას სახელია ზანურის ამ დიალექტში.

თავი V მარცვლეულისა და მიწის საზომ-საწყაოების აღმნიშვნელი ლექსიკა

სამიწათმოქმედო ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს მარცვლეულის საზომ-საწყაოებიც წარმოადგენს. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში მხოლოდ ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი საზომ-საწყაოები გამოიყენებოდა, მათი უდიდესი ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზე იყო წარმოშობილი და შესაბამისი კუთხის სამეურნეო ყოფასთან იყო დაკავშირებული (ჯაფარიძე, 1973, გვ. 5).

მეგრულს ტევადობისა და სიმძიმის საზომების აღმნიშვნელი მდიდარი ლექსიკა გააჩნია და მათი უმეტესობა მიწათმოქმედებას უკავშირდება. ფართობის აღმნიშვნელი სიტყვების რაოდენობა კი ძალიან მცირეა. ამგვარი ორადორი სიტყვაა ჩვენთვის ცნობილი: **ქცევა** და **ორთალი** (კილანავა, 1953. გვ. 15).

ორთალი XIX საუკუნის მიწურულის ერთ წყაროში **ორთვალი**-ს სახითაა ჩაწერილი (საქართველოს კალენდარი - 1892, თბ., 1891) და რომ აქ არანაირი შეცდომა არ უნდა იყოს, ჩანს ი. ყიფშიძის მეგრული ლექსიკონიდან, სადაც დაფიქსირებულია ამ სიტყვის ორივე ფორმა – **ორთალი** / **ორთვალი** და ისინი განმარტებულია, როგორც მიწის საზომი ერთეული, შესაბამისი 900 კვადრატული საჟენისა (ყიფშიძე, 1914. გვ. 498).

ქცევა ქართულიდან (იმერული, ან გურული კილოდან) ნასესხები სიტყვაა მისი ოდენობა XIX საუკუნის დამდეგს 900 კვადრატულ მხარს უდრიდა (ჯავახიშვილი, 1925, გვ. 139)..

1786 წ. კაცია II დადიანის მიერ დეისმა ჩიჩუასათვის ბოძებული წყალობის წიგნში ნათქვამია, რომ ლოგუას „თავისი მოძმის ნანეიშვილისაგან ნახევარი გლეხი მიწა..., რაც ერგებოდა..., მიბოძებიაო“ (ქუთაისის მუზეუმი, საბ. 1271). რადგან მეგრულში გლეხი აღინიშნებოდა სიტყვებით **მარგალი** და **ყაზაყი**, ამ დოკუმენტში მოხსენიებული ნახევარი გლეხი მიწა უნდა მივიჩნიოთ თარგმანად გვერდ მარგალი და გვერდ ყაზაყი დიხასი.

საწყაოს, ჭურჭლის აღსანიშნავად მეგრულშიც უნდა გვექონოდა ლაზური ენის არქაბულ

კილოში შემორჩენილი სიტყვა **ანგი**, რომელიც ჭურჭელს ნიშნავს (Feurstein, 2000, გვ. 2). ამას გვაფიქრებინებს მეგრული გამოთქმა – ანგიმ მანგი თანგი რე (სახოკია, 1989, გვ. 241), რაც ნიშნავს „ანგის ტოლი თარგია“ (მანგი „ტოლი, სწორი“, თანგი „თარგი“). **ანგი** მაკარ ხუბუას სპარსული ნასესხობა ეგონა (ხუბუა, 1945, გვ. 731), მაგრამ, როგორც ჩანს, ის ბერძნულიდანაა შემოსული. ამ ენაში გვაქვს ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვა *ἀγυος* (დანელია, 1981, გვ. 21). მეგრულში ეს სიტყვა ნარ-ის განვითარების შედეგად მანგი გახდა.

მეგრულში სიგრძის ერთეულს წარმოადგენდა **ორგია**, რაც როგორც ჩანს, ორივე გაშლილი ხელის ზომა იყო – კოჩქ ბაწარი ვით ორგია წყუშე გეშელუ დო ეჩ ორგიას ქედნაოყოთუა (სახოკია, 1989, გვ. 259); დიდ კერქე ქუმორთე ჯიქურო დო ქაატაკე გერიასგ. ელეულ მოგვერდი გერიაქე დო სუმ ორგიას ქააცოთე (ყიფშიძე, 1914, გვ. 35).

სამეგრელოში საწყაობად გამოიყენებოდა **ატარი, ბურწემი, ბუყუნი, ბარქაში, კალათი, კარაჩხა, კოთხო / კორთხო, კოპეშია, ლაგუჯი, ლიჯი, ნისორი, საკი, სარლა, ტომარე, ურემი, ქილა, ცეკა, მანძა, ხართა, ოგორდულო, გვერდი / გუერდი, მახათელა, ძარა.**

ბურწენი / ბურწემი, იგივე **ბუყუნი** ერქვა კასრს, რომელშიც 70 ფუთი მარცვალი ეტეოდა (მასალები, II, ნაწ. I, გვ. 228).

ატარი, რომელიც მეგრულში ხის ჯამს ჰქვია (ყიფშიძე, 1914, გვ. 401), მარცვლეულის საწყაოდ პირველად ენგურისპირა სოფლების სიორისა და ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ ნუსხაში დასტურდება. აქ არაერთგზის მოიხსენიება „ცხრა ატარი ღომი“, „შვიდი ატარი ღომი“ და ა.შ. (ქსძ. III, 382-385) საცაიშლო მოსაკრებლების დავთარშიც, რომელიც 1616—1621 წლებს შორისაა შედგენილი, საგლეხო გადასახადებს შორის მოხსენიებულია „ხუთი ატარი ჩხვერი“, „სამი ატარი ღომი“ და ა. შ. (ქსძ. III, გვ. 464, 466).

ატარის ტევადობა 0,4 ლიტრით განისაზღვრებოდა (ჯაფარიძე, 1973, გვ. 80).

მარცვლეულის საწყაო იყო **გორო**-ც, რომელიც სულხან-საბას თქმით „26 დოქს შთაიტევს“.

მა ჯგირო ბშუ, მიგესხინი, სი ლაიტი სუმი გორო, კოროცხუა მათი მიჩქუ, ვაიჩქუდა გვალო ბორო „მე კარგად მახსოვს, რომ გასესხე, სიმინდი სამი გორო, თვლა მეც ვიცი, ნუ გგონივარ მთლად სულელი“ (გეგია, დღიური, გვ. 9).

მარცვლეულის ჭურჭლად და შესაბამისას საზომად სამეგრელოში აგრეთვე გამოიყენებოდა კასრი, რომელსაც მეგრულად **ბურწემი**-ც და **ბუყუნი**-ც ერქვა. ეს უკანასკნელი ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალებით ბურწემის მეოთხედია (ბებია, დღიური, გვ. 6). გვაქვს ამ სიტყვის ორი ფონეტიკური ვარიანტი **ბურწინი** (კილანავა, 1998, გვ. 37) და **ბურწენი** (ჭარაია, 1997, გვ. 45).

ბუყუნი გამოიყენებოდა როგორც მარცვლის, ასევე ფქვილის შესანახად და საწყაოდ. დანიელ ფიფიას მიერ **ბუყუნი** განმარტებულია, როგორც „ფქვილის შესანახი ხისა“ (ფიფია, 1999, გვ. 11).

წყაროებში კასრში ტევადი მარცვლის განსხვავებული ოდენობაა მითითებული. ერთ ანონიმურ კარაბადინში, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებისად მიიჩნევა, კასრის წონითი ტევადობა 960 სტილით არის განსაზღვრული (ხელნაწერი Q916, გვ. 919). თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) წერს, რომ კასრი კოდის ნახევრის დამტევი ჭურჭელიაო. „საქართველოს კალენდრის“ მიხედვით კი კასრი ერთ ფუთ მარცვალს იტევდა (რუხაძე, 1978, გვ. 130).

დადგენილია, რომ ქართული **კასრ** სიტყვის მეგრული ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია **ყორში**, რომელიც დღეს მხოლოდ კოშკის აღსანიშნავად იხმარება მეგრულში (ჩუხუა, 1991, გვ. 87-

89). სიტყვას ყორში დღეს უკვე არავითარი კავშირი არა აქვს მეგრულ სამიწათმოქმედო ლექსიკასთან, მაგრამ ამის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მივიჩნით.

კალათი ქართულისა და მეგრულის საზიარო სიტყვაა. XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ ხონის საყდრის მოსაკრებლების დავთარში საგლეხო გადასახადებს შორის დასახელებულია „ერთი კალათი სამეჯინიზო მჭადი“, „ერთი გოდორი ან ურიში ან ფეტვი“ (ქსმ. III, გვ. 357, 364). ხოლო 1721 წელს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთარში „ერთი კალათი ღომი“ (ქსმ. III, გვ. 415).

კალათი სამეგრელოში ორგვარი იყო: **ორთაში კალათი** და **სახუჯოლი კალათი**. ეს უკანასკნელი ფუთნახევარ ტარო სიმინდს, მარცვლად კი სამ ფუთ სიმინდს იტევდა (რუხაძე, 1978, გვ. 16).

გოდორს მეგრულად **ცეკა** ჰქვია. ის ორჯერ დიდია კალათზე, ბევრად პატარაა **კარაჩხა**, რომელსაც ისევე როგორც ცეკას, ხმარობდნენ მარცვლის ჩასაყრელად და შესაბამისად საწყაოდაც.

დიდი ზომის კალათს **გემდღ-ც** ჰქვია. პატარა კალათზე კი **გემდღბია-ს** იტყვიან, რაც კნინობითი ფორმაა გემდღ-სი – გემდღჟ თქუა, უღუნ ხოლო თისია „კალათმა თქვაო, ვისაც აქვს ისევე იმასო“ (ხალხ. სიბრძნე I, გვ. 29).

კალათი, როგორც მარცვლეულის საზომი, ოდიშურ დოკუმენტებში XVIII საუკუნიდან გვხვდება (ჯაფარიძე, 1973, გვ. 131).

კოთხო საერთო ქართველური ენობრივი ერთობის დროინდელი სიტყვაა. მას კანონზომიერი შესატყვისი გააჩნია ქართულსა და სვანურში (ქართ. **კათხა** : სვან. **კათხ**). ზანური ფუძე **კოთხო** შესულია როგორც დასავლურ ქართულ დიალექტებში, ასევე სალიტერატურო ქართულში. სვანური ფუძის აუსლაუტში ნულოვანი რეფლექტი გვაქვს, რადგან სვანურს ასეთ პოზიციამი ა ხმოვნის მოკვეცა ახასიათებს (აბაშია, 2000, გვ. 10-11).

კოთხო მეგრულ-ჭანების დღევანდელი და ისტორიული განსახლების არეალში იყო გავრცელებული მარცვლისა და პარკოსნების საზომად. 1800 წლის ერთ დოკუმენტში დასახელებულია „ათი კოთხო ღომი“ (კაკაბაძე, 1925, გვ. 70) და 1848 წელს შედგენილ ცაიშის ეკლესიის მიჩემებულ გლეხთა მოსაკრებლების დავთარში „ერთი კოთხო ღომი“ (ტულუში, 2000, გვ. 109-131). **კოთხო** / **კორთხო**-ში ნახევარი ფუთი სიმინდის მარცვალი ეტევა (ბებია, დღიური, გვ. 20).

სამეგრელოში, როგორც ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალიდან და საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, ღომის მარცვლის ჩასაყრელად და საწყაოდ **კოპეშია** (კვახი) გამოიყენებოდა. 1790-1803 წლებს შორის შედგენილ ერთ გუჯარში სამეგრელოს მკვიდრი ყმების გადასახადებიდან მოხსენებულია „ექუსი კუახი ღომი“, „ექუსი კუახი ცეხვილი ღომი“ (კაკაბაძე, 1925, გვ. 127, 132). XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის კვახმა საწყაოს მნიშვნელობა დაკარგა.

მარცვლეულის საზომად, როგორც 1621 წელს შედგენილი დავთრიდან ირკვევა, სამეგრელოში გამოიყენებოდა **გუდა**, მეგრულად **ლაგუჯი**, რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც თხის ან ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ტომარა (ყიფშიძე, 1914, გვ. 474, ჭარაია, 1997, გვ. 80). ლაგუჯის მეორე სახელი მეგრულში არის **ხართა**, რომელიც ქართული ენის ლეჩხუმურ კილოში გვაქვს **ხალთა**-ს სახით. როგორც ზემოთ ნახსენები დავთარი გვაუწყებს, სუბიშელ გლეხ ვაჟობა ჯაკონიას თურმე საკათალიკოსოდ ემართა „გუდა ღომი, ერთ

წელიწადს მთელი გუდა, მეორეს ნახევარი, ხოლო მიქა მიქელიას ერთი გუდა ღომი“ (ქსმ, III, გვ. 427).

წერილობით წყაროებში არაერთხელ მოხსენიებული **ლოჯი**-ც, რომელსაც ჩვენ ველზე მუშაობისას ვერ მივაკვლიეთ. როგორც ჩანს, უკვე გამქრალი მეგრული სიტყვაა, რადგან ის, როგორც მარცვლეულის საწყაო, სამეგრელოში შედგენილ დოკუმენტში გვხვდება XVII საუკუნიდან (ჯაფარიძე, 1973, გვ. 106).

ლოჯი, ისევე, როგორც **ნისორი**, როგორც ჩანს გობს ერქვა მეგრულად. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ თუ ენგურისპირა სოფლების ხოირისა და ნაყანეულის მკვიდრ საკათალიკოსო გლეხებისათვის შეწერილი გადასახადი ღომის ოდენობა გობით არის ყველგან განსაზღვრული. 1621 წელს შედგენილ საკათალიკოსო დავთარში მის ადგილას გვაქვს მხოლოდ **ლოჯი** (შდრ. ქსმ, III, გვ. 382-386, 419, 425). (ის) მარცვლეულის საწყაოდ დასტურდება **ნისორი**, რომელსაც **სარდა-**საც ეძახიან (ყიფშიძე, 1914, გვ. 519). ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალაც ამას ადასტურებს – ართ ნისორ ლაიტში კაკალი ქიმმესხია ი გაჭირებულქ, მარა მა ქუვაჩუქი „ერთი გობის სიმინდის მარცვალი მასესხეო იმ გაჭირვებულმა, მაგრამ მე ვაჩუქე“ (ბეზია, დლიური, გვ 14).

მარცვლეულის (განსაკუთრებით ღომის) საწყაოდ სამეგრელოში გამოიყენებოდა მცირე გობიც, რომელსაც **ბარქაში** ჰქვია (ყიფშიძე 1914, გვ. 405). ეს მეგრული სიტყვა პირველად გვხვდება ერთ ვერცხლის ჭურჭლის წარწერაში, სადაც ნათქვამია: „მაცხოვარო წალენჯიხისაო, შემოგწირე ბარქაში ესე მე დადიანმა ბატონმა ლევან“ (კიკნაძე, 1976, გვ. 185).

საწყაოს მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს აგრეთვე სიტყვები **საკი**, **ტომარე** და **ძანძა**.

საკი მეგრულის მიერ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვაა *σάκιος* ბერძნულში ტომარას აღნიშნავდა. ასეთივე მნიშვნელობისაა ეს სიტყვა მეგრულში (ყიფშიძე, 1914, გვ. 519).

ტომრის აღსანიშნავად მეგრულში, გარდა საკისა, გვაქვს კიდევ **ტომარე** და **ძანძა**, რომელიც მცირე ზომის ტომრის სახელია (ფიფია, 1999, გვ. 52). გ. ელიავა აზუსტებს, რომ ძანძა არის „სელის ან კანაფის ძაფით ნაქსოვი ტომარა“ (ელიავა, 1997, გვ. 358).

ტარო სიმინდის საზომ ერთეულად გამოიყენებოდა ურემი – ეჩ ურემ ლაიტქ მაცუ წი „ოცი ურემი სიმინდი მოვიწიე წელს“ (ბეზია, დლიური, გვ. 13).

მარცვლეულის ყველაზე გავრცელებული საწყაოს სამეგრელოში **ქილა** წარმოადგენდა. ქილა, როგორც საწყაო XVI საუკუნის შუა ხანებიდან გვხვდება. 1569 წლის ერთ დოკუმენტში ქილა ღომის საწყაოს მნიშვნელობითაა ნახმარი (კაკაბაძე, 1921, გვ. 44). 1846 წლის კავკასიის კალენდრის მიხედვით ქილა ქუთაისისა და გურიის მაზრებში 12 ოყა ტევადობისა იყო (რუხაძე, 1978, გვ. 12). სამეგრელოში გავრცელებულ „შემოჭედილ ქილაში (**გოჭკადილ ქილა**) კი 42 გირვანქა თავსდებოდა (რუხაძე, 1978, გვ. 12).

ქილა, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება, მეგრულის მიერ არაბულიდან ნასესხები სიტყვაა და იმერულსა და გურულში შეიძლება ზანურის მემწეობით იყოს დამკვიდრებული.

ქილა წარმოადგენდა ხის მორისაგან გამოთლილ ან ხის ქერქისაგან „შეკერილ“ ან კიდევ ტკეჩით მოწნულ ჭურჭელს. ხისგან (ფულუროიანი) გამოთლილ ქილას იმ მიზნით, რომ არ დამსკდარიყო, ხის სალტეს – ორდუხს შემოაკრავდნენ (რუხაძე, 1978, გვ. 12-13), ხოლო წყალი რომ არ გასვლოდა, **ფორტვა**-თი ტენიდნენ.

საისტორიო წყაროებში შემონახულია საწყაოს რამდენიმე, დღეს უკვე დავიწყებული

სახელი. ესენია: **გუერდი, მახათელა / მახათელი, ოგორდულო და მარა.**

1621 წლის საკათალიკოსო დავთარში, ენგურისპირა სოფელ ნაყანულის მკვიდრ კოჩია ცისტარიას გადასახადებს შორის ჩაწერილია „ხუთი გუერდი ღომი“ (ქსმ, III, გვ. 422) სოფელ ნაგვაზაოს მკვიდრთა გადასახადებს შორის კი „სამი მახათელი ღომი“, „სამი მახათელა ღომი“ (ქსმ, III, გვ. 412, 413).

მახათელი მარილის საწყაოდაც გამოიყენებოდა. როგორც ბიჭვინთის ტაძრისადმი ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, მიველ ხომალდს, რომელიც სამეგრელოს ნავსადგურში შემოვიდოდა ეკლესიის სასარგებლოდ ბაჟის სახით უნდა გაეღო „10 მახათელი მარილი“ (ქსმ, III, გვ. 475).

1616-1621 წლებს შორის შედგენილ საცაიშლო მოსაკრებლების დავთარში ცაიშის მკვიდრ გლეხებს, გვარად საღარიას და ძიგურავას, ემართათ, პირველს „რვა ოგორდულიო ღომი“ (16, გვ. 450), ხოლო მეორეს – „ხუთი ოგორდულიო ღომი“ (ქსმ, III, გვ. 451).

1621 წლის საკათალიკოსოს დავთარში სოფელ ნაგვაზაოს მკვიდრ მახარობელ ნაჭყებიას გადასახადებს შორის ჩაწერილია „ერთი დიდი მარა ღომი“, ხოლო ამავე სოფლის მკვიდრ პაპა ზარქუას გადასახადებს შორის – „ერთ მარა ამოკირული კაკალი ღომი“ (ქსმ, III, გვ. 413).

წონის ერთეულად მეგრულში ისევე, როგორც ქართულის გურულ და აჭარულ კილოებში, გვაქვს **ოყა** (ჭარაია, 1997, გვ. 110). პეტრე მხეიძის შეწირულობის წიგნში ცაიშის ტაძრისადმი ნათქვამია „შევსწირე ცაიშის ღვთისმშობელს ხორგის ერთი მოსახლე კორტავა ახალკოჩი... ამ გლეხს დავადევით... ყოვლის ბეგარის გადასახადის ნაცვლად ოთხი ოყა და ნახევარი სამთელი (ტულუში, 2001, გვ. 60).

წონის ერთეულის აღმნიშვნელია მეგრულში **ლაღარიკონი**, რომელიც სასწორსაც აღნიშნავდა ამ ენაში.

უძველესი საბუთი, სადაც ეს მეგრული სიტყვაა პირველად მოხსენიებული, 1564 წელსაა შედგენილი. ეს გახლავთ შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ წულუკიძისა ხობის მონასტრისადმი. ტაძრისათვის შეწირული სკვამკოჩა ფაციას გადასახადებს შორის აქ დასახელებულია „ერთი ლოღარიკონი სანთელი“ (ქსმ, III, გვ. 275).

დოკუმენტებში ეს სიტყვა გვხვდება ლოღარიკონის, ლოღარიკის, ლაღარიკის სახით. ამ მეგრული სიტყვის დიდ სიძველეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ, როგორც XVIII საუკუნის დამდეგის ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, წონის ეს ერთეული გავრცელებული იყო იმერეთსა და გურიაშიც, ანუ მეგრულ-ჭანების განსახლების ისტორიულ საზღვრებში.

ნ. ხანიკოვი, რომელმაც 1851 წელს საგანგებო წერილი უძღვნა ამიერკავკასიაში ხმარებულ წონისა და ზომის ერთეულებს, **ლაღარიკონ / ლოღარიკონ**-ს (логарик) ოზურგეთის მაზრაში 2 ქსანით, 4 სტილით ან 680 გრამით განსაზღვრავს (ხანიკოვი, 1851, გვ. 558).

ლაღარიკონი / ლოღარიკონი მეგრული სიტყვა ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ **ლაღა / ლაღე** უცილობლად საერთო ქართველური სიტყვაა. სვანურისა და ზანურისაგან განსხვავებით ის ქართულიდან ადრე გამქრალი ჩანს, რადგან აღმოსავლურ ქართულ კილოთა ლექსიკაში ამ სიტყვას ვერ ვხვდებით. მის ნაცვლად აქ სილა იხმარება.

ქართული ენის დასავლურ კილოებში კი ეს სიტყვა დღემდის ცოცხალია. გურულში გვაქვს გამოთქმა „ლაღაგადასმული ბათმანი“, რაც „სწორ ბათმანს“ ნიშნავს (ჩიტაია, 1970, გვ. 73). ვ. ბერიძის „სიტყვის კონაში“ ლაღა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ჯოხი, რომელსაც

ხორბლეულის მორწყვის დროს ხმარობენ, ბათმანს ან სხვა საწყაოს თავზე უსვამენ“ (ბერიძე, 1912, გვ. 73).

ლექსუმურშიც ხმარობენ გამოთქმას „ლადაგადასმული“, რაც მოსწორებულს ნიშნავს ამ კილოკავშიც. „ლადა ჯოხია, რომელსაც ხორბლეულის რწყვის დროს ხმარობენ, ბათმანს ან სხვა საწყაოს უსვამენ მოსასწორებლად“.

ლადამოსმულს ლექსუმური მგვანის, ტოლის მნიშვნელობაც შეუძენია, რაზედაც მეტყველებს ალავიძის მიერ ჩაწერილი ერთი გამოთქმა „ორივე ცოლ-ქმარი პირდაპირ ლადამოსმულნი არიან“ (ალავიძე, 1938, გვ. 49).

მეგრულში, ისევე როგორც ქართულში მარცვლეულის საწყაო ერთეულად გვაქვს **ბათმანი**, რომლის ოდენობა ნახევარი ფუთით განისაზღვრება – ჟირ ბათმანი ართ ფუთი რე „ორი ბათმანი ერთი ფუთია“ (ქაჯაია, I. გვ. 212).

თავი VI

წელიწადის დროებისა და ამინდის აღმნიშვნელი ლექსიკა

წელიწადის დროებსა და ამინდს მიწათმოქმედებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ წელიწადის დროების, თვეების, დღეებისა და ამინდის აღმნიშვნელი ლექსიკა სამიწათმოქმედო ლექსიკის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

მიჩნეულია, რომ წელიწადის დროების აღმნიშვნელ ქართული და მეგრული სიტყვების თავკიდური (ქართ. **ზა** – მეგრ. **ზო**) სეგმენტი ესადაგება სვან. **ზა** – (**ზა** / **ზა**) წლის აღმნიშვნელ სიტყვას (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, გვ. 128) და კლიმოვი ფუძე-ენის დონეზე აღადგენს *ზა-არქტიპს.

გაზაფხული და ზაფხული მეგრულში **გაზარხული** / **გაზარხული**-სა და **ზარხული** / **ზარხული**-ს სახით გვხვდება. ამ ორ სიტყვაში არა გვაქვს ქართულსა და მეგრულს შორის მოსალოდნელი ფონეტიკური შესატყვისობანი, არადა წარმოუდგენელია მეგრულში არ გვექნდეს სიტყვები, რომლებიც უძველესი საერთო ქართველურ ლექსიკისეულია უეჭველად. ამიტომ ამ სიტყვების აღდგენა უნდა ვცადოთ შესატყვისობათა გათვალისწინებით. მით უფრო, რომ წელიწადის დროის აღმნიშვნელ ისეთ სიტყვას, როგორცაა **ზამთარი**, მეგრულში გააჩნია ფონეტიკურად კანონზომიერი შესატყვისი. მეგრ. **ზოთონჯ** / **ზოთონჯ** სიტყვის სახით – **ზოთონჯ** თერი მოჩხუპუნა, **ზარხულს** მოჩხუპუნა ჩხანა“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 162). **ზოთონჯ** სიტყვაში ნ ბგერა რომ განვითარებულია ეჭვს არ იწვევს, რადგან ენაუნისმიერი აფრიკატების წინ ნ-ს განვითარება მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია (ჟღენტი, 1953, გვ. 92). სავარაუდოდ, ქართ. **ზამთარ** სიტყვაშიც მ ბგერა ასევე განვითარებული უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ქართ. *ზათარ და მეგრ. *ზოთონჯ ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისი გამოდის, რადგან აქ გვაქვს, როგორც ქართ. ა – მეგრ. ო შესატყვისობა, ასევე მეგრულ-ქანურისათვის დამახასიათებელი რ ფონემის ჯ აფრიკატში გადასვლის ცნობილი ფონეტიკური პროცესი (როგავა, 1986, გვ 35). თავკიდურ პოზიციაში, როგორც ქართულ *ზათარ, ასევე მეგრ. *ზოთოჯ სიტყვებს შესაძლოა მოკვეცილი ჰქონდეთ პირველს მ, ხოლო მეორეს ბ ბგერა და უნდა გვექნოდა *ზათარ და *ზოთოჯ (შდრ. ქართ. მზე – მეგრ. ბჟა). ეს ქართული და მეგრული

სიტყვები სემანტიკურად მზეცივს უნდა ნიშნავდეს.

დღეს მეგრულში გაბატონებული გაზაფხული, ისევე როგორც **გაზარხული / გაზარხული**, აშკარად ქართულის ზეგავლენის შედეგია და არა ნასესხობა, როგორც ეს ჰგონიათ (ჭუმბერიძე, 1988, გვ. 97). გაზარხული – სიტყვის ადრინდელი ფორმა შემონახულია ნასახელარ ზმნაში **გოზარხულუა**, რაც გაზაფხულებას ნიშნავს. ამრიგად, გაზაფხულის მეგრული შესატყვისი უნდა ყოფილიყო ***გოზარხულ / გოზარხული**, რომელიც, ცხადია, არ არის საწყისი მეგრული ფორმა ამ სიტყვისა, რადგან აქ მარტო ქართ. ა – მეგრ. ო შესატყვისობა დასტურდება, სამაგიეროდ არა გვაქვს ქართ. ზ – მეგრ. ჟ მოსალოდნელი შესატყვისობა, რომლის არსებობის შემთხვევაში გვექნებოდა ***გოზჟახული**. გარდა ამისა, გაზაფხულის კიდევ ერთი სახელი აქვს მეგრულს **აფუნი-**ს სახით (ყიფშიძე, 1914, გვ. 197) – არმაშ უსქვამაში აფუნიე, უწია „ყველაზე ლამაზი გაზაფხულიაო, უთხარიო“ (ხუბუა, 1937, გვ. 221). ერთი შეხედვით, სიტყვა აფუნი მეგრულს ნასესხები უნდა ჰქონდეს აფხაზურიდან, სადაც ააფენ გაზაფხულს ჰქვია (ჯანაშია, 1954, გვ. 6), მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სხვაგვარადაა.

ერთი მოსაზრების მიხედვით **აფუნი** შესაძლოა ყვავილობას ნიშნავდეს, რაზეც თითქოს უნდა მიუთითებდეს გაზაფხულის ჭანური სახელი **ფუქრინორა-ც**, რაც სიტყვა-სიტყვით ყვავილობის დროს ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1988, გვ. 97).

ა. სიჭინავას აზრით, უფრო დამაჯერებელია **აფუნ** სიტყვის დაკავშირება დუღილის აღმნიშვნელ მეგრულ ფუძესთან **ფუნ-** (ფუნაფა, ფუნს, ოფუნუ...) და ცხელის აღმნიშვნელი მეგრულ **ფურე** სიტყვასთან (სიჭინავა, 1988, გვ. 34), როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს (ჭარაია, 1912, გვ. 37), ჯავახიშვილი, 1953, გვ. 156-157).

თითქოს ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს სიტყვა **აფუნობა-ც**, რაც გაზაფხულებას ნიშნავს (ქაჯაია, I, გვ 199), მაგრამ ის მაინც აფხაზური ნასესხობა ჩანს.

გაზაფხულის აღსანიშნავი კიდევ ერთი სიტყვა გვაქვს მეგრულში **გიშულირი / გეშულირი / გუშულირი-ს** სახით, რაც სიტყვა-სიტყვით „გამოსულს“ ნიშნავს და ის ერთ-ერთი უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს, რადგან სვანურში გაზაფხულს **ქამლიზალ / ქამიზალ** ჰქვია (ქალდანი, 1959, გვ. 218). ქართულის აჭარულ კილოშიც გაზაფხულს გამოსული ეწოდება (სიჭინავა, 1998, გვ.35). აღსანიშნავია, რომ თვის სახელი აპრილი, რომელიც ბერძნულ-რომაული წარმოშობისაა, ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას **აპერირე**, რაც ნიშნავს გახსნას, გაღებას (სიჭინავა, 1998, გვ. 85). წელიწადის დროს, კერძოდ, თებერვალს მეგრულში **აყანიერება-ც** ჰქვია და ის ითარგმნება როგორც „მოღონიერება“ (სიჭინავა, 1998, გვ. 36).

შემოდგომა მეგრულადაა **დამორჩილი**. ზ. ჭუმბერიძის აზრით, **დამორჩილი** დამორჩვა ზმნის მიძლეობაა და ნაწარმოებია ახალამონაყარი ყლორტის ქართული სახელისაგან **მორჩი** (ჭუმბერიძე, 1988, გვ. 94).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ **დამორჩილი-ს** ა. სიჭინავასეულ ეტიმოლოგიას. დამორჩილი მეგრ. **დღამორჩილი-ს**აგან უნდა იყოს მიღებული (სიჭინავა, 1998, გვ. 37) *დღამორჩილი სიტყვა-სიტყვით „დღე მცირეს“ (resp დღე მოკლეს) ნიშნავს მეგრულად და ზუსტად ესადაგება შემოდგომისათვის დამახასიათებელ დღის ხანგრძლივობის სიმცირეს.

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „ძველ ქართულში მზე და დღე სინონიმები ყოფილან“ (ჯავახიშვილი, 1953, გვ. 145). ამის გათვალისწინებით ა. სიჭინავა ვარაუდობს, რომ *დღამორჩილი მზის (ანუ სითბოს) შემცირების შემცველიც შეიძლება იყოს (სიჭინავა, 1998, გვ.

38). ვფიქრობთ, რომ ეს ვარაუდიც მისაღებია.

თვეების მეგრულ სახელებში ძალიან საყურადღებო ფონეტიკური პროცესები. როგორც ჩანს, მეგრულს თვეების მეგრული სახელები უშუალოდ ბერძნულისაგან აქვს ნასესხები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია **ფრევალი** – თებერვალის მეგრული შესატყვისი. ეს სახელი რომ ქართულიდან იყოს მეგრულში შესული, მაშინ აქაც იყო მოსალოდნელი თებერვალი.

იანარი მეგრულად იანვარია, **მარტი** მეგრულად მარტია, აპრილს მეტათეზისის გამო **არპილი** ჰქვია, მაისი არის **მესი**, ივნისი – ივანობა, ივლისი – **კვირკვე**, აგვისტო – **არგუსო**, სექტემბერი – **ევენაა**, ოქტომბერი – გემათუთა, ნოემბერი – **გერგობათუთა** და დეკემბერი – **ქირსეთუთა**.

სექტემბრის კიდევ ერთი სახელი მეგრულში არის **ღვარალა თუთა**.

თედო სახოკია და იოსებ ყიფშიძე ერთნაირად განმარტავენ **ღვარალა თუთა**-ს. რადგან ენკენისთვეში (სექტემბერში) წვიმები, ღვარები იცის, ამ თვეს ღვარალა თუთა-საც ანუ ღვარების თვესაც ეძახიან (სახოკია, 1950, გვ. 193; ყიფშიძე, 1914, გვ. 350).

მართალია, სიტყვა ღვარი იმავე მნიშვნელობით, როგორც ქართლში აქვს, მეგრულშიც იხმარება, მაგრამ ეს სიტყვა რომ იყო სექტემბრის თვის ამ მეგრულ სახელში, მაშინ გვექნებოდა არა **ღვარალა თუთა**, არამედ **ღვარუა თუთა**.

ღვარალა თუთა სემანტიკურად სავსებით გამჭვირვალეა, **ღვარალა** ყვირილის აღმნიშვნელი მასდარის **ღვარაფ**-ის შემცველი სიტყვაა და ნიშნავს ყვირილობას.

ღვარალა თუთა ზუსტი შესატყვისია ქართ. ყვირილობისთვისა, რაც ფშაურსა და თუშურ კილოებში ჰქვია დროს, დაწყებულს სექტემბრით და დამთავრებულს ოქტომბრით, როცა ხარიეში ყვირის და ფურს ეძებს, ანუ ირმის ატეხილობის ხანას (ლლონტი, 1984, გვ. 609).

სამეგრელოში ღვარალა თუთას მზია მაკალათიას მიერ ჩაწერილი განმარტებით, ძველად სწამდათ, რომ ენკენისთვეში ირემი რომ იყვირებს, ის თვე წვიმიანი იქნებაო – მუჟამს ირემ გიოღვარანსია, თი თუთას უჩქუნია ღვარი ჭვემა“ (მაკალათია, 1979, გვ. 67).

თვით მეგრული სახელებიდან უშუალოდ მიწათმოქმედებას უკავშირდება ოქტომბრის აღმნიშვნელი გემათუთა, რომელიც ზუსტი სემანტიკური შესატყვისია ამ თვის ძველქართული სახელისა მკათათვე (**გემუა** მეგრულად მკას ნიშნავს). ამასთან საყურადღებოა სიტყვა **გემა**, რაც ნამჯას ნიშნავს (არნანაია, შონია, 1999, გვ. 131).

ივნისს, რომელსაც რაჭულ კილოში მწიფობისთვის (ლლონტი, 1984, გვ. 397), ძველ ქართულში კი მარილისა ერქვა, მეგრულში, გარდა ივანობისა, რომელიც ლათინურ iunius-დან მომდინარეობს **მაქერობა**-ც ჰქვია. **მაქერ**- ფუძე, რომელის ამ სიტყვაში გვაქვს, საადრეო ჯიშის მწიფობის აღმნიშვნელი ის **მაქერე** უნდა იყოს, რომელიც ერთი საადრეო ჯიშის მსხლის **მაქერე სხულ**-ის სახელშია შემონახული. თვის სახელი **მაქერობა** ამ ლექსემას დაუკავშირა მ. კვირტიამ (კვირტია, 2001, გვ. 143).

ლათ. Augustus მეგრულში **არგუსო**-დ გადაქცევის ფონეტიკური გზა ასე გვესახება: მეგრულში უ ხმოვანი ხშირად გვადლევს ვი კომპლექსს (მაგ: მეგრ. ქური „ქუსლი, ძირი“ – მეგრ. **ჯვინჯი** > **ქვინჯი** „ძირი“, ფუძე) ხოლო ტ ბგერა ს ბგერის მომდევნო პოზიციაში ხშირად ქრება (მაგ. ქართ. **სტუმარი** – მეგრ. **სუმარი**), რაც შეეხება რ ბგერას, ის განვითარებულია.

ესხერი ჰქვია მარტის ბოლო და აპრილის პირველ სამ-სამ დღეს. მეგრელთა წარმოდგენით, ესაა აპრილის მიერ მარტისაგან ნასესხები ცუდი დღეები (ქაჯაია, I, გვ. 558). ესხერის სახით საქმე

უნდა გვეჩინდეს ძველადმოსავლური მოძრავი, 30-30 დღისაგან შემდგარი, 12 თვიანი წელიწადის იმ დამატებითი 5-6 დღის სახელთან, რომელსაც ეპაგომენი ერქვა (კეკელიძე, 1956, გვ. 109).

ჰაერი დღეს მეგრულში ზუსტად ისე გამოითქმის, როგორც ქართულში, მაგრამ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩაწერილ მეგრულ ტექსტებში დასტურდება ჰაერი – კაზანდი ქერქუესია ართო ორქოში თუმამი ცირა ჰაერით მეყუნდუა დო გამოათხოზია „კაზანდი ქერქიას ერთი ოქროსთმიანი გოგო ჰაერივით მიჰყავდაო და გამოვეკიდეო“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 29); ქოტკეჩგ მართახი რაშისგ დო ეფერ ქაალაყაფინუ, ტვერი დო ჰაერი ვეგიშეგორედგ „ჰკრა მათრახი ცხენს და ისე აათამაშა, რომ მტვერსა და ჰაერს ვერ გაარჩევდი“ (ყიფშიძე, 1914, გვ. 33).

კარგ დარს **ტაროზი** ჰქვია, ნელ ქარს, რომლის შემდეგაც გამოდარებას ელიან **მატაროზე ბორია** – მატაროზე ორდოშე იჩინებენია (მეგრ. ტექსტები, II, 434). გამოდარება **გოტაროზუა**-ა. ქური მიქაქალუანცგენ – მატაროზე ბორია (სამუშია, 1974, გვ. 16).

მოწმენდილ ცაზე ხატოვნად იტყვიან **გოსარკილ**-ს, რაც გასარკულს ნიშნავს.

მზის გამონათებას, **გითოჩხანაფა / გოჩხანაფა**-ს ეტყვიან – ჰვემა გეგნილუ დო გეგთიჩხანუ „წვიმამ გადაიდო და მზემ გამონათა“ (ქაჯაია, I, გვ. 328).

მკაცრს ზამთარს, როცა დიდი თოვლია **გერან**-ს ემახიან (ფიფია, 1999).

მასქური ჰქვია ქარს, რომელიც სქურის ხეობიდან ქრის. ამ სახელში გვაქვს წარმომავლობის მაწარმოებელი საერთოქართველური ერთობისდროინდელი ცირკუმფიქსის მეგრ.

კანონზომიერი შესატყვისი მ-ალ, მაგრამ სუფიქსმოკვეცილი სახით. მ- წინსართის მომდევნო ა ბგერა კი განვითარებული უნდა იყოს: **მ-ა-სქურ-ი** ნიშნავს სქურის ხეობიდან მონაქროლ ქარს.

ჰვემა ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. წვიმის. – ცას ჰვემა (ჰვიმა) მაბუ-ს იტყვიან მაწვიმარ ამინდზე – ცას ჰვემა მაბუ, სო მეურქ „სად მიდიხარ, საცაა იწვიმებს“ (ჩიქვანაია, 1998, გვ. 83).

ერთბაშად წამოსულ მსხვილწვეთება წვიმას **ნაცონა ჰვემა** ჰქვია და ის სიტყვა-სიტყვით ნამყნობ წვიმას ნიშნავს.

ჩხაპალი მცირე წვეთებიანი წვიმაა. ჩხაპალანს – ცრის. ჟინჟულს მეგრულად **ნოტა** ჰქვია (ნოტანს – ჟინჟლავს) – მუთ ქუორეთ ლებარდეს, ჰვენს დო ნოტანს... (მეგრ. ტექსტები, I, გვ. 202).

თავსხმა წვიმის აღსანიშნავად მეგრულში იხმარება **მერეხი-ც** – ჰვენს, ვალუნს დო მერეხანს, მეხ ჰყონს ფელეკანს... (მეგრ. ტექსტები I, გვ. 203).

დეღგმას, უხვნალექიან დროს, რომელიც უზომოდ გრძელდება **ჰოროფა** ჰქვია. ამ ლექსემაში შემონახულია ქართ. **წყალ**- სიტყვის თავდაპირველი **წალ**- ფორმის ზუსტი მეგრული ფონეტიკური შესატყვისი **ჰორ**- (ქართულ **წყალ**- და მეგრ. **წყარ**- სიტყვებში, როგორც ცნობილია ყ ბგერა გვიანაა განვითარებული ჰარმონიული კომპლექსის შექმნის მიზნით) – ქიანა ქიჭუუდასუნი, გემნიყუნანს ჰოროფას (მეგრ. ტექსტები 1, გვ 57).

ღრუბელს მეგრულად დღეს **მუნაფა** ჰქვია, მაგრამ ის მოღრუბლულს აღმნიშვნელი უნდა იყოს, რადგან **მუნაფა გურაფა, წურაფა, შხუნაფა**-ს ტიპის მასდარია. ღრუბლის აღმნიშვნელი სახელი კი უნდა იყოს *მუნ.

მუნაფას ჩხანა ვაფულე (მეგრ. ტექსტები II, გვ. 437). **ვალი** – ელვას, **ტყვაცი** – სეტყვა, **გურგინი** - გრგვინვა – მუზმას გოვალგნსგენ თიზმა გოტყვაცასუნ ქიანას კოჩ ვადოსკიდუნია „რამდენს იელვებს იმდენი რომ იქექოს ქვეყანაზე კაცი არ დარჩება“ (მეგრ. ტექსტები, II, გვ. 437).

გოლოფა გვალვაა – გოლოფას ლატ დისორგულდ ლენჰყონა დო ნადვარსგ (სამუშია, 1979,

გვ. 147). მეგრ. **გოლ**- ფუძე და ქართ. **გვალ**- ფუძე ამ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ო ბგერისა და ვა კომპლექსის მონაცვლეობის კარგია მაგალითია.

პაპანაქება სიცხეს მეგრულად **ქერთა სინჩხე** ჰქვია – ბაღანა სო გოუტე თე ქერთა სინჩხეს „ბავში სად გაუში ამ პაპანაქება სიცხეში“ (ჩიქვანაია, 1998, გვ 69). პაპანაქებაა აგრეთვე როგორც **ანკია** ასევე **ნკერია** (ჭარაია, 1997, გვ. 69). ამავე მნიშვნელობისაა **გაგმინჯობა** (ქაჯაია, I, გვ. 212).

აცივებას მეგრელები ხატოვნად **ჩხურუმ დოლაფა**-ს (მარტვ. **ჩხურუმ დოდაფა**-ს) ეძახიან – წიი მუჭო ადრე დოდაფ ჩხურუქ „წელს როგორ ადრე ჩამოვარდა სიცივე“ (ჩიქვანაია, 1998, გვ. 81).

ქარს მეგრულად **ბორია** ჰქვია. ის ზუგდიდურ-სამურზაყანოულში გვხვდება უფრო, სენაკურში კი ქარი იხმარება. ქარის სახეობებია ზღვაური (ზღვიდან მონაქროლი), მასკური (სკურის ხეობიდან მონაქროლი), ჟინ ბორია (აღმოსავლეთის ქარი; სიტყვა-სიტყვით ზენა ქარი), **წანი ბორია** (სამხრეთის ქარი), ჯვარული ბორია (ჯვარის მხრიდან მქროლავი ქარი), გირგალი (გრიგალი, ქარიშხალი). **ბორია** მეგრულს ბერძნულიდან აქვს ნასესხები.

თავი VII

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ლექსიკა

1. მიწის შემოღობვა-შემოკავებასთან დაკავშირებული ლექსიკა

ყანის შემოკავებას **ემაჭოფუა**, შემოკავებულ ადგილს კი **გოჭოფილი** ჰქვია. მასდარში **ემაჭოფუა**, ისევე, როგორც გოჭოფილში, უნდა გვექონდეს ქართ. კავ- ფუძის კოლხური შესატყვისი **ჭოფ** (ფონეტიკური პროცესი კ > ჭ უცხო არ არის ქართველური ენებისათვის) შემოკავება ხდებოდა სხვადასხვა სახის ღობით.

ღობეს მეგრულად **ღობერი**-ც ჰქვია და **ღანდა**-ც. ღობერი სიტყვა-სიტყვით დაწულს ნიშნავს და ნაწარმოებია **ღობუა** მასდარისაგან, რომელშიც ქართულისა და მეგრულის საზიარო **ღობ**- ფუძე გვაქვს (ქართ. ვ-ღობ-ავ, მეგრ. ბ-ღობ-უნ-ქ) მაგრამ აქ ქართ. ა – მეგრ. ო შესატყვისობა არა გვაქვს).

ღობის სახეობებია **ჭინუმ ღობერი** (დაწული ღობე), **მასარიშ ღობერი** (მესრის ღობე), **ცხორცხალ ღობერი** (ცოცხალი ღობე), კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა გვაქვს ქართ. **მესერ** და მეგრ. **მასარ** და სვან. **მესერ** სიტყვებში (აბაშია, 2002, გვ. 10). ცოცხალი ღობისთვის იყენებდნენ **ტყარ მანდარნას** - *Poncirus trifoliata*-ს იყენებენ) და **ხიბილი** / **ხგბილი**, რომელიც ერთმანეთზე დაწყობილი დიდი ქვებისაგან კეთდება. **ხიბილი** ხერგილს ნიშნავს (**ხიბუა** / **ხგბუა** – ჩახერგვა).

მდინარისპირა ყანას შემოავლებდნენ ორპირა ღობეს, რომელსაც **საჯელე** ერქვა და რომლის დანიშნულება იყო ყანის წყლისაგან დაცვა. ასეთივე დანიშნულებისა იყო **ჯებერი** (ჯებირი).

ყანას ხშირად შემოავლებდნენ რუს, რომელსაც **თხორილი** (თხრილი) ჰქვია. მესაკუთრეებს შორის ყანის გამიჯნვა, თუ ის შემოღობილი არ იყო ხდებოდა სამიჯნავი ნიშნით, რომელსაც **თანჯი** ჰქვია. გამიჯნვას კი **გოთანჯუა**-ს ეძახდნენ. ამ მიზნით მიწაზე დებდნენ დიდ ქვას, რომელსაც **თანჯე ქუა** ერქვა, ან ნახშირს (**ნოშკერი**) საყანე მიწას ხნავდნენ (**ხონუნდეს**), საბოსტნეს

კი ბარავდნენ (**ბარუნდეს**).

ანძუხი არის წვეტიანი სარი, ანწუხი – ხალხიკ ვაგამიგან ვარა მომოგანა ანძუხის „ხალხმა არ გაგვიგოს, თორემ წამოგვაცვავენ ანწუხზე (ქხს. I. გვ. 232).

ბარჯგი / ბორჯგი სარს ნიშნავს – ართ ბარჯგიშა ჭინ ვემკილობენია (ხალხ. სიბრძნე, I, გვ. 8), ეს სიტყვა ბოდის, სვეტის, ბურჯის მნიშვნელობით გვხვდება დასავლურ ქართულ კილოებში – იმერულში და გურულში.

მარსუა სახელია **მარსუნს** ზმნისა, რაც მესრით შემოლობვა-შემორაგვას ნიშნავს – სქან კიბირეფ ქომუჩას ოზეში იშამარსალო“ (ქხს, I, გვ. 239).

მარსუნს ზმნაში დაცული **მარს-** ფუძე ვფიქრობთ მესრის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვა **მასარ-**ის მეტათეზირებული და ბოლოკიდური ბგერა მოკვეცილი სახე უნდა იყოს – ჟირ მასარშა ლობერ ვემკილობენია“ (ხალხ. სიბრძნე, I, გვ. 8).

ქართ. **მესერ**, მეგრ. ლაზ. **მასარ**, სვან. **მესერ / მასერ** ფუძეთა მიხედვით *მესერ საერთოქართველური არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი, 1964, გვ. 133).

ლობეს მეგრულად **ლობერი** ჰქვია, **ლობილი** კი მიმღობაა **ლობუნს** ზმნისა – ვარა თიში ინახვენჯო ლობერ ვამალობედენი? „ანდა იმის ჩასაჯენად ლობეს ვერ მოვლობავდი?“ (ციფშიძე, 1914, გვ. 144). ლობის შემოდარცვა, მორღვევა **გოლანდალუა**, რომელშიც გვაქვს ლობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი მეგრული სიტყვა **ლანდა** – პატონ ჯიხის დინოხედუ დო მუსუ ვაგუყუნდუ ლანდა „ბატონო, ციხე-დარბაზში იჯდა და მას კი ლობეც არ ჰქონდა შემოვლებული“ (ქხს. I, გვ. 36).

შემოლობილ ადგილს **ეშაჭოფილი**, **გოჭოფილი** ჰქვია.

მეზობლების მიერ საყანე მიწის ერთად შემოლობვას **მოხურგობა** ჰქვია (მასალები, IV, ნაწ. II, გვ. 235). ამა თუ იმ კულტურულ სათესად უკეთეს ადგილს **დობუჯე** ჰქვია. **ქობალიშ დობუჯე** – ხორბლის სათესი ადგილი, **ღუმეშ დობუჯე** – ღომის სათესი ადგილი (მასალები IV, ნაწ. II, გვ. 236). დო-ხუჯ-ე-ში გამოიყოფა ხუჯ- (მხარი, ზურგი) სახელი, რომელიც გვაქვს **მოხუჯურ-**ში (მოსახერხებელი). ამიტომ ლაიტიმ **დობუჯე**, **ორზაშ დობუჯე** შესაბამისად სასიმინდედ მოსახერხებელს, საბრინჯედ მოსახერხებელს ნიშნავს.

2. მიწის ნაყოფიერების, მოსავლიანობის, სიუხვის აღმნიშვნელი ლექსიკა

მიწის განაყოფიერება ხდებოდა სხვადასხვა საშუალებებით. გამოფიტულ მიწას **ხგტკე-ც** ჰქვია. **ამამი დიხა-ც** და **უფონდიკე დიხა-ც** ასეთ მიწას **ლექინ დიხა-საც** ეძახიან, **ქექე დიხა-საც** და **არგატ-საც**. ამ სახელებიდან სამი სემანტიკურად გამჭვირვალეა (**ლექინი** „მსუბუქი“, **ქექე** „მჩატე“, **ხგტკე** „გამოქექილი“), **აქგატი-ს** მნიშვნელობა კი ნათელი არაა. შესაძლოა ამ სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად გამოდგეს გურულში დადასტურებული ალქატი ღომი, რომელიც თხელ ღომს ნიშნავს (ღლონტი, 1984, გვ. 31).

მიწის გამოფიტვის საწინააღმდეგო საშუალება იყო მისი ხელოვნური განოყიერება. განუწყვეტლივი გამოყენება მიწას ფიტავს – **შულიდუნს** (ღლის). ამიტომ ამგვარ საყანეს ორი სამი წელიწადი დაასვენებდნენ (**ოსვანჯუანდეს**). დასვენებული მიწა (**ნოსვანჯი დიხა /**

მონასვანჯი დიხა) ისევ ნოყიერი ხდება. ასეთი გზით მხოლოდ დიდ, საყანე მიწებს უვლიდნენ. საბოსტნე მიწის განაყოფიერება უფრო გულმოდგინედ ხდებოდა, ამისთვის იყენებდნენ ნაკელს.

ნაკელს მეგრულად **წვერე** ჰქვია (შდრ. მთიულური მწვირე), წვერე სხვადასხვანაირია: **ორინჯიმ წვირე**, – საქონლის ნაკელი, **ბებელი** – ძაღლის ნაკელი, **კინკორი / კირკოლი** – თხის ნაკელი, **წკვინტილი / წკინტილი** – ფრინველის წკინტილი.

ბოსტანში (**ორტვინში**) გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება **ჟიჟა**, რომელიც წყალში გახსნილ ნაკელს ჰქვია.

მიწის განოყიერება იცოდნენ **ტკილითაც**. ტკილი ქვიშნარევი, ადვილადშლად ნესტიან ნიადაგს ჰქვია მეგრულად. ტკილით განოყიერებული მიწის ნაკვეთს **ტკილდგნარღვეფი** (ტკელნაყარი) ჰქვია. მიწის გასანოყიერებლად გამოიყენებოდა აგრეთვე **ლევი**.

მიწის გასანოყიერებლად სიმინდებს შორის თესავდნენ **ლებია-ს** (ლობიოს) და მუხუდოს (სოიას).

მიწის განაყოფიერების ისეთი საშუალება, როგორც რწყვაა, სამეგრელოში ნაკლებად, მაგრამ მაინც იყენებდნენ და მას **წყარუა** ერქვა.

კარგი მოსავლის, ხვავის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს **ხვე, ხვარიელი, ჯგერ მგნაწი** (სიტყვა-სიტყვით „კარგი მოსავალი“), ბერექი.

ხვე ქართ. ხვავი ლექსემას შეესატყვისება – ღორონთ ქუმარზემდე ხვეს „ღმერთი მამლევდა ხვავს“ (ქხს, I, გვ. 228). ხვარიელი ქართ. ხვავრიელის შესატყვისია. ეს სიტყვა დაცულია უძველეს მეგრულ სამიწათმოქმედო სიმღერებში „ოჩემ ხვე დო ხვარიელი“ (ჩიჯავაძე, 1974, გვ. 58) და „ხემხვაიო ხვარიელი“ (ქხს. I, გვ. 33).

ხვარიელი ნიშნავს „ხვავიანად“, „ბლომად“. ერთ მეგრულ ლექსში ნათქვამია:

„ღუმუთ გულუდგ დო ლაიტით, ულებუო, ხვარიო,
ართ მარაშა დარლიებუნ, დიარას იხვარიო“
(ლომიც გქონდა და სიმინდიც, ულევად, ხვავიანად
ერთ კვირაში დაგლევა, ნადიმისთვის იხმარე).

კარგ, უხვ მოსავალს ბანძურძ-მარტვილურ თქმაში **აიაზონი, აძაზონი** ჰქვია – თიჯგუა სიმინდ ჩანს, აძაზონიე ნანდვილი „ისეთი სიმინდი ხარობს, აძაზონია ნამდვილი“ (ქაჯაია, I, გვ. 169) ლექსიკოგრაფი ო. ქაჯაია ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „ალაზანი“, მისსავე ლექსიკონში შესულია სიტყვა ალაზონი, რომლიც განმარტებულია როგორც „შამბნარი“ (ქაჯაია, I, გვ. 177).

ბარაქ-ის შესატყვისად მეგრულში იხმარება **ბერექი** („ხვე დო ბერექი“ – ხვავი და ბარაქა), ბარაქიანს კი ბერექეთს ეტყვიან. „ხვე დო ბერექეთიანი მაღაზა დო ხარა“ (სამუშია, 1990, გვ. 104).

მოსავლის უხვად მოსვლის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა მეგრულში, ყველაზე გავრცელებულია დოსორგუა, რომელიც წარმოადგენს სახელს **დასორგანს** ზმნისა. ამ სიტყვაში გვაქვს **სორგ**- ლექსემა, რომელიც უხვად ქონის, სავსეს მნიშვნელობას შეიცავს.

კახათის ლაიტ სორგე, ოტობაიასგ ორზა „კახათში ბევრია სიმინდი, ოტობაიაში კი ბრინჯი“ (ბებია, დლიური, გვ. 8).

„ქოჩიკიქ ქომჩითია ჭალადიდ დო თელი ხორგა, ჩხომ გოკონო ვარი ღუმუ, დოხორეს ქუდვოსორგა“ (ბებია, დლიური, გვ. 14).

დოსორგილ დახვავებულს ნიშნავს. მოსავლის უხვად მოსვლას ნიშნავს **დოთორსუაც** (ქაჯაია, I, გვ. 482) ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოიკონიმი **თორსა**, ნაყოფიერ ადგილს

ნიშნავს.

მიწაზე ჩამოცვენილი ნაყოფის აკრეფას **ეკორობუა**-საც ეტყვიან და **ეკალიფუა**-საც.

3. ნათესების, მავნებელი ფრინველების, ცხოველებისა და მღრღნელების აღმნიშვნელი ლექსიკა

მიწათმოქმედის ნაოფლარს არაერთი მავნებელი და მტერი ჰყავს. ყანის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერია (ჯანაშვილი, 1965, გვ. 33). კალია, რომლის მეგრული სახელი **კოლი** მისი ქართული სახელის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია.

ნათესების დიდი მტერია ისეთი მღრღნელი, როგორცაა საზოგადოებრივი მემინდვრია (*Mikrotus Socialis* Pall), რომელიც ხორბლეულსა და მტილეულს ანადგურებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასაც, როგორც შავი ჭირის გამავრცელებელი (კოხია, 1968, გვ. 5). მემინდვრიას მეგრული სახელია **ყვანაშ ჭუკი** (ბებია, დღიური, გვ. 46).

ნათესების მტრები არიან აგრეთვე **ხულიშ ფარფალია** (კომბოსტოს თეთრულა), **ჭარხალიშ ხოჭო** (ჭარხლის ცხვირგრძელა), **შარდინი** (შევარდენი).

მახრას მეგრულ სახელში **ხვატარი** ისევე, როგორც თვით ამ ქართულ სიტყვაში, კარგადაა ასახული მისი მავნებლობა. მეგრ. **ხვატარი** ზუსტი სემანტიკური ტყუპისცალია ქართ. მახრასი. როგორც მახრა, ასევე ხვატარი ნაზმნარი სახელია. მახრა-ში გვაქვს ქართ. ვხრავ ზმნისეული ხრ-ძირი, ხვატარ-ში კი მეგრ. ხვატუნს „ხრავს“, „ღრღნის“ ზმნის ხვატ- ფუძე – ხვატარი ორტინიში ნტერე „მახრა ბოსტნის მტერია“ (ქაჯაია, III, გვ. 543).

მახრას მეორე სახელიც დასტურდება მეგრულში **ღვაზაია**-ს სახით (ჭარაია, 1997, გვ. 178; კილანავა, 1998, გვ. 27) – ღვაზაია მანებელი ხოხუ რე „მახრა მავნებელი ქვეწარმავალია“ (ქაჯაია, III, გვ. 173). **ღვაზაი** ხოჭოსებური არსებაა. **ღვაზაია**-ს მავნებლური ბუნება კარგად ჩანს ამ სიტყვიდან მომდინარე ისეთ მეგრულ სახელში, როგორცაა ღვაბუა, რაც დიდი ლუკმებით ბევრის ჭამას ნიშნავს (ქაჯაია, III, გვ. 173).

სიმინდს უჩნდება **ფარფალია** (პეპელა) და აზიანებს მას. ვფიქრობთ, ფარფალია ქართ. პეპელა-ს ფონეტიკური შესატყვისია. ქართ. პეპელა რედუპლიცირებული საერთოქართველურ *პერ- არქეტიპისაგან მომდინარედ არის მიჩნეული. *პერ- არქეტიპი გ. კლიმოვმა აღადგინა ფუძე ენის დონეზე (კლიმოვი, 1964, გვ. 152-153), იმ ქართულ და სვანურ მასალას, რომლებზედაც დაყრდნობით იქნა პერ- არქეტიპი აღდგენილი, უნდა დაემატოს მეგრ. ფარ (*პარ) ფუძეც.

ბევრ ფრინველს უდიდესი სარგებლობა მოაქვს ნათესებისათვის, რადგან მათი საკვები, სწორედ ნათესების ზემოთ დასახელებული მავნებელია. ამიტომ ისინი ამ მავნებლების განადგურებით უდიდეს სამსახურს უწევენ მოწათმოქმედს.

ეს სასარგებლო ფრინველებია:

დიდქერიო – კაკაჩა, რომლის ლათინური სახელია *Buteo menetriesi* Bogdanob (ჟორდანი, 1970, გვ. 214). ამ ფრინველის სახელად **კოკოჩა**-ც დავადასტურეთ ველზე (ბებია, დღიური, გვ. 51).

დიდქერიო კომპოზიტია და დიდ ქორს ნიშნავს, მაგრამ რატომღაც კითხვითობის მაწარმოებელი – ო ბოლოსართის დართვით. რაც შეეხება კოკოჩა-ს, ის მეგრული კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართი კაკაჩასი (აღსანიშნავია ისიც, რომ ქართ. კაკაჩი გვაქვს მეგრულ

გვარსახელში კაკაჩია, ხოლო მეგრული კოკოჩა ქართულ გვარსახელში კოკოჩაშვილი).

ლუ (ქართ. ბუ), ლათ. *Strix alreo wilkonskii* (menzb.), **ტორონჯი** (ქართ. მტრედი), ლათ. *Columba livia neglecta* Hume. **მაღალური** // **მააღალური** (ქართ. მოღალური), ლათ. *Oriolus oriolus* (L), **შვე** (ქართ. სვაგი), ლათ. *aegyptius monachus* (L). ამ ფრინველის სახელად მეგრულს ქართული სვაგი-ც აქვს ნასესხები. იხმარებოდა ამ უკანასკნელიდან მომდინარე **სავი** ფორმაც (ჟორდანია, 1970, გვ. 214). ჩვენს მიერ ველზე ჩაწერილი **შვე** ფორმა მეგრული კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ქართ. სვაგი ფორმისა.

კიდეუ / **კვდეუ** / **კიდე** / **კვდი** (ქართ. კოდალა), ლათ. *Picus viridis karelini* Brandt, სხვაგვარად *Dryocopus martius* (L).

ოფოფია (ქართ. ოფოფი), ლათ. *Upupa epops* L.

ომოშია (ქართ. შოშია), ლათ. *Sturnus vulgaris caucasicus* Lorenz.

მაბშალია / **მაფშაია** / **მაფშაია** / **მაფშალია** / **მეფშალია** (ქართ. ბულბული, იოადონი), ლათ. *Luscinia megarhynchos africana* Fisch. et Reich.

მა-ფშალ-ია სემანტიკურად სავსებით გამჭვირვალე სახელია. ფშალე სვიას ჰქვია მეგრულად. მაფშალია მე-სვიე-ს, სვიის მოყვარულს ნიშნავს სიტყვა-სიტყვით.

ზესქვი / **ზესკვი** (ქართ. შაშვი), ლათ. *Turdus merula merula* L.

მაჭირხოლი / **მარჭიხოლი** (ქართ. მერცხალი), ლათ. *Delicon* sp. იგივე *Hirundo* sp.

ნათესების მავნებელი იყო ყვითელი ფერის დიდი მატლი მუხლუხა, რომელსაც მეგრულად **ზარუუ** ჰქვია (ყიფშიძე, 1914, გვ 20; ჭარაია, 1997, გვ. 39).

ჭიას, ჭიაყელას მეგრელები **მუნტურ**-ს ეძახიან და ის ქართ. მატყლ- სიტყვის შესატყვისი ჩანს. ქართ, მატყლ- სახელში განვითარებული ჩანს ყარი, ნარის განვითარება კი ფრიად დამახასიათებელია ფონეტიკური პროცესია მეგრულში.

4. სამიწათმოქმედო რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა

სამეგრელოში, სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს მღეროდნენ სპეციალურ სიმღერებს. მათ ნაწილს **ნოდურე ობირეში** – ნადური სიმღერა ერქვა, ნაწილს კი უბრალოდ **ობირეში** – სიმღერა.

ნოდურე ობირეში იყო ხემხვაიო ხვარიელი, რომელსაც ერთი ცნობით ყანის თოხნისას მღეროდნენ (მაკალათია, 1943, გვ. 187). მეორე ცნობით კი ტაროების ამოყრისას (კვირტია, 2000, გვ. 243). ყანის თოხნის დროს მღეროდნენ აგრეთვე **ოდოია**-ს და **ოჟონურ**-ს.

თუკი **ოჟონური** სემანტიკურად სავსებით გამჭვირვალეა (ო-ჟონ-ურ-ი „საყანე“) ოდოიას სემანტიკა ბუნდოვანია. ფიქრობენ, რომ **ოდოია**-ში ისევე, როგორც სამეგრელოს ძველ სახელში ოდიში, შემონახულია კოლხთა ნაყოფიერების ღვთაების ოდის სახელი (ტულუში, 1988, გვ. 172). ვფიქრობთ, ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს მწიფობაში შესული, მაგრამ ბოლომდე დაუმწიფებელის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა **ოდიში**.

სიმინდის ტაროების ამოყრისას მღეროდნენ აგრეთვე **ობოხოია**-ს. ამ სიმღერის სახელი რედუპლიცირებულ შორისდებულ **ობო**-ს წარმოადგენს.

თუკი ნაყოფიერ ადგილას ყანა ცუდი იქნებოდა, **თოლმუნახვამლეფი ყვანა**-ს ეტყოდნენ,

რაც თვალმონახვედრ ყანას, გათვალულ ყანას ნიშნავს.

